



ციხესიმაგრე

№ 83 /4-10 ივნისი /2011

- მოავარი თემა: საატესტაციო გამოცდები **გვ. 18**
- დაისაჯონ უკეთესი განათლებისთვის! **გვ. 24**
- ორიაზრი: გადაპოვლი ფარიზები **გვ. 06**
- გაეროს მორიგი აღიარება **გვ. 12**
- ჩრდილო ოსეთი: პირველიანი გრძელება **გვ. 10**
- ოპოზიცია: „შესანიშნავი შვილებული“ **გვ. 14**
- ხელისა და ხელისუფლების თამაშები **გვ. 26**
- ხორცის მონაცოლები ფასი **გვ. 29**
- გაცყოლის ეფექტი **გვ. 32**


ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



საქართველო იმსახურებს ცალკეულს შეთავაზებას

გვ. 36



FM

აცხოვი

98.0





ხორცის ფასი საგრძნობლად გაიზარდა

ფოტო მარიამ გაგანიშვილი

ცომერში:

- 02 „ლიბერალის“ ვებგვერდიდან
04 მოქლედ
06 ორი აზრი
სამართლიანია თუ
არა დასუფთავების
ტარიფის მოხმარებული
ელექტროენერგიის
რაოდენობის მიხედვით
გადახდა?
კოკი იონათამაშვილი VS
გიორგი გოცირიძე
მსოფლიო
08 გამარჯვებული ზაგრები
მეზობლები
10 ჩრდილო ოსეთი:
ჯაპალიზაცია გრძელდება
პოლოტიკა
12 გაერომ კიდევ ერთხელ

- აღიარა დევნილების
დაბრუნების უფლება
ოპოზიცია
„შესანიშნავი შვიდეული“
მთავარი თემა
საატესტატო გამოცდების
პირველი გაევეთილები
თვალსაზრისი
დაისაჯონ უკეთესი
განათლებისთვის!
ჟურნალისტური გამოძიება
26 მედიისა და ხელისუფლების
თამაშები
ეკონომიკა
29 ხორცის მონოპოლიური
ფასი
გარემოს დაცვა
32 მეწყრის ეფექტი
თვალსაზრისი

- 36 საქართველო უკეთეს
შეთავაზებას იმსახურებს
მარკ მალენი
39 ინტერნეტ აქტივიზმი
პოსტ-დასავლურ
სამყაროში
გიორგი ცხადაია
სპორტი
41 ძველისძველი ამბავი
თვალსაზრისი
42 სად გაგონილა
მამუკა ლეკიაშვილი
44 **ტენისოვები**
კულტურა
46 ფერადი თეატრის შავ-
თეთრი სიზმრები
ქალაქში მოხეტიალე კაცის
ჩანაწერები
48 რატომაც არა?

გარეკანზე:
საქართველო იმსახურებს უკეთეს
შეთავაზებას



შეურჩალი „ლიბერალი“ გამოცემა ფონდ
„ლა საზოგადოება – საქართველოს“
მსარდაჭრით.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო
მასალაში გამოიტანეთ მოსაზრება
არ გამოხატავს ფონდის „ლა
საზოგადოება – საქართველოს“
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის
პასუხისმგებელი მასალის შენარჩუნებისთვის.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ՕՐԵԱԿԱՆ ՊԵՏԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ნინო ბექიშვილის ბლოგი



უკვე სამი წელია, ყველაზე ხშირად
ხელისუფლების ნარმომადგენლების-
გან ერთი ფრაზა ისმის. ნაცმოძრაო-
ბის აქტივისტები და პრეზიდენტი ერ-
თნაირი რიხით წარმოთქვამენ მაგიურ
სიტყვებს – „მტერი თბილისიდან 40
კილომეტრშა!“ ვინ იდავებს, მართლა
ასეა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვე-
ნი ქვეყნის ხელისუფლებას მტრის ასე
ახლოს ყოფნა ლეგიტიმაციის ხარისხს
მატებს – ჰგონა, რომ რასაც მოი-
სურვებს და გადაწყვეტს, ყველაფრის
უფლება აქვს. „მტერი თბილისიდან 40

კილომეტრშია!“ – ამით ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს გვეუბნებიან, რომ ყველაფერი, რასაც ხელისუფლება გადაწყვეტს, მორჩილად უნდა მიკიღოთ. გამოდის, რომ მმართველთა უფლება პირდაპირპორცულია ჩვენი, მოქალაქეების უუფლებობისა. მათ, ჭკვიანებმა ყველაფერი იციან, ჩვენ – ნაცელებად ჭკვიანები უნდა ვენდოთ და თუ მაინცდამაინც კითხვები და პროტესტი გაგვიჩნდება, სოციალურ ქსელებში მოვიოხოთ გული. თუ ზედმეტი მოგვივიდა და პროტესტის გამოსახატავად ქუჩას მივაშურებთ, ეგრევე „რუსეთის დასაყრდენის“ იარლიყს მოგვაკრინებენ.

სიტყვა „ყველაფერი“ შეიძლება გა-
დაჭარბებულადაც კი მოგეჩვენოთ, მა-
გრამ აქ ნამდვილად მთელი სპექტრია
— ისიც, რაც მაგალითად, 26 მაისს
მოხდა და ისიც, რაც ყოველდღიურად
საქართველოს პარლამენტის თავს თუ
მისა არსებობს ხოდა.

ახლა გაირკვეა, რომ რახან ხელი-სუფლება და ორი ოპოზიციური პარ-ტიია შეთანხმდნენ, პარლამენტარების რიცხვი 150-იდან 190-მდე უნდა გაი-ზარდოს. 2003 წლის რეფერენდუმი, სადაც საქართველოს მოსახლეობამ გადატყვიტა, რომ ქვეყანას სწორედ ამდენი პარლამენტარი სტირდებოდა, რაღაც მანქანებით ძალადაკარგულად ცხადდება. არგუმენტი ქვას ხეთქა-ვს - თურმე, რეფერენდუმი მხოლოდ

მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს. რახან აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში არ ჩატარებულა, ე.ი. არც ძალა ჰქონია. რეცერნდუმის შედეგების გასაუქმებლად საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებაც კი არ გამხადარა საჭირო.

ამ ამბიდან კიდევ ერთი მარტივი დასკვნის გაკეთება შეიძლება – სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, მანამ არანაირი რეფერენციულის ჩატარება არ მოხერხდება. გამოგდის, რომ ეს საკანონმდებლო ინსტრუმენტი საქართველოს მოსახლეობისსთვის სრულიად გაურკვეველი ვადით გაუმტკბლია.

მაგრამ, აბა, რა არის რეფერენცუმი
და მისი შედეგები მაშინ, როცა მტერი
40 კილომეტრშა?

უკვე კარგა ხანია, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, თავისი მორჩილი უმრავლესობით და უმეტესწილად არა-ფრისმაქნისი პპზიკით საქართველოს მოქალაქეების დიდ ნაწილში მხოლოდ შემწყანარეგულ ღიმილს იწვევს. იქ არ არის ადგილი, სადაც ან საინტერესო და ცოცხალი დებატები გაიმართება, ან ბოლოს და ბოლოს, ვინმე ერთ ჭიქა ბორჯომს შეასახმას პოლიტიკურ იპონენტებს. ვილაცის მაგიური ხელი კანონებსა და კანონების შესწორებებს წერს, ხოლო პარლამენტარებმა კარგად იციან, რას და როგორ უნდა დაუჭირონ მხარი. იქ შეიძლება ყელაფერი

ଶ୍ରୀରଙ୍ଗାଲ୍ଲିପିତାମହୀ: ମାନ୍ଦିରକୁଳାର୍ଥରୀ ମାର୍ଗୋପାଦକୁ ପ୍ରକରିନ୍ଦିଷ୍ଟାଣିଲେ ଏହା କୁଠାର୍ଥାବ୍ଦୀ, ରୂପ୍ସୁର୍ବାଦିକୁ ଜ୍ଵାଳାନ୍ଧିନୀଶ୍ଵରିଲେ, ତଥାମାର ଜ୍ଵାଳାରୂପାଶ୍ଵରିଲେ, ନିନ୍ଦନ ହିମାକ୍ଷେତ୍ରୀ, ନିନ୍ଦନ ରହ୍ଯାକିନ୍ଦ୍ରୀ, ନାନୀର ଗୁଣ୍ଣାନୀଶ୍ଵରିଲେ

კონტრიბუტორი: მარტი მალენი, გიორგი ცხადაის, მანანა ვარდაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიორგი ახვლედავანი, კახა თოლლორდავა, ლექსი ჩქარიული, დიანთ

ასაკომიტეტი, ნინო ბერიშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო წერგაძე

କ୍ଷେତ୍ର ଦାଖଲାକ୍ଷେଣି / ଉତ୍ତରପାତ୍ର ଶ୍ରେଷ୍ଠରେଣୁଃ ଏହିରୁ ଅନୁଭୂତି ଅଛି ଯାହାରେ ଆମେ କାହାରେ ନାହିଁ /

დისტრიბუტორი ზეიად ძეგლია
გამოსვლით; შესაბამის „მი

„ଲୋକଗ୍ରାମପାଳୀ“ ସାମଗ୍ରୀକାରୀ ଯୁଗଲ୍ପରେଣ୍ଡି ଦେଇଲାଗଲାବୁ.

პეტლა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

გამოწილის კორიაში ერთხელ, ყოველ ირშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალლო ფასი 2 ლარი.

www.liberali.ge



მოხდეს. მაგალითად, ერთ სხდომაზე „თავისუფლების ქარტიაც“ მიიღონ და კიდევ სხვადასხვა კანონში 60 (სიც!) შესწორებას დაუჭირონ მხარი. ეს მხარდაჭერა ძალიან მარტივად ხდება. ინტერნეტში გავრცელდა ვიდეო, სადაც ჩანს, თუ როგორ აჭერებ დეპუტატები ხელს პულტს სხვა, სხდომაზე არმყოფი კოლეგების ნაცვლად.

როცა ეს რამდენიმეწამიანი ვიდეო პირველად ვნახე, არც გამკვირვებია, არც გავპრაზებულვარ. მხოლოდ გამელიმა. რაც არაა გასაკვირი, რადგან ეს სცენა მხოლოდ ადასტურებს იმას, რაც უკვე კარგა ხანია ვიცით და რაზედაც მთელი საზოგადოება შევთანხმდით. წესით, ქვეყანაში, სადაც თავმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ, ამ ყველაფერს საჯარო დებატები მაინც უნდა მოყოლოდა, მაგრამ ჩვენთან სიჩუმეა.

არც საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს უჩნდებათ პროტესტი – ისინი ხომ ამგვარ სცენებს ყოველდღიურად უყურებენ! როგორც ჩანს, მარტივი შეთანხმებაა – რახან მტერი 40 კილომეტრშია, ამიტომაც, ხათუნა ოჩიაურს და მის ერთ კოლეგას, რომელიც ვერ ვიცანი, აქვთ უფლება, ხმა სხვების მაგივრად მისცენ. ის „სხვები“, ალბათ უფრო დიდი საქვეყნო საქმეებით არიან დაკავებულნი, ან სამი ლეიბორისტივით მხოლოდ ხელფასს იღებენ, მარტი იმიტომ, რომ სამი წლის წინ საქართველოს მოსახლეობის ნაწილმა მათ ხმა მისცა. სად არიან ამომრჩევლები ან მათი ინტერესები ან არჩეული ადამიანების პირადი პასუხისმგებლობა, ეს არც ლეიბორისტებს აღელვებთ და არც იმათ, ვინც მათ ხელფასს უხდის.

რა გამოდის? მარტივი რამ. არჩეული პარლამენტი სრული ფიქციაა, რომელიც ხელისუფლების დაკვეთებს ისე ასრულებს, რომ დეპუტატები დარბაზში არც კი სხედან. რეფერენდუმი, რომელსაც რვა წელია ძალა ჰქონდა, ახლა ძალადაკარგულია, მაგრამ აპა, რა მოსატანია ეს ყველაფერი, მაშინ როცა მტერი თბილისიდან 40 კილომეტრშია?!

არც იმის დავიწყება იქნება, რომ 2009 წელს, როცა ოპოზიციურ პარტიებს რუსთაველი გადაკეტილი ჰქონდათ, სამი თვის მანძილზე პარლამენტი არ შეკრებილა და ამ ფაქტს არინაირი ზეგავლენა არ მოუხდენია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მთავრობა ქვეყანას უპარლამენტოდაც ისევე ეცეცტურად მართავდა, როგოც პარლამენტიანად მართავს ხოლმე. □



**პროკრედიტის ბანკი მიჩრევან
ჩა ახს ჩამთვის ცაცთასი**

220 22 22
www.procreditbank.ge



"ჯათიცი პახილი" ნიშაბის ღანავება ბეჭედება

მთავარმა პროკურატურამ „ქართული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერის და ყოფილი თავდაცვის მინისტრის – ირაკლი ოქრუშვილის – წინააღმდეგ უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და ხელმძღვანელობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღმრა. თბილისის საქალაქო სასამართლომ კი ოქრუშვილს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. ბრალდება 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღმკვეთას ითვალისწინება.

ასევე, 30 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 8 პირი დააკავა. რამდენიმე მათგანი „ქართული პარტიის“ წევრია, ნაწილი კი მხარდაჭერი. დაკავებულებს შორის არიან ეროსი კინმარიშვილის მძღოლი, ირაკლი ოქრუშვილის ყოფილი მძღოლის მა და მამა. დააკავეს ოქრუშვილის ბიძა ზურაბ გიგუაშვილი, თუმცა ის მალევე გაათავისუფლეს. დაკავებულების ოჯახის წევრების მტკიცებით, ის იარაღი, რაც სამართალდამცავებმა თითოეული მათგანის საცხოვრებელი სახლის ჩრდეკის შედეგად ამოიღეს, დაკავებულებს არ ეყუთონით და ის მათ საცხოვრებელ სახლში შსს-ს თანამშრომლე-

ბმა შეიტანეს.

ამ შემთხვევამდე 7 დღით ადრე, 23 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ 8 პირი იარაღის უკანონო შენახვისა და უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობის ბრალდებით დააკავა. სამინისტროს ინფორმაციით, ეს პირები ასევე ოქრუშვილთან იყვნენ დაკავშირებული. ისინი მაისის ბოლოს გამართული საპროტესტო აქციების დროს „ქართული პარტიის“ ლიდერის სამხედრო მხარდაჭერას გეგმავდნენ. რამდენიმე მათგანმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიცემულ აღიარებით ჩვენებაში განაცხადა, რომ იგეგმებოდა ხელისუფლების შეცვლა და რამდენიმე სამხედრო ბაზის დაკავება.

ოქრუშვილს ჯერ კიდევ 2008 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუსწრებლად 11 წლიანი პატიმრობა ქრთამის აღებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის მუხლებით შეუფარდა. ამის შემდეგ მან საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. საფრანგეთის სასამართლომ საქართველოს მის ექსტრადირებაზე უარი განუცხადა.

პარტიის ლიდერის სახითი ღანავები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის თანახმად, დაფინანსების საეთხი არაკონკურენტუნარიან მდგომარეობაში აყენებს საარჩევნო სუბიექტებს. მმართველი პარტიის დაფინანსება ყველა ოპოზიციური პარტიის დაფინანსებას ერთად მაქსიმუმ 26-ჯერ და მინიმუმ 7-ჯერ აღემატება. საარჩევნო ბიუჯეტის 50 პროცენტზე მეტი 2008 წელს პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა სატელევიზიო რეკლამაში გადაიხადა, როდესაც ოპოზიციურმა კანდიდატებმა მხოლოდ უფასო სარეკლამო დროის გამოყენება შეძლეს. მმართველი პარტია ძირითადად იურიდიული პირებისგან ფინანსდება, ოპოზიციურ პარტიები კი, უმეტესად, სახელმწიფო დაფინანსებაზე არიან დამოკიდებული. კვლევის მიხედვით, არ არსებობს ორგანო, რომელიც პარტიების მიერ ფინანსების მიღებასა და განკარგვას გააკონტროლებს. კანონმდებლობა ბუნდევანს ხდის პარტიების მიერ მიღებული და დახარჯული თანხების დადგენასაც.

კახეთის ნივთიერი უნიტარული მანიპულირები



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, ქართველი პარლამენტა-რები კენჭისყრის პულტებით მანიპულირებენ. კონკრეტული პარლამენტის წევრები სხდომაზე არყოფნი კოლეგაბის – ხშირად ორი ან სამი კოლეგის, მაგივრადაც აძლევენ ხმას. კენჭისყრის პულტებით მანიპულირება საპარლამენტო პროცედურების

დარღვევაა. პარლამენტის წევრებს ეკრძალებათ ხმის მიცემა არდამსწრე კილეგების საიდენტიფიკაციო ბარათების გამოყენებით. ამ წესის დარღვევისთვის ჯარიმა ეკისრება საიდენტიფიკაციო ბარათის მფლობელს და არა იმ პარლამენტის წევრს, რომელიც მონაწილეობს „კენჭისყრის პულტებით მანიპულირებში“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პარლამენტის წევრებს კეთილსინდისიერი ქმედებისკენ, კონსტიტუციისა და ამომრჩევლის პატივისცემისკენ მოუწოდებენ.


ბეჭის ნაცვლები

ქართულმა მხარემ იმ ქვეყნებს, რომლებიც საქართველოს მოიხსენიებენ როგორც „გრუზია“, მოუწოდა შეცვალონ ეს ტერმინი და „ოფიციალურად აღიარონ ინგლისური სახელწოდება „ჯორჯია“. ასეთი დაახლოებით 15 სახელმწიფოა: ბულგარეთი, ბელარუსი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი,

პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სერბეთი, უნგრეთი, ჩინეთი, ხორვატია, მაკედონია და უკრაინა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ მადლობა გადაუხადა სამხრეთ კორეას, რომელმაც სამინისტროს თხოვნა გაითვალისწინა.

კუთხის პირის პირის პირის პირი

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტობის კანდიდატებად პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ალექსანდრე ანგაბი და ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა ოფიციალურად დარეგისტრირდნენ. არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბაც. თუმცა მას ოფიციალური განაცხადი ცესკოში ჯერ არ შეუტანია. კანდიდატთა წარდგენის ბოლო ვადა 17



ივლისია. არჩევნები 26 აგვისტოსაა დანიშნული.

ჩიხვები

4 469 200

ადამიანი ცხოვრობს
საქართველოში
„საქართველოს“
მონაცემებით.

0,7

პროცენტით გაიზარდა
საქართველოს
მოსახლეობა 2010
წელთან შედარებით.

11,3 %-იანი

ინვესტიცია განახორციელა
ვირჯინის კუნძულებზე
რეგისტრირებულმა ოფშორულმა
კომპანიამ საქართველოში.

ციტატები



„ჩემი აზრით, [აფხაზებისა და ოსების] სტატუსზე ლაპარაკი შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში უნდა „გავყინოთ“, იქნება ეს 10 თუ 15 წელი. მოლაპარაკებების საგანი ის უნდა გახდეს, რომ საზოგადოებებმა, რომელიც ომა და ამხელა დრომ გაგვაუცხოვა, ხელახლა გავიცნოთ ერთმანეთი“. ირაკლი ალასანია, „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი.

„მე სრულიად დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ „ლორის ჭირი“, სამხრეთ რუსეთში საქართველოს ტერიტორიიდან გავრცელდა!“ განაცხადა რუსეთის ფედერაციის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშენკომ.

„ძროხა მოვითხოვთ, ქათამი დაგვიკლეს და გადავწყვიტეთ ავილოთ. რომ არ ავილოთ ნაშიმშილები დავრჩებით“. ნიკა ლალიაშვილი ხელისუფლებასთან საარჩევნო შეთანხმებაზე



30

კოკი იონათამაშვილი
საკრებულოს წევრი

დასუფთავების ტარიფის შემოღება და გადახდის ძველი სისტემის შეცვლა გამოწვეული იყო რამდენიმე ფაქტორით, რომელთაგან უპირველესს სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვა წარმოადგენს.

საკრებულოს მიერ უკვე შემოღებული ტარიფი სოციალურად რთულ პირობებში მყოფ ადამიანებს არ გაუძვირებს ცხოვრებას. დაახლოებით 250 000 ოჯახი დასუფთავების საფასურს გადაიხდის იმავე ოდენობით, როგორც ადრე იხდიდა, ან უფრო ნაკლებს. ათეულობით ათასი ადამიანი 50 კვტ-მდე ელექტროენერგიას ხარჯავს და მათი გადასახადი, 2, 3 ლარზე მეტი არ იქნება. არ იყო სამართლიანი, როდესაც დაბალი შემოსავლების 4 სულიანი ოჯახი იხდიდა 10 ლარს (ძველი სისტემით 1 ადამიანი – 2, 5 ლარი) ხოლო მაღალი შემოსავლების 3 სულიანი ადამიანი იხდიდა 7,5 ლარს. დაბალი შემოსავლების მქონე მრავალრიცხოვანი ოჯახებისათვის ძველი სისტემა კიდევ უფრო არასამართლიანი იყო. დანაგვიანებაზე ბუნებრივია მრიცხველი ცალკე ვერ იარსებებს, ამიტომ გახდა საჭირო მისი სხვა ინდიკატორთან დაკავშირება. სხვადასხვა პოზიციის და ინიციატივის განხილვის შემდგომ, სწორედ ელექტროენერგიის მოხმარების საფასურზე მისი „მიბმა“ ყველაზე სამართლიანი აღმოჩნდა. ე.წ. სულადობასთან დაკავშირებით, გარდა უკვე აღნიშნული ხარვეზისა, სხვა ობიექტური პრობლემებიც წარმოიშვა (მოსახლეობა სისტემატურად არკვევდა დასუფთავების ბაზაში, ბინაზე მიწერილი ადამიანების რაოდენობას და სხვა). ბინას ფართობთან დაკავშირება ასევე გამოირიცხა, რადგანაც ძალიან ბევრი ბინა განსაკუთრებით თბილისის ძველი უპნებში არ არის დარეგისტრირებული. კონკრეტული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ელექტროენერგიის მოხმარება ზამთარში და ზაფხულში გაზის მოხმარებისგან განსხვავებით, კარდინალურად არ განსხვავდება ერთანერთისაგან, სწორედ ეს იყო საფუძველი იმისა, რომ ყოფილიყო ერთიანი ტარიფი და არა განსხვავებული. ბიუჯეტიდან გაგრძელდება დასუფთავების ტარიფის 50%-ის დაფინანსებაც იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც სოციალური სააგნენტოს მოხაცემებით 100.000 ქულაზე ნაკლები აქვთ და ყველაზე დაბალი შეძლების ადამიანებს წარმოადგენენ.



სამართლის თა ას ე მოხატაბაც ვიცხოვ მისევზი

■ საკრებულოს მიერ უკვე შემოღებული ტარიფი სოციალურად რთულ პირობებში მყოფ ადამიანებს არ გაუძვირებს ცხოვრებას. დაახლოებით 250 000 ოჯახი დასუფთავების საფასურს გადაიხდის იმავე ოდენობით, როგორც ადრე იხდიდა, ან უფრო ნაკლებს.



საციფრო ტექნიკის ნორმის ჩამოვლის ბაზები?

■ კანონის თანახმად, ნარჩენებზე დაწესებული
მოსაკრებელი ერთ სულ მოსახლეზე არ
უნდა აღემატებოდეს 3 ლარს. აღნიშნული
ცვლილებით, თუკი ერთი აბონენტის მოხმარე-
ბულ ელექტროენერგიაზე ნარჩენების მომსახურების
ტარიფი განისაზღვრა 0,05 ლარის ოდენობით.

**პრა**

გორგი გოცირიძე

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასო-
ციაციის“ იურისტი

ადამიანის უფლებების დაცვა დედაქალაქის თვითმ-
მართველობის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრინ-
ციპია, თუმცა ნარჩენების მომსახურების თაობაზე
საკრებულოს ბოლო გადაწყვეტილება აღნიშნულთან
შეუსაბამობაშია.

ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, საკრებულომ
უარი განაცხადა ნარჩენების მომსახურებასთან დაკა-
ვშირებით ადგილობრივი მოსაკრებლის სისტემაზე და
შემოიღო ნარჩენების მომსახურების სატარიფო რეგუ-
ლირება. ერთი აბონენტის მიერ 1კვტ.სთ-ში მოხმარე-
ბულ ელექტროენერგიაზე ნარჩენების მომსახურების
ტარიფი განისაზღვრა 0,05 ლარის ოდენობით.

კანონის თანახმად, ნარჩენებზე დაწესებული მო-
საკრებელი ერთ სულ მოსახლეზე არ უნდა აღემატებო-
დეს 3 ლარს. აღნიშნული ცვლილებით, თუკი ერთი აბო-
ნენტი მოხმარს თვეში 100 კვტ. სთ ელექტროენერგიას,
მას მოუწევს 5 ლარის გადახდა.

ტარიფი და მოსაკრებელი განსხვავდება ერთმანე-
თისაგან: მოსაკრებელი არის გაწეული მომსახურები-
სათვის ბიუჯეტში შეტანილი გადასახდელი. ტარიფი
დგინდება ბაზარზე შეზღუდული კონკურენციის არსე-
ბობის გამო. მიუხედავად განსხვავებისა, საკრებულოს
გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდნ საფასური სცდე-
ბა ნარჩენების მომსახურებისათვის კანონით დადგენილ
ზედა ზღვარს.

აღსანიშნავია, რომ ნარჩენების გატანის მომსახურე-
ბისას გამორიცხულია კონკურენციის შეზღუდვა. კანო-
ნით მომხმარებელს აქვს უფლება, უარი განაცხადოს
მერიის მიერ შემოთავაზებულ მომსახურებაზე და ნარ-
ჩენების გასატანად სხვა ოპერატორი შეარჩიოს. ამის
გამო გაუგებარია, რატომ გახდა საჭირო სატარიფო რე-
გულირება?

თუკი საკრებულო გადაწყვეტილების მიზანი შეზღუდუ-
ლი კონკურენციის გამო მომხმარებელთა უფლებების და-
ცვაა, გაუგებარია, რატომ იხდის დედაქალაქის ერთი მოსა-
ხლე ნარჩენების გაზრდილ საფასურს? საქართველოს
საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მოხმა-
რებლის უფლებების შეზღუდვები ნორმა ნათელი უნდა
იყოს. მაშინ, როდესაც ტარიფის გამოანგარიშების წესი მი-
ბმულია მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურთან,
როთაც ვერავითარ ინფორმაციას ვერ ვიღებთ ერთი მოსა-
ხლის მიერ მოხმარებულ ნარჩენზე, ძნელია, ნათელი ვუწო-
დოთ სატარიფო სისტემის დამდგრენ ახალ ნორმებს. **ც**

გალკანეთი

ბარაზავები ზაბები

2013 წელს ხორვატია, სლოვენიის შემდეგ, ყოფილი იუგოსლავიის მეორე ქვეყანა გახდება, რომელსაც ევროკავშირი თავის რიგებში მიიღებს.

ვასო კუჭუხიძე

ხორვატიის ევროპულ ბლოკში მიღება უკვე გადაწყვეტილია. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა 10 ივნისს ბრიუსელში გამართულ სამიტზე შეიმუშავეს დეკლარაცია, რომელშიც გამოხატეს მზადყოფნა ხორვატიის ევროპულ თანამეგობრობაში მიღებასთან დაკავშირებით. ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელმა ქოზე მანუელ ბაროზუმ განაცხადა, რომ ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მან განევრიანებისთვის აუცილებელი 35 მოთხოვნიდან 31 უკვე შეასრულა. დარჩენილ ოთხ პუნქტს რაც შეეხება, ისინი ევროკომისიის გადაწყვეტილებით, დასურულად გამოცხადდა, რაც მათ ავტომატურად დაკავშირდულად მიჩნევას გულისხმობს.

ევროკომისიის თავმჯდომარემ ხორვატიის ევროკავშირში მიღება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის გაეთვალიერებულ გზავნილად მოიხსენია. „ვიმედოვნებთ, რომ ხორვატიის პროგრესი სხვა ჩვენი პარტნიორებისათვის ისტორიულ სტიმულს წარმოადგენს, რათა აქტიური გახადონ მათი მოქმედება რეფორმების გატარების მიმართულებით,“ – განაცხადა მანუელ ბაროზუმ.

ბრიუსელის ამ გადაწყვეტილებამ გააბათილა ეჭვები, რომ ევროკავშირის „კარები“ 2007 წელს სამუდამოდ დაიხურა.

ხორვატიის ევროკავშირში განევრიანების შესახებ მოლაპარაკებები ჯერ კი-დევ 2003 წელს დაიწყო. ზაგრებს იმედი ჰქონდა, რომ 2007 წელს ბულგარეთთან და რუმინეთთან ერთად ორგანიზაციის წევრი გახდებოდა, თუმცა თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა არაერთხელ დაბლოკეს და გადადეს 28-ე ქვეყნის მიღების საკითხი. ხორვატიის წევრობას ორგანიზაციაში გერმანია და ავსტრია



ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრი
გორან ანდროკოვიჩი, ბრიუსელი, 30 ივნისი 2011

ფოტო: ლიკი ლიკი / REUTERS

ლობირებდა, ხორვატიის წინააღმდეგ კი განსაკუთრებით სლოვენია ილაშერებდა. განელილი ევროინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთ უმთავრესი მიზეზი სწორედ მეზობელ სლოვენიასთან წერმოქმნილი ტერიტორიული დავა იყო. უთანხმოება ორ ქვეყანას შორის 1991

წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების-თანავე დაიწყო პირანის ყურის გამო და 18 წელს გაგრძელდა. სწორედ ამ დაპირისპირების გამო ლიუბლიანამ 2008 წელს ვეტო დადო ხორვატიის ევროკავშირში განევრიანების ინიციატივას. თუმცა 2009 წელს შვედეთის მედიატო-

რობით სტოკპოლმში ხელი მოეწერა შე-
თანხმებას, რომლის თანხმადაც ორივე
ქვეყნის თანხმობის საფუძველზე საკით-
ხი საერთაშორისო არბიტრაჟს გადაეცა
განსაზიდელად.

ხორვატია ევროკავშირისკენ წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიღევდა. 2008 წელს იგი ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში განევრიანდა, რაც ევროპის ყოფილი სოციალური ქვეყნებისათვის, ხმირ შემთხვევაში, ევროკავშირში მიღების საშეს წარმოადგენს.

გარდა ამისა, 2010 წელს დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა ივო ოსლოპინგიშმა წინამირრედის ალექსული კურის გააგრძელა და წარმატებული რეფორმების გატარების გარდა, მნიშვნელოვნად გააუყვითესა ურთიერთობები მეზობელ სერბეთსა და ბოსნია-ჰერცოგოვინასთან, რამაც ზაგრებს კიდევ უფრო გაუსნა გზა ევროკავშირისკენ. მეზობლებთან ტერიტორიული დავები ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლებაა ევროინტეგრაციის პროცესში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სფერო, რომლის რეფორმირებასაც ევროკავშირი ხორცატიას სთხოვდა, სასამართლო სისტემა იყო. პრიუსელს უკვე აქვთ მწარე გამოცდილება ამ სფეროში. რუმინეთმა, რომლის სასამართლო სისტემაში არსებულ შეუთავსებლობაზეც ევროკავშირმა თვალი დასუჭა, თანამეგობრობას მოგვიანებით დიდი თავსატეხი გაუჩინა. ამიტომაც, თავიდანვე ნათელი იყო, რომ პრიუსელი დაშვებულ შეცდომას აღარ

■ ხორვატიის სამრეწველო და სოფლის მეურნეობის სექტორი ევროპულ სტანდარტებს არ შეესაბამება, რაც ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირი დახმარებისათვის განკულ დიდ დანახახრჯვებს ვერ აცდილს.

გაიმეორებდა და ხორვატია განსაკუ-
თოებული ყურადღებით უნდა მოჰკიდე-
ბოდა ამ საკითხს.

კიდევ ერთ დაბრკოლებას ხორვატია-ში არსებული კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის მაღალი დონე ქმნიდა. აღნიშნული თემის ირგვლივ

ქვეყანაში მომზღარი სკანდალები ზა-
გრებს იმიჯს ულახავდა თანამეგობრო-
ბის წევრებში.

ბოლო სამი წლის განმავლობში ხორციელდებოდა განვითარებული მრავალი რეფორმა გაატარა რათა მწვავე შექმი მიღებო ევროკავშირში განვითარებასთან დაკავშირდებოთ. თუმცა კა, როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი აცხადებს: „აღნიშნული რეფორმები არ მხოლოდ ევროპული თანამეგობრობის დანართის მიზანის მიზანის მიღებას, არამედ საზოგადოებრივი გადამზადების შეცვლა-განვითარებასა და ინკუსტაციური კულტურული დამკვიდრების დამსახურების გენერაციას და ასეთი მიზანის მიზანის მიღებას.“ ივო იოსეპოვიჩმა რეფორმების განვითარების პირობა დადო. მოსახლეობას კი უმცურავობის მაჩვენებლის შემცირება და კორუფციის დამარცხება აღუთქვა.

დღეს უკვე ხორვატიის ევროკავშირში მიღების საკითხი, პრატეტიკულად გადაწყვეტილია. თუმცა, საინტერესოა რეალურად რამდენად აკმაყოფილებს ქვეყანა განევრიანების კრიტერიუმებს. ფაქტი ის არის, რომ ხორვატიის სამრეწველო და სოფლის მეურნეობის სექტორი ევროპულ სტანდარტებს არ შეესაბამება, რაც ნიშანავს იმას, რომ ევროკავშირი დახმარებისათვის განეულდიდ დანახარჯებს ვერ აცდება. საშუალო ხელფასი ქვეყანაში 730 აშშ დოლარია, რაც „ძველი“ ევროპის ყველაზე დარიბი ქვეყნის – პორტუგალიის საშუალო ხელფასს საკმაოდ ჩამოუვარდება უმუშევრობა 18 პროცენტს ნარმოად გრეს, შესაბამისად, ათასობით ხორვატი

უკეთესი ვითარება აქვს.

ხორვატიის სასარგებლოდ იმოქმედა
იმ ფაქტმა, რომ ევროკავშირის წევრე-
ბთან თანაცხოვრების დიდი ხნის ის-
ტორია გააჩნია. ეს ტერიტორია დროის
სხვადასხვა მონაკვეთში ევროპის წა-
მყანი სახელმწიფოების შემადგენლო-
ბაში შედიოდა. შესაბამისად, კულტური-
სა და ღირებულებების თვალსაზრისით,
ხორვატია ევროპის განუყოფელი ნაწი-
ლია.

აგრესიული ნაციონალიზმი იყო კი-
დევ ერთი მიზეზი, რის გამოც ხორვა-
ტიის ევროპულ კავშირში განევრიანების
საკითხი სათუო ხდებოდა. დღეისათვის,
მართალია, ეს პრობლემა სრულად არ
აღმოფხვრილა, მაგრამ გარკვეული
პროგრესი შეინიშნება. ისევ და ისევ, თუ
შევადარებთ ლატვიასა და ესტონეთს,
მათგან განსხვავებით, მაგალითად,
ხორვატიაში არ არსებობს „არამოქალა-
ქეთა პასპორტები“ სერჩებისათვის.

თუმცა, ევროკავშირის მიმართ პრეტენზიები თავად ხორვატიასაც აქვს. ბრიუსელსა და ზაგრებს შორის არსებობდა დაპირისპირება გენერალ ანტე გოტოვინას გასამართლებასთან დაკავშირებით. ხორვატი გენერალი გოტოვინა 1995 წელს ოვითგამოცხადებულ კრაინის რესტუბლიკაში განსაკუთრებული სისასტემით გაუსწორდა სერბ მოსახლეობას, რის გამოც იგი საერთაშორისო სასამართლოს მიერ იქნებოდა. იგი 2005 წელს კანარის კუნძულებზე დააკავეს. ჰააგის სასამართლომ მას 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რაც ზაგრებში დიდი მღელვარების მიზეზი გახდა. ხორვატთა 96 პროცენტს ის უდანაშაულოდ მიაჩნდა, ხოლო 88 პროცენტი გოტოვინას გმირად თვლის. შესაბამისად, ამ ფაქტის შემდეგ ევრონინტეგრაციის მომხრეთა რიცხვი ხორვატიაში 23,8 პროცენტამდე დაიცა.

განხილულ ფაქტებზე დაყრდნობით,
ხორვატიის ევროკავშირში განვერიანება
სრულიად ლოგიკურ მოვლენას წარმო-
ადგენს. თუმცა, სკეპტიკოსები ამბობენ,
რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ გერ-
მანელები და ფრანგები ახალი წევრის
მიღებას უკვე თავიანთ საფულებებზე
იგრძნობენ. □

ჩრდილოეთ კავკასია

ჩრდილოეთი მსეთი: ჯიშულისასი ბენდისება

ჩრდილოეთი მსეთში, რუსეთის ფედერაციის ამ ყველაზე პრომოსკოვურ და სტაბილურ რეგიონში, ექსპერტები „ჯიშულისასი“ მოახლოებულ საფრთხეს ხედავენ.

ემილ სულეიმანოვი



26 მაისს ჩრდილოეთი მსეთის დედაქალაქის - ვლადიკავკაზის - მიმდებარე პატარა სოფელში პატივსაცემი ისი მწერლისა და აკადემიკოსის შამილ ჯიშულის თავმოკვეთილი გვამი იპოვეს. სამი დღის შემდეგ ჩრდილოეთი მსეთის მილიციამ ჯიშულის სავარაუდო მევლელი - დავიდ მურაშევი სპეციალისტის დროს მოკლა. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მურაშევი რადიკალი ისლამისტი იყო. ეს შოკის მომგვრელი იყო, რადგან ეროვნებით ისლამისტის ასეთი ბრალდება აქამდე არავის წაუყენებია.

ამ ფაქტის შემდეგ ჩრდილოეთი მსეთში ღიად დაიწყო საუბრები იმ თემებზე, რაზეც საზოგადოება მზოლოდ ერთმანეთთან საუბარში თუ აღიარებდა - ამ რესპუბლიკაში სულ უფრო რთული ხდება ქრისტიანული და ისლამური თემების თანაცხოვრება. გამოითქვა სერიოზული ეჭვი იმის თაობაზე, რომ არსებობს ჩრდილოეთი მსეთის მუსლიმური ნაწილის „ჯიშულისასი“ სერიოზული საფრთხე.

ხელისუფლების ვერსიით, ჯიშულის მკვლელობის საბაბი მისი ბოლო ლექსის

სათაური გახდა - „მევლების ხროვა ჰაჯზე მიდის.“ გამომძიებლები ამბობენ, რომ მკვლელობამდე ჯიშულის ადგილობრივი მუსლიმები დამტკიცებული არ არის. რომლებმაც ეს ლექსი ისლამისათვას შეურაცხმოფელად ჩათვალეს.

ამას მალევე ვლადიკავკაზის მეჩეთის მრევლზე ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურის თავდასხმა მოჰყვა, რის შედეგადაც 18 ადამიანი დააკავეს. „უმეტესად ახალგაზრდა მამაკაცები, მათ შორის, მეჩეთის იმამი - ჩრდილოეთი მსეთის ციხეებში განათავსეს.

„ვაჟაპეტებზე“ ნადირობა რესპუბლიკის სსვა რეგიონებშიც მიმდინარეობს, მოწმები ამტკიცებენ, რომ მორწმუნებ მუსლიმების დასაკავებლად მათ სახლებში ნაკორიებსა და იარაღს დებენ - ამ მეთოდს ადგილობრივი პოლიცია როგორც ჩრდილო მსეთში, ისე მთელი რეგიონის მასშტაბით, „რადიკალი მუსლიმების“ ნინაალმდევ ბრძოლები აქტიურად იყენებს.

ამ მკვლენების კონტექსტში სულ უფრო ხშირად ავლენებნ პარალელს ერთ დროს ცნობილ მსეთში ჯამაათსა და კავკა-

სის საამიროს მიერ წარმოებულ ისლამურ აჯანყებას შორის. ქათალიბ-ალ-ხოული (რაც არაბულად ძალის პატალიონს ნიშნავს) - ეს ჩრდილოეთი მიერ 2005-2006 წლებში დაფუძნებული ორგანიზაციის სახელია, რომელიც რეგიონული ჯიშულის ნაწილი იყო. ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ ეს ორგანიზაცია საერთოდ არ არსებობდა, სხვები თვლიდნენ, რომ მისი წევრები, უმეტესწილად, ეთნიკურად ინგუშები იყნენ, რომლებიც ანტიისურ სტრატეგიას ახორციელებდნენ. ეს ორგანიზაცია, რომელსაც, გადმოცემით, „ჯიშულისასტი“ ასლანტ დიგორსკე ედგა სათავეში, პოპულარული 2005-2008 წლებში გახდა, როცა რესპუბლიკის დედაქალაქში კაზინოებსა და სათამაშო სახლებზე თავდასხმები განხორციელდა და საკმაოდ მაღალი თანამდებობის სამხედრო პირები და ჩინოვნიკები მოკლეს, მათ შორის, გენერალი ბიმბოლატ ძუცევი და ჩრდილოეთი მსეთის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამშართველოს უფროსი მარკეცავები. მკვლელობების პიკი 2008 წელს ვლადიკავკაზის მერის ვიტალი კარაევის



■ ჩრდილოეთ ოსეთის მუსლიმების რადიკალიზაციის საფრთხე სულ უფრო მატულობს. თუ ეთნიკურ წარმომავლობაზე რელიგიური იდენტობა გაიმარჯვებს, მაშინ ისინი საკუთარ იდენტობას მეზობელ ინგუშებს, ყაბარდოელებსა და ბალყარებს დაუკავშირებენ და ჯიპადის მოძრაობას შეუერთდებიან.

მკვლელობა გახდა. კარაევის „ცოდვა“ ხალხში ჰქიანის ტარებისთვის ოსი ქალების შეურაცხყოფა და ისლამის უპატივცემულობა იყო. მაგრამ, კარაევის მკვლელობის შემდეგ, არცთუ ისე გასაგები მიზეზების გამო, ოსეთის ჯამშათის მოქმედებები შეჩერდა. შედეგად, დოკუუტაროვმა ირისტონის (ოსეთის) ვილაიეთი გააუქმა და ის 2009 წლის მაისში გაღდაურის (ინგუშეთის) ვილაიეთის შეუერთდა.

ჩრდილოეთ ოსეთში მუსლიმები, მართლმადიდებელ ქრისტიანებთან შედარებით, უმცირესობაში არიან და გარკვეულწილად იზოლირებულინენ, თუმცა მართლმადიდებლები უკანასკნელ ხანება-

მდე ოსურ საზოგადოებაში კონფესიურ დაყოფას არ აღიარებდნენ.

მიზნებით, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ამ რესპუბლიკას ქვეყნის შიგნით სამხედრო ისლომის განვითარების საწინააღმდეგო იმუნიტეტი აქვს. წინაპართა რელიგიის გამო თანამოქალაქეთა მხრიდან მზარდი ნეგატიური დამოკიდებულების ფონზე ზოგიერთმა ოსმა მუსლიმმა მართლმადიდებლად მოქცევა არჩია, სხვები კი რელიგიისადმი საკუთარ ინდიფერენტულობას უსვამენ ხაზს.

ადგილობრივი მუსლიმების რიცხობრივად მცირე, მაგრამ პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მათი რელი-

გიური იდენტობის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ წლებში გაიზრდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ რესპუბლიკაში ეთნიკური წარმომავლობა მაინც უფრო დიდ როლს თამაშობს. მორნ-მუნე მუსლიმების მიმართ ჩრდილო ოსურ საზოგადოებას ზოგადად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს – მათ ინგუშების მეხუთე კოლონად და ოსებისათვის უცხო კულტურულ ელემენტად მიიჩნევენ, რაც ის მუსლიმებს იზოლაციის გრძნობას კიდევ უფრო უმძაფრებს. ჩრდილო ოსეთის საზღვრების დასავლეთით და აღმოსავლეთით განვითარებული მოვლენების ფონზე, ისი მუსლიმების ნაწილი ჯიპადის იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ მოქეცა და თავს მიმდინარე ჯიპადის ნაწილად თვლის. მათი რიცხვი საქმაოდ მცირება და, მეზობელი რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, არც ხალხის მხარდაჭერა აქვთ, ამიტომ ადგილობრივი ხელისუფლები-სათვის მათი მოგერიება დალესტანთან, ინგუშეთან და ყაბარდო-ბალყარეთთან შედარებით, ადგილა. თუმცა, ბოლო დროს რესპუბლიკის მუსლიმი საზოგადოების წინააღმდეგ ჩრდილო ოსეთში წამოწყებულ ფართომასშტაბიან და განურჩეველ კამპანიას ამ ბალანსის მწყიბრიდან გამოყვანა შეუძლია. მოვლენების მსგავსა მა განვითარებამ კი შეიძლება ყაბარდო-ბალყარეთის სცენარის გამოერება ვამონების, სადაც მორნ-მუნე მუსლიმებზე მასპინვებმა თავდასხმებმა მოსახლეობის ჯიპადიზაციას შეუწყო ხელი.

ჩრდილოეთ ოსეთის მუსლიმების რადიკალიზაციის სულ უფრო მატულობს. თუ ეთნიკურ წარმომავლობაზე რელიგიური იდენტობა გაიმარჯვებს, მაშინ ისინი საკუთარ იდენტობას მეზობელ ინგუშებს, ყაბარდოელებსა და ბალყარებს დაუკავშირებენ და ჯიპადის მოძრაობას შეუერთდებიან. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ჩრდილო ოსეთი, რომელიც ახლა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ჩრდილო კავკასიის აჯანყებას ორ ნაწილად ჰქიანის, მათ დამაკავშირებელ რელიგიური იქცევა. მაშინ კი, როგორც ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, ისე მოსკოვისათვის ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური აჯანყების ჩამონბა გაცილებით როგორი იქნება. ■

გაეროს რაზოლუცია

ბახომი წილავ ციხესიმიშვილის დაბენიერების უფლება

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რეზოლუციის მხარდამჭერთა რიცხვი თითქმის გასამმაგდა.

ოლესია ვართანიანი, „რადიო თავისუფლება“, სპეციალურად „ლიბერალისტვის“

გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე საქართველოს რეზოლუციას-თან დაკავშირებული დებატები მხოლოდ ნახევარ საათს გავრძელდა. გასული წლისგან განსხვავდით, როდესაც რუსეთის წარმომადგენელი კენჭისყრის პროცესის ჩამოას შეეცადა, წლევანდელი შეხვედრა ემოციური არ ყოფილა.

რუსეთის მხრიდან დოკუმენტის იგნორირებისკენ მოწოდებები ამჯერადაც ისმოდა, ოღონდ უკვე სპეციალური ფლაერების სახით, რომელებიც სესიის დაწყებამდე სხდომათა დარბაზში დარიგეს.

ახალი რეზოლუცია იმ დოკუმენტების იდენტურია, რომლებსაც გაერო, ბოლო სამი წელია, იღებს. როგორც გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ალექსანდრე ლომაია ამბობს, რეზოლუციის მთავარი მიზანი იძულებით გადაადგილებული პირების სახლებში დაბრუნების უფლების უზრუნველყოფა და ქონებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება იყო.

პირველად დევნილების დაბრუნების საკითხი გენერალურ ასამბლეაზე განსახილებად 2008 წლის აგვისტოს ომამდე ორი თვით ადრე გამოიტანეს. მაშინ საუბარი დევნილების მხოლოდ აფხაზეთში დაბრუნების უფლებას ეხებოდა. დოკუმენტის უმრავლესობამ არ დაუჭირა მხარი - გაეროს წევრი სახელმწიფოების 80 პროცენტის მაშინ კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რეზოლუციის მხარდამჭერთა რიცხვი თითქმის გასამმაგდა. დოკუმენტის ტექსტის დაემატა პუნქტი, რომელიც ომის დროს სამხრეთ ისეთიდან გამოძევებული ადა-



მიანების „უკან დაბრუნების მოთხოვნას ეხებოდა.

„დევნილები ოცნებობენ დღიზე, როდესაც დაბრუნებას, იარების მოშუშებას და დანგრეული სახლების აღდგნას შეძლებენ,“ – მიმართავდა ხმის მიცემის პროცედურის დაწყებამდე სხდომის მონაცილებს ალექსანდრე ლომაია.

„მთ გულწრფელად სჯერათ, რომ საერთაშორისო საზოგადოების მუდმივ მონიდებებს შედეგი ექნება. დადგება დღე, როდესაც ადამიანები, რომლებიც ამ კაცებს, ქალებს და ბავშვებს დაბრუნების საშუალებას არ აძლევენ, იძულებული იქნებიან, დათმონ საკუთარი პოზიციები“. გაეროში რუსეთის მუდმივი ნარმომადგენლის მთავრილები, ალექსანდრე პანკინმა რიგით მეოთხე რეზოლუციას „გულახდილი დემაგოგია“ უწოდა. მან საქართველოს „ახალ რეალობებთან“ შეგუებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, საქართველომ უნდა გააცნობიეროს, რომ ორი „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ მონაცილების გარეშე დევნილების დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. პანკინმა აღნიშნა, რომ სოხუმის და ცხინვალის ნარმომადგენლებს, რომლებსაც რეზოლუციის განხილვაში მონაცილება უწოდდათ, ნიუ-იორქში ჩასვლის უფლებასაც არ აძლევენ: „მათ კიდევ ერთხელ უარი უთხრეს ვიზების გაცემაზე.“

აფხაზების და სამხრეთ რესერტის დე-ფაქტო მთავრობებს გაეროს გენერალური ასამბლეის კენჭისყრასთან დაკავშირებით საკუთარი ვრცელი განცხადების მოსამზადებლად ორთვენახევარი ჰქონდათ. რეზოლუციის ტექსტი მათ უნევის დისკუსიის ბოლო რაუნდის დროს წარუდგინეს. ჯერ კიდევ მამინ, დე-ფაქტო მთავრობის ნარმომადგენლები დოკუმენტის მიღების წინააღმდეგ გამოვიდნენ.

პანკინის შეფასებით, აღნიშნული რეზოლუციის მიღება უნევის დისკუსიების ფარგლებში დევნილების დაბრუნების შესახებ მიმდინარე დიალოგს გაართულებს. ამ არგუმენტს მხარი ბელარუსის ნარმომადგენლებაც დაუჭირა, რომელმაც სხდომის მონაცილებს ხმის მიცემისას თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

ბელარუსის მაგალითი გაეროს 74 წევრმა სახელმწიფომ გაითვალისწინა. რე-

ზოლუციის წინააღმდეგ 13 ქვეყანა გამოვიდა. 57-მა ქვეყანამ კი, მათ შორის აშშ-მდა ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ, დოკუმენტის მიღებას მხარი დაუჭირა.

სოხუმის და ცხინვალის გასაკვირად, რეზოლუციის წინააღმდეგ წასულ ქვეყნებს შორის არ აღმოჩნდა არც ნაურუ. 2010 წელს მოსკოვისგან მრავალმილიონიანი „ეკონომიკური და სოციალური დახმარების“ მიღების შემდეგ, ნაურუმ აფხაზეთის და სამხრეთ რესერტის დამოუკიდებლობა აღიარა. ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით პოზიციებს რამდენჯერმე იცვლიდა. ნაურუმ კენჭისყრისგან თავი შეიკავა.

■ რეზოლუციის წინააღმდეგ

13 ქვეყანა გამოვიდა. 57.-

მა ქვეყანამ კი, მათ შორის აშშ-მდა და ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ, დოკუმენტის მიღებას მხარი დაუჭირა.

რიცხვი კლებულობს, მხარდამჭერების რაოდენობა კი პირიქით – წლიდან წლამდე იმატებას.

საქართველოს ნარმომადგენლები არ მალავენ, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად სულ უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდებათ. გასულ წელს საქართველომ წყარი იკანის უნიტალოვან სახელმწიფოს ტუვალუს ჰუმანიტარული დახმარება გაუგზავნის შემდეგ, რაც ამ ქვეყანამ საქართველოს რეზოლუციას დაუჭირა მხარი. ჯერ უცნობია მოუწია თუ არა წელს საქართველოს დიპლომატიური მცდელობების გარდა ფინანსური სახსრების გაღება.

იმის გათვალისწინებით, რომ მსგავს დოკუმენტებს მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათი აქვს და არცერთ მხარეს არ აკისრებს ვალდებულებებს, ქართული მხარე აცხადებს, რომ პრაქტიკულ შედეგებზე საუბარი ჯერ ადრეა. ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა მუდმივმა ნარმომადგენლემა გაეროში ირაკლი ალასანიამაც განაცხადა:

„2008 წელს, როდესაც ეს რეზოლუცია პირველად მიღება, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ დოკუმენტში ტერმინი „ეთნიკური წმენდა“ მოხსენიებულიყო. სამწუაროდ, დოკუმენტში ამ ფორმულირების ბოლომდე შენარჩუნება ვერ მოხერხდა. თუმცა ის ფაქტი, რომ ამ რეზოლუციას ყოველ წელს იღებენ და, რომ მას ყოველ წელს სულ უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, მომავალში კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარებაში მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.“

თუმცა, მთელ ამ პრძოლაში ერთი საინტერესო დეტალი არსებობს. ისტორიული ტრადიციების თანახმად, რუს დიპლომატებს გაეროს კედლებში შექმნილი წებისმიერი დოკუმენტისა თუ განცხადების მიმართ განსაკუთრებული ეჭვიანობა ახასიათებთ. ამის შესახებ არაერთხელ უთქამს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს და ამჟამად საქართველოს ამავე უწყების ხელმძღვანელს გრიგოლ ვამაძეს.

თბილისში კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ყოველი მორიგი რეზოლუციის მიღება რუსეთის საგარეო უწყებაში აღშფოთებას გამოიწვევს და ამ შესახელიდან არ უშვებენ. 



ოპოზიცია

"შვასანიშნავი შვილები"

ცალკეულ პარტიებთან ინდივიდუალური მოღაპარაკებების სტრატეგიის ხარჯზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რვიანის დაშლა შეძლო.

მაია წიკლაური

27 ივნისს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პავლე კუბლაშვილმა და ოთხი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს – „შეთანხმება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ცვლილებებსა და ღონისძიებებზე“. ოთხი ოპოზიციური პარტიიდან ორი „რვიანის“ წარმომადგენელი იყო. „ქრისტიან-დემოკრატებისა“ და „მემარჯვენებისა“ ამ გადაწყვეტილებამ ოფიციალურად დაშალა რვა ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი ერთობა, რომელიც 10 თვის განმავლობაში საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ხელისუფლებასთან მოღაპარაკებს აწარმოებდა.

ხელისუფლებასა და 4 პარტიას (ქრისტიან-დემოკრატები, ახალი მემარჯვენები, ედპ, ჩვენ თვითონ) შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად, პარლამენტართა რაოდენობა 150-დან

190-მდე უნდა გაიზარდოს. 83 დეპუტატი მაჟორიტარული წესით უნდა აირჩის, 107 კი – პროპორციული წესით.

ხელისუფლებასა და რვა ოპოზიციურ პარტიის შორის საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით პირველი შეზვედრა 2010 წლის 10 ნოემბერს შედგა.

მას შემდეგ ათი თვე გავიდა, თუმცა მოღაპარაკებათა პროცესი, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების ფიდი მხარდაჭერის ფონზე მიმდინარეობდა, ყოველგვარი შედეგის გარეშე დასრულდა.

„რვიანში“ შემავალი ოპოზიცია ხელისუფლებასთან მოღაპარაკების პროცესში ორ ძირითად საკითხს აყენებდა. პირველი იყო მაჟორიტარი დეპუტატების რიცხვის შემცირება. ოპოზიციის აზრით, არჩევნები სამართლიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ პარტია არჩე-

ვნებში მიღებული ხმების ადეკვატური რაოდენობის საპარლამენტო მანდატებს მიიღებს. „რვიანი“ პარლამენტის დაკომ-პლექტებას 100 პროპორციული სიით გასული წევრისა და მხოლოდ 50 მაჟორიტარისგან ითხოვდა. გარდა ამისა, ოპოზიცია მაჟორიტარებისთვის საარჩევნო ბარიერის არსებული 30-იდან, 50 პროცენტმდე გაზრდას ითხოვდა.

თუმცა, ჯერ კიდევ მოღაპარაკებათა პროცესის დასაწყისში ეს საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო – ნოემბერში საქართველოს პრეზიდენტმა ამ საკითხის განხილვისას თქვა, რომ იგი მაჟორიტარული სისტემის შეცვლის კატეგორიული წინა-აღმდეგია.

მეორე საკითხი – 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ბიომეტრიული პასპორტების ამოქმედება იყო, რაც ოპოზიციის აზრით, საარჩევნო სიების უზუსტობის პრობლემას მოხსინდა.



არც ერთი ეს წინადადება ათთვიანი მოლაპარაკებების პროცესში ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა.

დღეუმენტში, რომელსაც „ქრისტიან-დემოკრატებმა“ და „ახალმა მემარჯვენებმა“ მოაწერეს ხელი გათვალისწინებულია ზოგიერთი ის წინადადებაც, რომელსაც თავის დროზე „რვიანი“ ითხოვდა – მედიისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მონიტორინგი, საოქტომბერის თვითმმართველობებისა და პრეზიდენტის რწმუნებულების კუთხით შენობებში განთავსება აიკრძალება, საარჩევნო დაებისას სასამართლოში საარჩელის შეტანის ვადა 2-დან 4 დღემდე გაიზრდება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღიონ ლარს მიღებს ყველა პარტია, რომელიც 5 პროცენტიან ბარიერს გადაახავს, საარჩევნო სიებს სპეციალური კომისია გადამომზებს, რომელსაც ოპოზიციონერი უხელმძღვანელებს.

საქართველოს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება რომ სჭირდება, ამას ოპოზიციის გარდა მუდმივად იმეორებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. თავის დროზე „რვიანის“ ჩამოყალიბებაც სწორედ ამ ორგანიზაციების წება-სურვილის გათვალისწინება უფრო იყო, ვიდრე ოპოზიციის მოლოდინი, რომ ხელისუფლება

■ მიზეზი იმისა, რომ შიდა დაბაბულობის ფონზე „რვიანი“ ერთიანობას ინარჩუნებდა, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერია იყო. უცხოელი დიპლომატები სხვადასხვა გზით საქართველოს ხელისუფლებას თაპოზიციასთან მოლაპარაკებისა და საარჩევნო სისტემის გამართვისკენ მოუწოდებელი ასეთი შედეგის გამოყენებით მოვალეობით, რომ გვევრნა ასეთ შედეგს მივალნებდით. ძროხა მოვითხოვეთ, ქათამი დაგვიკლეს და გადავწყვიტეთ ავილოთ. რომ არ ავილოთ შიმშილით მოვალეობით“, – ამბობს ნიკა ლალიაშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას.

ვერ მივალნებდით. ისიც კი, რაც მივიღეთ, წარმოუდგენელი იყო. პროცესში თავიდანვე ვმონაწილეობდით პროცესის მნიშვნელობითან გამომდინარე და არა იმიტომ, რომ გვევრნა ასეთ შედეგს მივალნებდით. ძროხა მოვითხოვეთ, ქათამი დაგვიკლეს და გადავწყვიტეთ ავილოთ. რომ არ ავილოთ შიმშილით მოვალეობით“, – ამბობს „მემარჯვენე“ მამუკა კაციტაძე.

„უნდა იცოდე, ვის ელაპარაკები და რისი მიღება შეგიძლია მისგან. მმართველი პარტიისგან მიღებული შეთანხმება არ პასუხობს ჩვენს მოთხოვნებს, არ არის საუკეთესო, მაგრამ ეს მაინც სოლიდური შედეგია“, – ამბობს „მემარჯვენე“ მამუკა კაციტაძე.

იმ ექვსი პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც ხელისუფლების წინადადებები არ მიიღეს, ფიქრობენ, რომ ყოფილმა პარტიიორებმა შეცდომა დაუშვეს, როდესაც „ხელისუფლებისგან გადმოგდებული სატყუარა აიღეს“.

„ხელისუფლებამ კვლავ ულტიმატუმისა და პოლიტიკური ვაჭრობის ენა აირჩია, უარი თქვა პოლიტიკურ დიალოგზე. ჩვენთვის მოუღებელია პრინციპი „ან დაგვეთანხმეთ, ან ჩვენ ჩვენსას მაინც გავიტანოთ“. ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს, თავისი თამაშით გათამაშოს და შეძლევ პარტი გაიკეთოს. ვიღაცებმა შეუწყვეს ამაში ხელი... ჩვენ შევთავაზებთ ხელისუფლებას ჩვენს წესებს, გახხდებით შესანიშნავი შვიდეული, ანუ პროცესში საზოგადოების ჩართვით ვაიძულებთ ხელისუფლებას მოლაპარაკებების მაგიდას დაუბრუნდეს“, – ამბობს „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია, რასაც გამორიცხავს ხელისუფლება.

მოლაპარაკებების ასეთი დასასრულის წინასწარმეტყველება კერ კიდევ მაშინ შეიძლებოდა, როდესაც ხელისუფლებასთან შეუთანხმებლობის გამო 2011 წლის მარტში „საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე“ ექვსთვიანი უშედეგო მოლაპარაკებები კიდევ 3 თვით გაიყინა. მაშინ ოპოზიციური ლიდერები აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებას არაფრის დათმობა არ სურდა.

„მარტის შემდეგ ჩვენ კი ვხვდებოდით

პოლიტიკა

საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგრამ რეალურად „რვიანძი“ ფუნქცია დაკარგა. ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ „რვიანძი“ ფიქრობდნენ დაეწყოთ საუბარი სხვა თემებზე – პატიმართა უფლებებზე, უსაფრთხოებაზე, პოლიციის დეპოლიტიზაციაზე. ეს იყო პირდაპირი გზაუნილები იქითევენ, რომ რვიანი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წასულიყო პოლიტიკური ბლოკისაკენ, რაც ჩვენთვის მიუღებელი იყო. ჩვენ გვინდოდა დატვრუნებოდით მოლაპარაკებებს არჩევნების თემაზე და პროცესი დაგვემთავრებინა“, – აცხადებს მამუკა კაციტაძე „ლიბერალთან“ საუბრისას.

„ახალი მემარჯვენები“ „რვიანის“ ინიციატივას სამოქალაქო მოძრაობის გაძლიერების შესახებ არ ემხრობოდნენ, არ სურდათ საპროტესტო აქციების მონაწილეობაც. ამავე პოზიციას იზიარებდნენ „ქრისტიან-დემოკრატებიც.“

მიზეზი იმისა, რომ შიდა დაძაბულობის ფონზე „რვიანი“ ერთიანობას ინარჩუნებდა, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა იყო. უცხოელი დიპლომატები სხვადასხვა გზით ევროსაბჭოს რეზოლუციით, ევროკავშირის დიპლომატების, ნაციონალისტების, ამერიკელი სახელმწიფო მოხელეების განცხადებებით, პირადი შეხვედრებით საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიციასთან მოლაპარაკებისა და ისეთი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბებისკენ მოუწოდებდნენ, „რომელიც ყველა მონაწილე მხარის წლობას დამსახურებდა“. საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ხელისუფლებაზე ზეწოლა და ერთიანობის შენარჩუნება „რვიანს“ უპირატესობას ანიჭებდა და აჩენდა იმედს, რომ მმართველი ძალა მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდოდა.

„ნაციონალური მოძრაობა“ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არც ისე კომფორტულ მდგომარეობაში იყო. ექცედა გზის, რომ თან დაეთმო ოპოზიციისთვის საერთაშორისო საზოგადოების თვალში და თან არაფრი დაეკარგა.

„რვიანის“ პოლიტიკაზე გარკვეული გავლენა მოახდინა 26 მთისის მოვლენებმაც. რადიკალურმა პოლიტიკამ აქტუალობა დაკარგა და ქართულ პოლიტიკურ სივრ-

სახელის საზოგადოებაზე
შეთანხმება ასასამთავრობო
ობინისას გვიპოვა

„საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციის“, „სა-
ერთაშორისო გამჭვირვალება –
საქართველოს“ და „სამართლიანი
არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოების“
განცხადებით – მიუხედავად იმისა,
რომ ნარმოდგნილი ცვლილებები
გარკვეულ პოზიტიურ ინიციატივებს
მოიცავს, საარჩევნო გარემოს გაუ-
მჯობესებისათვის არასაკმარისისა.

ნარმოდგენილი წინადადებები
ვერ უზრუნველყოფს პარტიის
მიერ მიღებული ხელისა და მის
მიერ პარლამენტში მოპოვებული
მანდატების პროპორციულობას.
ამომრჩეველთა სიებზე მომუშავე
კომისია კი „ვერ უზრუნველყოფს
ამომრჩეველთა სიებთან დაკავში-
რებული პრობლემების საბოლოოდ
აღმოფხვრას“. არასაკმარისია
ადმინისტრაციული რესურსის გა-
მოყენების პრევენციისთვის გათვა-
ლისწინებული უწყებათაშორისი
საკონკრეტული საბჭოს შექმნაც.
არასამთავრობო ორგანიზა-
ციები არ ეთანხმებიან საარჩევნო
შემოწირულობების გაორმაგების
ინიციატივას - ფიზიკური პირები-
სათვის 60 ათას ლარამდე, იური-
დიული პირებისათვის კი 200 ათას
ლარამდე.

„შემოთავაზებული დოკუმენ-
ტი სისტემურად არ ეხმანება
ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს,
როგორიცაა საარჩევნო ადმი-
ნისტრაციების დაკომპლექტება,
ადმინისტრაციული რესურსების
გამოყენების შეზღუდვა, პოლიტი-
კური პარტიების დაფინანსების
სისტემის დახვენა, ფინანსური მო-
ნიტორინგის მექანიზმების შექმნა
და ა.შ.“, – ნათქვამია განცხადებაში.
არასამთავრობო ორგანიზაციებს
დისკუსიის გაგრძელება აუცილე-
ბელ წინაპირობად მიაჩინიათ.

ცეში მხოლოდ „რვიანი“ იყო ის ძალა, ვი-
საც გაუჩინდა შანსი საზოგადოების მხარ-
დაჭერა მოეპოვებინა. პარალელურად,
საზოგადოებასაც გაუჩინდა მოლოდინები
„რვიანის“ მიმართ.

ერთადერთი, რასაც „რვიანისგან“ სა-
ზოგადოება და საერთაშორისო აქტორები
ითხოვდნენ, პრინციპულობისა და ერ-
თიანობის შენარჩუნება იყო. თუმცა მან
ეს უპირატესობა ველარ გამოიყენა.

„რვიანში“ შექმნილი დაბაბულობით ხე-
ლისუფლებამ ისარგებლა და იმის გამო,
რომ „ყველასთან ერთად ლაპარაკით შე-
დეგს ვერ მიაღწია“, 8 პოლიტიკურ პარ-
ტიას ინდივიდუალური მოლაპარაკები
შესთავაზა. სწორედ მოლაპარაკების ამ
ფორმატით „ნაციონალურმა მიძრაობამ“
„რვიანის“ დაშლა შეძლო.

მმართველ პარტიაში აცხადებენ, რომ
საკმარისზე მეტი დათმეს. „ქრისტიან-
დემოკრატები“ და „მემარჯვენები“
წარმატებას ზეიმობენ, ექვსიანი კი ეძებს
გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან.
მათ წინაშე რთული ამოცანა დგას, უნდა
შეძლონ და შეინარჩუნონ იგივე საერ-
თაშორისო მხარდაჭერა, რაც „რვიანს“
ჰქონდა და შეძლონ პროცესებში საზო-
გადოების უფრო მეტად ჩართოა.

ხელისუფლებასთან ხელშეკრულების
გაფორმებიდან მეორე დღეს ექვსიანისა
და ხელისუფლების წარმომადგენლე-
ბი ამერიკელ კონგრესმენებს შეხვდ-
ნენ. ამერიკელებმა შეხვედრის შემდეგ,
ერთი მხრივ, ექვსიანის წინადადებები
მოიწონეს, მეორე მხრივ კი განაცხადეს,
რომ „ახალი საარჩევნო სისტემა მეტად
თანმიმდევრული იქნება და თავისუფა-
ლი საარჩევნო გარემო აუცილებლად ჩა-
მოყალიბდება“.

„დარჩენილი 6 პარტია უნდა წავიდეს
ან რადიკალიზმის გზით, რაც როგორც
მთავრდება ვნახეთ 26 მაისს. მეორე გზა –
მოლაპარაკებით – წყლის ნაყვაა.
როცა მივლენ არჩევნებამდე, მანიც ჩვენს
მიერ შეთანხმებული წესებით მოუწევთ
არჩევნებში მონაბილეობა. თუ ბოიკოტს
გამოუცხადებენ არჩევნებს, მაშინ ყველა-
ფერი გასაგებია“, – ამბობს „ქრისტიან
დემოკრატიი“ ნიკა ლალიაშვილი, რომე-
ლიც კამაყოფილია ხელისუფლებასთან
მიღწეული გარიგებით. **ც**



ნინო გეგიშვილის პლოგი

„მთერი თბილისიდან 40 კილომეტრშია!“

უკვე სამი წელია, ყველაზე ხშირად ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ერთი ფრაზა ისმის – „მტერი თბილისიდან 40 კილომეტრშია!“ ვინ იდავ-ებს, მართლა ასეა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას მტრის ასე ახლოს ყოფნა ლეგიტიმაციის ხარისხს მატებს – ჰერნია, რომ რასაც მოისურვებს და გადაწყვეტს, ყველაფრის უფლება აქვს. ნაცმოძრაობის აქტივისტები და პრეზიდენტი ერთნაირი რიხით წარმოთქვამენ მაგიურ სიტყვებს „მტერი თბილისიდან 40 კილომეტრშია!“ და ამით ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს გვეუბნებიან, რომ ყველაფრი, რასაც ხელისუფლება გადაწყვეტს, მორჩილად უნდა მივიღოთ.

გიორგი კიკონიშვილის პლოგი

Myvideo-ს ათროვირეპული თაობა

აზრი კარგი რამება. მისი გამოხატვა – უკეთესი. ხოლო მისი გამოხატვა არგუმენტირებულად – საუკეთესო. აზრს ერთი ნაკლი აქვს – იმისათვის, რომ ის გამოხატო, როგორც მინიმუმ – უნდა გაგაჩნდეს. ხოლო იმისათვის რომ გაგაჩნდეს აზრი, როგორც მინიმუმ თავის ქალის შიგნით ორ ნაწილად დაყოფილი, დანაოჭებული ცომის მსგავსი ორგანოს საჭირო. ტვინს უწოდებენ. ტვინი საერთაშორისო ორგანოა და არ იმყოფება რომელიმე კონკრეტული ერის ტრადიციულ მფლობელობაში ან არამფლობელობაში. კონცაობა, გნებავთ ზასაობა, ორი ან ორზე მეტი ადამიანის ფიზიკური თუ სულიერი სიყვარულ/მოწონებ/აღზნების გამომხატველი პროცესია. ის თითქმის ყველას უყვარს, ისიც საერთაშორისო პროცესია და რაც მთავარია, არც ის ეკუთვნის რომელიმე ერს ტრადიციულად ან არა-ტრადიციულად.

ნინო ნატროშვილის პლოგი

ყველა ჩალი საჭისთან

გუშინ სახლში მიმავალი შუქრიშვანზე გავჩერდი... ჩემს გვერდით კიდევ ერთი მანქანა გაჩერდა, რომელსაც ახალ-გაზრდა, თავსაბურიანი ქალი მართავდა... მუსლიმი უნდა ყოფილიყო. წელში გამართული იჯდა, შუქრიშვანზე მწვანე ფერის ანთებას ელოდებოდა და შიგადაშიგ გვერდით სავარძელში არხეიანად მოკალათებულ მამაკაცს ლიმილით გადახედავდა ხოლმე... ჩემმა ტაქსის მძლოლმაც გახედა მათ მანქანას და ცოტა უკმეხად ჩაილაპარაკა: რა უაზროდ იცინის ეს ქალი...



მულტიმადია

რეალისტური სოცელი

ტვილიშვილი

მულტიმადია

ინდიელები თბილისში


საჯარო სკოლა

სასახლესატო გამოსიღაბის პუნქტი განვითიცაბი

რა სარგებლობა მოაქვს საჯარო სკოლების საატესტატო გამოცდებს სასწავლო
გარემოსთვის და მოსწავლეებისთვის?

რუსუდან ფანოზიშვილი





„უკაცრავად, მაგრამ, თუ შეიძლება, მიბრძანდით ახლა აქედან!“ – ასე უპასუხა „ლიბერალის“ კითხვას საატესტატო გამოცდების შედეგების შესახებ თბილისის 37-ე საჯარო სკოლის დირექტორმა.

მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა რამდენიმე ათეული სკოლის დირექტორების დათხოვნის საკითხი ტელეეთერით, საჯაროდ დააყენა, დირექტორების ნაწილმა პრესასთან ურთიერთობაზე უარი განაცხადა. ამის გამო, კიდევ უფრო გაჭირდა იმის გამორკვევა, თუ რა კავშირი აქვს სკოლის ცუდ მართვას გამოცდებზე ჩაჭრილი ბავშვების რაოდენობასთან.

37-ე სკოლა ერთ-ერთია იმ რამდენიმე ათეულ სკოლას შორის, რომელთა დირექტორებიც მოსწავლეთა დაბალი საგამოცდო შედეგების გამო დაისაჯნენ, ამ სკოლების საქმიანობას კი ახლა განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექცია სწავლობს.

ეს გახსნავთ პირველი შედეგი, რაც ხმაურიანად დაგეგმილ და წელს პირველად ჩატარებულ სასკოლო საატესტატო გამოცდებს მოჰყვა.

განათლების სამინისტროს მონაცემებით, საატესტატო გამოცდებზე დაახლოებით 50 ათასი მოსწავლე გავიდა. მათგან მოსწავლეების 30-მა პროცენტმა კარგი შედეგი აჩვენა, ხუთმა – საკურთხოს, 6 ათასამდე მოსწავლემ კი მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა.

თბილისის 108-ე საჯარო სკოლაში ასეთი 7 მოსწავლე იყო. მიუხედავად ამისა, ამ სკოლის პედაგოგებს ძალიან გაუკვირდათ ის, რომ სამინისტროს გენერალური ანდრიაშვილმა სატელევიზიო გამოსვლისას „დასჯილ“ სკოლებს შორის 108-ეც ახსნა. მათი თქმით, 7 ჩატარილი მოსწავლე მართლაც არასასურველი მაჩვენებელია, მაგრამ დანარჩენი მოსწავლეების უმრავლესობამ ამავე ტესტებში საშუალოზე მაღალი შედეგი აჩვენა, რაც მათი სკოლის ცუდ სასწავლო მეთოდიკაზე სრულიად არ მეტყველებს.

„რატომ ჩატრა შვიდი ბავშვი ჩვენს სკოლაში – ცხადია, ეს საგულისხმო კითხვაა და ჩვენ თვითონვე გვსურდა, მიზეზი გამოგვევლია, რათა მომავალი წლისთვის უკეთ მოვმზადებულიყვით. მათ კი დირექტორის ცუდი მუშაობის გარდა, სხვა, შესაძლო მიზეზი არ გამოიკვლიეს“, – ამბობს 108-ე სკოლის ქიმიის პედაგოგი და დასწენს, რომ მაგალითად, სკოლების კარგებად და ცუდებად კლასიფიკაციამდე, სამინისტრომ არ გაითვალისწინა არც სკოლების აკადემიური

■ „რატომ ჩატრა შვიდი ბავშვი – ეს საგულისხმო კითხვაა და ჩვენ თვითონვე გვსურდა, მიზეზი გამოგვევლია, რათა მომავალი წლისთვის უკეთ მოვმზადებულიყვით. მათ კი დირექტორის ცუდი მუშაობის გარდა, სხვა, შესაძლო მიზეზი არ გამოიკვლიეს“, – ამბობს 108-ე სკოლის ქიმიის პედაგოგი.

მაჩვენებლები და არც ოლიმპიადების შედეგები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ „შავ სიაში“ მოხვდა თბილისის მე-7 საჯარო სკოლაც და მისი უკვე ყოფილი დირექტორი გიორგი ედილშვილიც. სკოლიდან დათხოვნის შესახებ ედილაშვილმა ტელეეთერით შეიტყო. მეორე დღესვე დაწერა განცხადება და სამეურვეო საბჭოს მისი გადაყენების საკითხის განხილვა სთხოვა.

სკოლის დირექტორის პირდაპირ დათხოვნა განათლების სამინისტროს

არ შეუძლია. ეს საკითხი სამეურვეო საბჭომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს. თუმცა, ფაქტობრივად, საბჭოებს სამინისტრომ ალტერნატიული გადაწყვეტილების მიღების შანსი არ დაუტოვა. 21 ივნისს სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადება საბჭოების მიმართ ირიბ მუქარასაც შეიცავდა: „თუ რომელიმე სამეურვეო საბჭო თავს აარიდებს და დაკისრებულ დავალებას არ შეასრულებს, დადგება სამეურვეო საბჭოს პაუხისმგებლობის საკითხიც,“ ამ წინასწარი განცხადებების ფონზე, სამეურვეო საბჭოების სხდომები, სადაც დირექტორების გაშვება-დატოვების საკითხები განიხილებოდა, მხოლოდ აუცილებელ ფორმალობად იქცა.

სამეურვეო საბჭოების არსებობის ექვსწლიანი ისტორიის განმავლობაში არცთუ ისე ბევრია გადაწყვეტილებები, რომლებიც „დამოუკიდებელ“ ერთეულებად წოდებულმა საბჭოებმა მართლა დამოუკიდებლად მიიღეს.

შემდგან, სამი სკოლის (მე-14, 148-ე და 149-ე) სამეურვეო საბჭოებმა, რომლებიც დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავდნენ, არ გაითვალისწინეს სამინისტროს რეკომენდაცია. ამგვარი „ურჩობა“ სამივე შემთხვევაში სათანადოდ დაისაჯა – განათლების მინისტრმა საბჭოებიცა და დირექტორებიც პირადი ბრძანების საფუძველზე დაითხოვა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჩატრილი მოსწავლეების სკოლის დირექტორებს „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ 35-ე მუხლის – „პასუხისმგებლობა და სტრუქტურა“ დარღვევაში სდებს ბრალს. ეს მუხლი სკოლის დირექტორებს სასწავლო პროცესის სწორად ნარმართვას ავალდებულებს. „ასევე დარღვეულია მოსწავლისათვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, მიიღოს სრულყოფილი საშუალო განათლება“, – ნათესავისა განათლების უწყების განცხადებაში.

თუმცა, პასუხი მთავარ კითხვაზე – რა კონკრეტული კავშირი აქვს დირექტორებს მოსწავლეების წარუმა-

ტებლობასთან და რა მიზეზით ვერ უშრუნველყვეს მათ სასწავლო პროცესის სათანადო წარმართეა, განათლების სამინისტროს განცხადებაში არ არის.

გაუგებარია ისიც, თუ რატომ და-ავალა განათლების სამინისტრომ მოსწავლეთა ჩატრის მიზეზების დადგენა გენერალურ ინსპექციას – სამსახურს, რომლის მთავარი ფუნქცია სკოლებში ოურიდიული და ფინანსური დარღვევების გამოვლენაა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინშვილი ამბობს, რომ მოსწავლეთა დაბალი მაჩვენებლის მიზეზები თითოეულ სკოლაში ცალ-ცალკე უნდა ვექტორი.

„ერთ-ერთი ფაქტორი მაგალითად, შეიძლება იყოს ის, რომ სკოლაში მასობრივად შეჭირვებული მოსახლეობა სწავლობს და წიგნების ყიდვის საშუალება არ აქვს. ასეთ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს შეუძლია, გამოსავალი მათი დახმარება იქნება. რა თქმა უნდა, პრობლემა ჯერ უნდა გამოვიყვლით და მერე ვებრძოლოთ. წინასწარ ვერ გეტყვით, ამ შემთხვევაში ვინაა დამნაშავე“, – ამბობს მიმინშვილი.

განათლების სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ დირექტორთა დასჯით საჯარო სკოლაში ახალი, უარყოფითი ტენდენცია იწყება: თანამდებობის შენარჩუნების მიზნით, დირექტორები ეცდებიან საკუთარი სკოლების რეიტინგი ხელოვნურად ასწიონ – მაგალითად, სუსტ მოსწავლეებს, რომლებსაც პოტენციურად ზღვრის გადაღახვა გაუჭირდებათ, გამოსაშვებ გამოცდებზე საერთოდ აუკრძალონ გასვლა.

რამდენიმე დირექტორმა სკოლის პრესტიჟის შენარჩუნება მსგავსი მეთოდით წელსვე სცადა. მართალია, განათლების სამინისტროში ამტკიცებენ, რომ საატესტატო გამოცდებზე გასასვლელად ყველა მეთორმეტეკლასელი დარეგისტრირდა და გამოცდებზეც ყველა დარეგისტრირებული გამოცხადდა, მაგრამ ამ ოფიციალურ სტატისტიკაში არ ჯდება მაგალითად, ნინო კასაბურის შემთხვევა. ნინო ამბობს, რომ მცხეთის რაიონის სოფელ

ქსოვრეთის საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, გამოსაშვებ გამოცდებზე რეგისტრაციის უფლება მას დირექტორმა და მასწავლებლებმა არ მისცეს.

„თქვენს გამო სამსახურს არ დავკარგავო,“ – მკაცრად გვითხრა დირექტორმა მე და ჩემს კიდევ ერთ მეგობარს, ნინო თეგეტაშვილს. მასწავლებლებმა კი გაგვაფრთხილეს, აბიტურის საათებს ნულარ დაესწრებითო. ამიტომ ჯერ ეზოში ველოდებოდით ხოლმე აბიტურის საათების დამთა-

■ პასუხი კითხვაზე – რა კონკრეტული კავშირია აქვს დირექტორებს მოსწავლეების წარუმატებლობასთან, განათლების სამინისტროს განცხადებაში არ არის. გაუგებარია ისიც, თუ რატომ დაავალა სამინისტრომ მოსწავლეთა ჩატრის მიზეზების დადგენა გენერალურ ინსპექციას.

ვრებას, მერე აღარც მივდიოდით“, – ამბობს ნინო კასაბური, რომელიც რეპეტიტორთან სამ საგანში ემზადებოდა და იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარებას გეგმავდა.

სკოლის საატესტატო გამოცდებზე გასვლა შეუძლია ყველა მოსწავლეს, ვის საბოლოო სასკოლო ქულაც 5.1-ზე მეტი იქნება. ნინო კასაბურის სკოლის დასრულების შემდეგ სხვადასხვა საგანში, ძირითადად, 6 ან 7 ქულა გამოჰყენა, რაც მართლაც დაბალი აკადემიური მაჩვენებლია, მაგრამ გამოცდებზე გასვლისთვის ბარიერს არ

ქმნის. „არ ვიცოდი, თუ დირექტორს კარძალვის უფლება არ ჰქონდა, თორემ გავიდოდი“, – ამბობს ახლა ნინო და ჰყვება, რომ მისი კლასიდან, რომელშიც 10 მოსწავლე იყო, გამოცდებზე გასვლა სულ ოთხ ბავშვს უნდოდა. მათგან ორმა, რომლებიც გამოცდებზე დაუშვეს, კარგი შედეგი აჩვენეს, ნინო და მისი მეგობარი კი – არ დაუშვეს.

მეთორმეტეკლასელებისთვის საატესტატო გამოცდის დაინშვნა დახსლოებით წელიწადნახევრის წინ, 2010 წლის იანვარში გადაწყდა. საყოველთაო გამოსაშვები ტესტირების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოსწავლეთა „სკოლაში დაბრუნება“ იყო.

„ჩემი ინფორმაციით ეს ასეც მოხდა“, – ვარაუდობს მაია მიმინშვილი და დასტურად გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული პრეტესტებისა და ტესტების შედეგებს იხსენებს: „როცა შარშან მაისში ჩავატარეთ ტესტი, ძალიან მძიმე შედეგი მივიღეთ, წელს გამოცდაზე კი შედეგები შედარებით გაუმჯობესდა. ეს ორ რამეს შეიძლება, ნიშნავდეს: პირველი – მოსწავლეებს გამოცდაზე უფრო მეტი მოტივაცია აქვთ, უფრო კონცენტრირებული არიან, ვიდრე პრეტესტზე და ამიტომ უკეთეს შედეგს აღწევენ. მეორე მიზეზი კი შესაძლოა, მართლაც მოსწავლეების სიბეჭითე იყოს – მათ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, გამოცდების შიშით, შეიძლება, მართლაც უფრო მეტი იმეცადინეს“.

„ლიბერალთან“ საუბარში ზოგიერთი მეთორმეტეკლასელი ადასტურებს, რომ საატესტატო გამოცდების დაინშვნის შემდეგ სკოლაში სიარულს და იმ საგნების სწავლას, რომლებიც მისაღები გამოცდებისთვის არ სჭირდებოდათ, უფრო მეტი ყურადღება მიაციის. თუმცა, იმის სელალებით მტკიცება, რომ საატესტატო გამოცდებმა რეპეტიტორებისა და სკოლაში მოსწავლეთა სიარულის პრობლემა შეამსუბუქა, მაინც არ შეიძლება. მაგალითად, ანი ნადირაშვილი, რომელმაც პირველი ექსპერიმენტული სკოლა დამთავრა, ამბობს, რომ მის კლასში თითქმის ყველა მოსწავლე რეპეტიტო-

რებთან დადიოდა იმ რვა საგანში მო-
სამზადებლად, რომელთა ჩაბარებაც
ატესტაცის ასაღებად იყო საჭირო.

„რატომ უნდა გვევლო სკოლაში? ვისაც სწავლა არ გვინდოდა, არ და-
ვდიოდით, მაინც ნორმალურად არ
მასწავლიდნენ. ისინი კი, ვისაც ჩაბა-
რება უნდოდა, თითქმის ყველა საგან-
ში ემზადებოდნენ და სკოლაში ან მათ
რატომდა უნდა ევლოთ?“ – ამბობს
108-ე სკოლის კურსდამთავრებული,
ენდი პაპიაშვილიც, რომელსაც დაბა-
ლი აკადემიური მოსწრება ჰქონდა, მა-
გრამ გამოცდებზე მაინც დაუშვეს და
ატესტაცის აღებაც მოახერხა.

გამოცდების შედეგების გაანალი-
ზება ჯერ გამოცდების ცენტრში არ
დაუწყიათ, რადგან საატესტო გა-
მოცდებს მისაღები ტესტირება მაღე-
ვე მოჰყვა და ანალიზისთვის დრო არ
დარჩათ.

თუმცა, გამოსაშვები ტესტირების
დროს ერთი ტენდენცია მაინც დაფიქ-
სირდა: ელექტრონული გამოცდისთვის
სპეციალურად შექმნილი კითხვების
დაახლოებით 70 პროცენტი გამოუყე-
ნებელი დარჩა. კითხვები სამი დონის
იყო: მარტივი, საშუალო და რთული.
პროგრამის მიხედვით, თუ მოსწავლე
მოცემული სირთულის რამდენიმე კი-
თხვას ზედიზედ ვერ უპასუხებდა, მა-
შინ კომპიუტერი მას უფრო მარტივ
კითხვას სთავაზობდა, სწორი პასუხე-
ბის შემთხვევაში კი ტესტი რთულდე-
ბოდა. გამოცდების ცენტრში ამბობენ,
რომ წელს საატესტო გამოცდებზე
გასული მოსწავლეების დიდმა ნაწილ-
მა მხოლოდ მარტივი დონის კითხვებს
გასცა პასუხი, საშუალო და რთული
დონის კითხვები კი ცოტამ თუ აითვი-
სა.

სწორედ ამ მიზეზით ხსნის მაია მი-
მინოშვილი იმას, რომ მოსწავლეთა ნა-
ნილს საგამოცდო კითხვები მეტნილად
მეხსიერებაზე მორგებული მოეჩვენა:
„ასეთი ტიპის კითხვები, ძირითადად,
მარტივ დონეში შედიოდა. მოსწავლეე-
ბის უმრავლესობა კი ამ დონეს არ
ასცდენია და შესაბამისად, სააზროვნო
კითხვებზე, როცა ლოგიკური აზროვ-
ნების გამოვლენა იყო საჭირო, არ მი-

სულან“, – ამბობს მიმინოშვილი.

გამოდის, რომ მოსწავლეთა იმ ნა-
ნილმაც კი, რომელმაც მინიმალური
ზღვარი გადალახა, ეს ძირითადად,
მარტივი კითხვების ხარჯზე მოახერხა,
რომლებიც მათგან მხოლოდ მეხსიე-
რების გავარჯიშებას მოითხოვდა. ზღ-
ვარი კი მართლაც მინიმალური იყო –
ათბალიანი სისტემიდან 5.5 ქულა, სამ
საგანში კი – 5.2. განათლების სპე-
ციალისტებს სწორედ ამიტომ უჭირთ,
შეაფასონ მოსწავლეთა მომზადების
დონე და ისიც, თუ რეალურად რა შე-

**■ „არაადეკვატურია,
როცა საგამოცდო
სისტემით მოსწავლეს
აჩვევი, ისწავლოს
გამოცდისთვის
და არა უკეთესი
განათლებისთვის.
ამით მისი რეალური
განვითარების
შესაძლებლობას
ამცირებ“, – ამბობს ნათია
ანდლულაძე.**

ჩაჭრილად და რამდენი – ზღვარგა-
დალახულად.

მაია მიმინოშვილის თქმით, მომა-
ვალ წელს მსგავს გამონაკლისს აღარ
დაუშვებენ და მოსწავლეთაოვის მყარი
ბარიერი უკვე გამოცდების დაწყებამ-
დე განისაზღვრება.

საბოლოო ჯამში, აქტუალურია კი-
თხვა: რამდენად ეფექტური და სამარ-
თლიანია, სკოლაში 12 წლის მანძილზე
შეძნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების
ერთი ტესტირებით შეფასება?

გამოცდების ცენტრის ხელმძღვანე-
ლის თქმით, გამოცდები ეფექტურია,
რადგან ტესტები ისეა შედგენილი,
რომ არა მხოლოდ მოსწავლის ცოდ-
ნას, არამედ მის შესაძლებლობებსაც
ადგენს. მიმინოშვილი იმასაც აღნიშ-
ნავს, რომ ჯობდა, ატესტაციის აღება-
არალების საკითხი თავიდანვე ტეს-
ტებს არ გადაეწყვიტა.

არსებობს საპირისპირო მოსაზრე-
ბაც, რომლის მიხედვითაც, ტესტები
– რაც უნდა კარგად იყოს შედგენილი
– მოსწავლეთა შესაძლებლობებს მხო-
ლოდ ერთი კუთხით აფასებს: როგორ
პასუხობს მოსწავლე მოცემულ მო-
მენტში დასმულ კითხვებს. სკოლაში
12 წლის მანძილზე შეძნილი ცოდნისა
და უნარ-ჩვევების შეფასება კი ამგვარ
მექანიკურ პროცესზე დამოკიდებული
არ უნდა იყოს.

განათლების სპეციალისტი ნათია
ანდლულაძე მიიჩნევს, რომ ზოგადად
შეცდომაა, როდესაც განათლების სა-
მინისტრო ქვეყნის საგანმანათლებლო
სისტემის გარდაქმნას „ბოლოდან“
იწყებს: „არაადეკვატურია, როცა სა-
გამოცდო სისტემით მოსწავლეს აჩვევი,
ისწავლოს გამოცდისთვის და არა უკე-
თესი განათლებისთვის. ამით მისი რე-
ალური განვითარების შესაძლებლობას
ამცირებ“, – ამბობს ანდლულაძე, –
გამოდის, რომ სახელმწიფოს არ შეუ-
ძლია სწორად მართოს სისტემა და მის
გამოსწორებას მოსწავლეთა და მასწა-
ვლებელთა დახმარებით კი აიწყებს,
არამედ მათ წინაშე გაურკვეველი ამო-
ცანების დასმით და ნაკლებად აინტე-
რესებს, როგორ მიაღწევენ ისინი ამ
ამოცანებს“. **■**

ეაისაჯონ უკათხისი ბანათისაბისთვის!



თუ გვინდა, რომ სკოლებმა უკეთესი შედეგები აჩვენონ, მათ დასახმარებლად ინსპექტორების ნაცვლად საგანმანათლებლო მრჩევლები უნდა გავაგზავნოთ.

სიმონ ჯანაშვილი

ზოგიერთი აღწერით, ვლადიმერი ილიას ძე ლენინს, ზოგი ცნობით კი, ფელიქს ედმუნდის ძე ძერუინსკის მიეკუთვნება გამოთქმა, რომ სჯობს ასი უდანაშაულო ადამიანი დააპატიმრო, ვიდრე გარისკო და ერთი დამნაშავე გაგეექცეს. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ასევე მოქმედებდა პრინციპით, რომ ყველა დამნაშავეა, სანამ საპირისპიროს დამტკიცებას შეძლებს. ცხადია, დღევანდელ საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან არც მსგავსი განცხადებები ისმის, არც მასობრივი ტერორია, მაგრამ განათლების სისტემაში მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილი სწორედ მსგავსი მსოფლმხედველობის ანარეკლია. ეს კი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ამ სფეროს გრძელვადიან განვითარებას, არამედ – მის დღევანდელობასაც.

დასჯას, როგორც მართვის ინსტრუმენტს, განათლების სისტემის ხელმძღვანელები სულ უფრო ხშირად მიმართავენ. საქართველოში სკოლის დამამთავრებელი გამოცდების სისტემის შემოღების წლინახევრიანი ისტორია ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

გადავავლოთ თვალი, თუ როგორ განვითარდა მოვლენები 2010 წლიდან დღემდე. გამოსაშვები გამოცდების შემოღების იდეას სკოლის მოსწავლეების ნაწილი თვალდანვე არ დაეთანხმა. მათ უქმაყოფილება 2010 წლის შემოდგომაზე განათლების სამინისტრო-



■ გამოსაშვები გამოცდების პირველსავე წელიწადს რამდენიმე ათასი მოსწავლე გამოსაშვებ გამოცდებზე საერთოდ არ დარეგისტრირდა. იმ მოსწავლეებიდან კი, ვინც რეგისტრაცია გაიარა, რამდენიმე ათასი გამოცდაზე არ გავიდა.

სა და საქართველოს პარლამენტის წინ გამართულ აქციაზეც გამოხატეს. ამ აქციის ერთი შედეგი იყო ის, რომ პროცესტანტებს საქართველოს პრეზიდენტმა „ოროსნები“ უწოდა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კი არაფორმალური ხერხებით და, ასევე კანონმდებლობის მოშველიებით, გაათავისუფლა თანამდებობებიდან იმ სკოლების დირექტორები, რომელთა მოსწავლეებიც, თითქოს, გამოცდების შემოღებას აქციაზე დასწრებით ეწინააღმდეგებოდნენ.

გამოცდების შემოღების არგუმენტად დასახელდა ის, რომ წლევანდელი სკოლადამთავრებულების მიმართ დაწესებული მაღალი მოთხოვნებით ამაღლდებოდა სწავლის, კერძოდ კი სკოლაში სიარულის მოტივაცია და გაიზრდებოდა მოსწავლეთა პასუხისმგებლობა, თან არა მხოლოდ წლევანდელ, არამედ შემდგომ თაობებშიც.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოცდების დამთავრების შემდეგ დაადგინა, თუ რა იქნებოდა გამსვლელი ქულა. თუმცა, რამდენად განსხვავდებიან განათლების დონით ის მოსწავლეები, რომელთა შედეგებს შორისაც სხვაობა სულ ერთი ქულაა, ამის თქმა შეუძლებელია. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილებას მხოლოდ პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს ნარმომადგენლებმა თავად გადაწყვიტეს, წელს რამდენ მოსწავლეს არ უნდა მისცე ატესტატი, ანუ რამდენი უნდა დასაჯონ დემონსტრაციულად იმისთვის, რომ შემდეგ წელს გამოცდებზე უკეთესი შედეგი მიიღონ.

მხოლოდ მოსწავლეების დასჯა, როგორც ჩანს, შედეგების გაუქონესებისთვის საკმარისად არ მიიჩინეს. სამინისტრომ დაავალა გენერალური ინსპექციას, რომ დაინტოს იმ სკოლების დირექტორების გათავისუფლებაც, რომელთა მოსწავლეებმაც გამოცდებზე ცუდი შედეგები აჩვენეს.

დასჯის, როგორც მეთოდს გამოყენება აკრძალული არ არის, მაგრამ ერთია, როდესაც მასწავლებე-

ლი მოსწავლეს სჯის, ხოლო მეორე, როდესაც სამინისტრო სჯის მოსწავლეებისა და სკოლის დირექტორების მთელ ჯგუფებს. მასწავლებელმა შესაძლოა, გამოიყენოს გარკვეული სასჯელი, როგორც ქცევის მოდიფიცირების საშუალება. თუმცა ამ მეთოდს ის უკიდურეს და გამონაკლის შემთხვევებში უნდა მიმართავდეს. ჯერ მან კონტექსტის შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია უნდა შეაგროვოს და უნდა დასაჯოს მოსწავლე მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვაგვარად რაიმე მნიშვნელოვანი საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება. ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის სტიგმატიზება არ მოხდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსწავლემ დასჯისას უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა შეცვალოს საკუთარი ქცევა, როგორ უნდა იმოქმედოს, რომ სასჯე-

■ დასჯას, როგორც მართვის ინსტრუმენტს, განათლების სისტემის ხელმძღვანელები სულ უფრო ხშირად მიმართავენ.

სკოლის დამამთავრებელი

გამოცდების სისტემის

შემოღების წლინახევრიანი

ისტორია ამის ერთ-ერთი

თვალსაჩინო მაგალითია.

ლის ნაცვლად პატივისცემა დაიმსახუროს. თან ის გამოსწორებას სისტემის თვალის ასახვევად კი არ უნდა ცდილობდეს, არამედ მისი მცდელობა პოზიტიურ, გააზრებულ ლირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს.

სკოლის დირექტორების დასჯისას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არანაირი კვლევა არ ჩაუტარებია. სამინისტროს არ უკვლევია, თუ როგორი სოციო-ეკონომიკური ფონია სკოლაში, რა რესურსებს ფლობს ის, რა მოტივაცია აქვთ მოსწავლე-

ებს, როდის დაინიშნა დირექტორი, რა ზომებს მიმართავდა ის სასწავლო პროცესის სამართავად და სხვა. ამავდროულად, სამინისტროს არ ჰქონდა დრო, გამოეკვლია თავად ტესტიც. ხომ არ იყო ტესტი გაუმართავი? ტესტირების შინაარსი ან ტესტირების პროცესი ხომ არ აყენებდა უპირატეს მდგომარეობაში მოსწავლეების გარევულ ჯგუფებს? რამდენად იძლევა ეს ტესტი მოსწავლის საუკეთესო მხარეების გამოვლენის საშუალებას?

ისე, რომ ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხის მოსახებნად დრო არ დაუხარჯავთ, დირექტორები აპრილი დამნაშავებად გამოცხადდნენ მანამ, ვიდრე საკუთარ სიმართლეს არ დაამტკიცებენ.

ამგვარი მართვის მეთოდები კი საზიანოა, როგორც ზოგადად დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის, ისე განათლების სისტემისთვის. დასჯით დირექტორების პასუხისმგებლობის ამაღლება კი არ ხდება, არამედ – მათი დაშინება. ეს კი სკოლების მოქმედ მმართველებს უბიძგებს, ცუდი შედეგები ნებისმიერი მეთოდით გამოასწორონ. ამიტომ ისინი მოსწავლეების გადარჩევასაც იწყებენ.

გამოსაშვები გამოცდების პირველავენ ნელინადს რამდენიმე ათასი მოსწავლე გამოსაშვებ გამოცდებზე საერთოდ არ დარეგისტრირდა. იმ მოსწავლეებიდან კი, ვინც რეგისტრაცია გაიარა, რამდენიმე ათასი გამოცდაზე არ გავიდა. სავარაუდოდ, შემდეგ წელს, სკოლებს კიდევ უფრო მაღალი მოტივაცია ექნებათ, ე.წ. სუსტი მოსწავლეები ტესტირებამდე არ მიუშვან. ამით ისინი მოსალოდნელ სასჯელს თავიდან აიცილებენ.

ამ ფონზე იდნავ ირონიულიც კია ის, რომ პარალელურად სკოლის დირექტორების შესარჩევი კონკურსი მიმდინარებოს. ძნელი იქნება, ნარმოვიდგინოთ დემოკრატიული ლირებულებების მქონე, კვალიფიციური, დამოუკიდებელი, პრინციპული ადამიანი, რომელსაც ისეთ სისტემაში დასაქმება და ნარმატების მიღწევა მოუნდება,

როგორიც ზევით აღვერეთ.

განსაკუთრებით ძნელი წარმოსადგენია, რა მოტივაცია უნდა ჰქონდეს მოვიდნე და პატიოსან ადამიანს, გახდეს იმ სკოლის ხელმძღვანელი, სადაც ტესტების შედეგების გამო მისი ნინამორბედი დირექტორი მოხსნეს.

განათლების საკითხებში გარკვეულ-მა ნებისმიერმა ადამიანმა იცის, რომ ერთი წლის განმავლობაში სკოლის შედეგების მკვეთრი გაუმჯობესება მხოლოდ ორი გზითაა შესაძლებელი – შემთხვევით, ან შედეგების მიზანმიმართული გაყალბებით. განსაკუთრებით რთულია რაიმეს გამოსწორება იმ სკოლაში, რომელსაც სახელმწიფო ყველაზე ცუდი შედეგების მქონეს იარღიყს მიაწებებს.

გამოსაშვები გამოცდების პიზიტიურად გამოყენება შესაძლებელია, მაგრამ გაცილებით უფრო დახვეწილი მეთოდებია საჭირო, ვიდრე დღეს

მიმართავენ. გამოცდების შედეგებს სკოლების და მოსწავლეების დასასჯელად არ უნდა იყენებდნენ. ტესტირების ფარგლებში გამოვლენილი ცოდნა კი მხოლოდ ერთი და არა ერთადერთი ინდიკატორი უნდა იყოს მოსწავლის მრავალნობიანი მუშაობის შეფასებისას.

თუ გვინდა, რომ სკოლამ შედეგები გააუმჯობესოს, სკოლაში ინსპექტორების ნაცვლად საგანმანათლებლო მრჩევლები უნდა გავაგზავნოთ. კონსულტანტების კვლევის შედეგად კი თითოეული სკოლისთვის ცალ-ცალკე უნდა შედგეს კონკრეტულად მასზე მორგებული გაუმჯობესების გეგმა. ზოგან მეტი რესურსის მიზოდება გახდება საჭირო, ზოგან – მასწავლებლების და ადმინისტრაციის კვალიფიკაციის ზრდაზე ზრუნვა, ანდა კონტინგენტის განახლება და მშობლებთან მუშაობის გააქტიურება.

ზოგ სკოლაში შესაძლოა, გახანგრძლივებული სწავლებისთვის საჭირო დაფინანსების ზრდა იყოს აუცილებელი, ზოგან კი დადებითი ეფექტი სკოლაში სკოლის თემის საჭიროებზე სასწავლო განრიგისა და კალენდრის მორგებამაც მოიტანოს.

გადამწყვეტია, რომ დირექტორების, მასწავლებლების, მოსწავლეების მიმართ სახელმწიფოს არა მარტო მაღალი მოთხოვნები, არამედ მაღალი მოლოდინებიც ჰქონდეს. მოსწავლეები უნდა დავარწმუნოთ, რომ ისინი ოროსნები არ არიან. დირექტორებს კი საჭიროა, სჯეროდეთ, რომ მათი პასუხისმგებლობის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი თანამდებობის დაკარგვის საშიშროება კი არ უნდა იყოს, არამედ უნარი – არსებულ მონაცემებზე დაყრდნობითა და სახელმწიფოსა და საზოგადოების დახმარებით, წარმატებით მართონ სკოლა. **■**

Radio Commersant

marketing@commersant.ge
+995 32 505 955



ბიზნესის პარსონალური რალიო

Commersant.ge



ნაცილობრივ თავისუფალი მალი

ერისა ლ ხეისუფლის თამაშები

რეგიონალური ტელეკომპანიების ერთი ნაწილი გადარჩენისთვის იბრძვის, მეორე ნაწილი კი მმართველი პოლიტიკური გუნდის კეთილგანწყობისთვის.

მიხეილ კვიციანი, სტუდია „მონიტორი“

ბათუმის 25-ე არხი, 26 მაისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს პირდპირ ეთერში აშექებდა, როდესაც არხი საკაბელო ქსელიდან გათიშეს. ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, მაისის დასაწყისში 25-ე არხმა და ტელეკომპანია „მაესტრომ“ თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს და რეგიონალურმა არხმა გარკვეულ საათებში მაესტროს ეთერის ტრანსლირება დაიწყო.

„ჩვენი არხი, 27 მაისს, დილით ბათუმში

ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა საკაბელო ქსელმა „ერამ“ გათიშა. „ერას“ მფლობელები – მერაბ მეტრეველი და სულხან გოგიბერიძე არიან. სულხან გოგიბერიძის ძმა, სპეციალური ოპერატორი დეპარტამენტის (სოდი) მაღალჩინოსანა, „ – ამბობს 25-ე არხის ხელმძღვანელი მერაბ მერკვილაძე, რომელიც იხსენებს, რომ არხის გათიშვის შემდეგ მთელი დღე რეკავდა მაყურებელი და გათიშვის მიზეზს არკვევდა.

„ერა“ 25-ე არხის გათიშვის მიზე-

ზად ტექნიკურ ხარვეზს ასახელებდა. ბათუმის მოსახლეობამ „ერას“ ოფისთან საპროტესტო აქციაც გამართა.

„ხალხს არავინ პასუხი არ გასცა. თანამშრომლებმა ჩუმად დატოვეს სამსახური. ჩვენ მათ შევთავაზეთ ტექნიკური დახმარება, რომ აღდგენილიყო არხის ჩვენება საკაბელო ტელევიზიაში. თუმცა, ხელმძღვანელობიდან არავინ გვპასუხობდა. დამფუძნებელმა, გოგიბერიძემ სატელეფონო საუბარში განგვიცხადა, რომ საზღვარგარეთ იყო, დაბრუნდებო-



25-ე არხი

და და გაარკვევდა სიტუაციას.“ – ამბობს მერკვილაძე.

გათიშვილან რამდენიმე დღეში 25-ე არხის ხელმძღვანელობაში ამ ინციდენტის შესახებ ინფორმაცია დიპლომატიურ კორპუსს მიაწოდა. რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, კენტ ლონგსტონი 25-ე არხის საკითხით დაინტერესდა, საკაბელო მაუწყებელმა არხის ტრანსლაცია აღადგინა.

27 მაისის გათოშვა დამოუკიდებელი არხისთვის პირველი შეფერხება არ ყოფილა. 2006 წელს „25-ე არხის“ მაუწყებლობა მაშინ გაითიშა, როდესაც სასტუმრო „მედეას“ ნივრევას და შენობიდან ლტოლევილების გამოსახლებას აშუქებდნენ. „ჯერ ელექტრონერგია შეგვინყოფეს. შემდეგ კი, როცა მუშაობა გენერატორით გავაგრძელოთ, „25-ე არხი“ ყველა საკაბელო ქსელმა გამორთო. რამდენიმე საკაბელომ, რომელთაც შედარებით მცირე დაფარვა ჰქონდათ, არხი ერთ თვეში, ხოლო „ერაზ“ მხოლოდ 9 თვის შემდეგ ჩართო“, – ამბობს მერაბ მერკვილაძე.

საკაბელო ქსელთან პრობლემები კიდევ ერთ რეგიონალურ არხს აქვს. ტელეკომპანია „გურჯაანი“ ამჟამად გურჯაანი, ყვარელში და ლაგოდეხში მეტრული დაპაზონით მაუწყებლობს. „გურჯაანი“ ადგილობრივ საკაბელო ქსელში ჩართული არ არის. ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის, ლევან ალექსიშვილის განცხადებით, მათ არაერთხელ მიმართეს ადგილობრივი საკაბელო ქსელის „სინერგია კახეთის“ დირექტორს გელა ძამუკაშვილს, თუმცა, უარი მიიღეს.

„ჩემი აზრით, უარის მიზეზი ისაა, რომ ჩვენ გვაქვს კრიტიკული გადაცემების მთელი სპექტრი, უურნალისტური გამოძიება, ასევე აქტიურად ვაჟუქებდით სოფლის დახმარების პროგრამას. ჩვენს ეთერში გადის ტოკ-შოუ „ძალა უძალოთა“. სწორედ ამ მიზეზის გამო გვეუბნება საკაბელო ქსელი ჩართვაზე უარს. საკაბელო ქსელი არ არის მხოლოდ კომერციული ორგანიზაცია, ის საზოგადოებრივი სიკეთით სარგებლობს და თუ ტელეკომპანიას ჰყავს

მაყურებელი, მაშინ მისი ქსელში ჩაურთველობა აღლოგიურია. მით უმეტეს, როდესაც ხალხი ამას ითხოვს.“ – ამბობს ლევან ალექსიშვილი.

იმ დროს, როდესაც რეგიონალურ ტელეკომპანიებს, რომლებიც დამოუკიდებელ სარედაქციო პოლიტიკას ატარებენ, სხვადასხვა პრობლემები ექმნებათ, ხელისუფლების მიმართ ლოიალური რეგიონული ტელეკომპანიების მფლობელები და ყოფილი თუ მოქმედი დირექტორები ხელისუფლებაში ინაცვლებენ.

მმართველი პარტიის სიით პარლამენტის დეპუტატი გახლდათ ზუგდიდის ტელეკომპანია „ოდიშის“ მეპატრონე გრიშა ქობალია, მისი შვილი კი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამებელი. სამეცნელოს გუბერნატორის მოადგილე – ფოთის ტელეკომპანია „მე-9 ტალღის“ ერთ-ერთი მეპატრონე მამუკა თოლდეა.

ახალციხის ტელეკომპანია „მე-9 არხის“ მეპატრონე დიდი ხნის მანძილზე საგადასახადო სამსახურის უფროსი ზურაბ ჩილინგარიშვილი იყო, გასული წლის ივნისში „მე-9 არხის“ მეპატრონე ფორმალურად შეეცვალა და ამჟამად ამ ტელეკომპანიის 60 პროცენტი ჩილინგარიშვილის თანასოფლელს ნუგზარ კაჭაჭაჭიშვილს, ხოლო 40 პროცენტი იმარ სამსონიძეს ეკუთხის.

სამცხე-ჯავახეთში მოქმედი სამივე ტელეკომპანია: მე-9 არხი, ახალქალაქის „ატვ ახალქალაქი“ და ნინოშვილის ადგილობრივი ტელეკომპანია „იმპერია-მე-9 არხის“ კუთვნილ სიხშირეზე მაუწყებლობს. ამ კომპანიის ერთ-ერთი მეპატრონე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ამირან მესხელის ძმაა.

ბორჯომის რაიონის გამგებლის მოადგილედ მეშაობდა ადგილობრივი ტელეკომპანიის ერთ-ერთი მეპატრონე, ტრისტან ცუცქირიძე. რესთავის ადგილობრივი ტელევიზიის მეპატრონე როლანდ მგალობლიშვილი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეობდა. ქუთაისში მოქმედი ტელეკომპანია „რიონის“ მეპატრონე თამარ ღვინიანიძე – „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივ შტაბს ხელმძღვანელობდა.

რეგიონალურ ტელევიზიებზე სახელისუფლებო წესების დეტალების შესახებ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი საუბრობს.

■ რამდენიმე საათში მას

შემდეგ რაც, ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, კენტ ლონგსტონი გათიშული 25-ე არხის საკითხით დაინტერესდა, საკაბელო მაუწყებელმა არხის ტრანსლაცია აღადგინა.

შურნალისტური გამოძიება

ერთ-ერთი ასეთი ტელეკომპანია „თრიალეთის“ მფლობელი ბადრი ნანეტაშვილია, რომელიც ადრე ნაციონალური მოძრაობის წევრი იყო, დღეს კი ხელისუფლების ოპონენტია. ნანეტაშვილი თავადაც პარლამენტის დეპუტატი გახლდათ, მერე კი შედა ქართლში პრეზიდენტის რჩმუნებულის მოადგილე. მმართველ გუნდთან დაპირისისირების გამო მას დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყვიტეს და ამის შემდეგ მან რეგიონალურ ტელეკომპანიაზე სახელისუფლებო წნების შესახებ დაიწყო საუბარი.

ტელეკომპანიის მფლობელებს და ხელისუფლებას შორის უთანხმოება მას შემდეგ გამწვავდა, რაც „თრიალეთის“ უურნალისტმა ადგილობრივი პროკურორი გაუპატიურების მცდელობაში საჯაროდ დაადანაშაულა. მმართველი გუნდის წევრები ნანეტაშვილს სოხოვდნენ, რომ საქმე ხმაურის გარეშე მოეგვარებინათ. ტელეკომპანიამ ინციდენტი არ მიაჩუმათ, გორელმა უურნალისტებმა საქმის ობიექტური გამოიძიებს მოთხოვნით, თბილისში გენერალურ პროკურატურასთან აქცია გამართეს.

„პარლამენტის უმრავლესობის მაშინ დელმა ლიდერმა გიგა ბოკერიაშ თავის კაბინეტში დამიბარა და მომთხოვა, ჩემი ნებით დამეტოვებინა დეპუტატის მანდატი. უურნალისტთა აქციის ორგანიზატორისას მაპრალებდნენ, ხომ იცი, ჩევ არავის არაფერს ვპატიობთ, შენი სურვილით ნადი პარლამენტიდან, – მემუქრებოდნენ თანაპარტიელები“ – ამბობს ბადრი ნანეტაშვილი: „აქცია საბაზი გახლდათ, რეალურად ხელისუფლებას ტელეკომპანიის ნართმევა სურდა. თავდაცეის მაშინდელი მინისტრის ირაკლი იქრუაშვილის გუნდის წევრად ჩამოთვალეს და ამის გამოც მსჯიდნენ“.

ნანეტაშვილი ამბობს, რომ რევოლუციის შემდეგ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს „თრიალეთის“ ყიდვა სურდა. „სხვადასხვა ქონების სახით ტელეკომპანიაში 4 მილიონ დოლარს მთავაზობდნენ. ტელეკომპანია არ გავყიდე, რადგან იმედი არ მქონდა, რომ მოცემულ ფულს არ წამართმევდნენ. შემდეგ, ქვემო ქართლის გუბერნატორისაც შემომთავაზეს. ჩემი თანხმობის შემთხვე-

ვაში სააკაშვილი მზად იყო ამ პოსტზე დავენიშნე. მოგვიანებით, მართლაც ვმუშაობდი რამდენიმე თვე შედა ქართლის გუბერნატორის მოადგილედ, თუმცა მალევე დავრწმუნდი, რომ ტელეკომპანიას ვაზარალებდი და თანამდებობა დავტოვე“, – ჰყვება იგი.

შიდა ქართლში მეორე ტელეკომპანია – „ქართლიც“ მაუწყებლობდა. მისმა მეპატრონებმა საუკიარი წილი სახელმწიფოს აჩუქეს, ნანეტაშვილი ამბობს, რომ რეალურად ხელისუფლებამ მათ ტელეკომპანია უბრალოდ წაართვა.

2010 წლის სექტემბერში ბადრი ნანეტაშვილს ტელეკომპანიის გაყიდვა კიდევ ერთხელ შესთავაზის.

■ სამცხე-ჯავახეთში მოქმედი სამიცვე ტელეკომპანია „იმპერია-მე-9 არხის“ კუთვნილ სიხშირეზე მაუწყებლობს. ამ კომპანიის ერთ-ერთი მეპატრონე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ამირან მესხელის ძმაა.

„ერთ-ერთმა ფირმამ შემომთავაზა, რომ ჩემს ტელეკომპანიაში 6 მილიონ დოლარს გადაიხდიდა. გადასახადების გადახდის შემდეგ მე 5 მილიონი დამრჩებოდა“, – ამბობს ნანეტაშვილი. თუმცა, ამ გარიგების სანაცვლოდ მას გარკვეული პერიოდი ქვეყნის დატოვება მოსთხოვეს. „ტელეკომპანიის გაყიდვის შემდეგ, სამი წლით მაიც, ოჯახთან ერთად საცხოვრებლად საქართველოდან უნდა ნახვიდე, – მათ ასეთი პირობა წამომიყენეს“, – აცხადებს ნანიტაშვილი, რომელიც მიჩნევს, რომ კომპანია ხელისუფლების დაკვეთით ყიდულობდა „თრიალეთს“, რომლის საბაზრო ფასი 6 მილიონი არ არის.

მას შემდეგ, რაც ნანეტაშვილმა ტელეკომპანიის გაყიდვაზე უარი თქვა, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზეზით, დააკავეს მისი ძმა ჯონი ნანეტაშვილი, რომელსაც „თრიალეთის“ 50

პროცენტი ეკუთვნის.

„თრიალეთის“ საინფორმაციო გამოშვებები მშავე და კრიტიკულია ხელისუფლების მიმართ. ჩვენს არხზე კვირაში ორჯერ გადის პოლიტიკური ტოკ-შოუ „ცხელი ხაზი“, სადაც თბილისიდან ოპოზიციის ლიდერები სპეციალურად ჩამოდიან და პრობლემებზე საუბრობენ. რიგით თანამშრომლის დაკავებით ვერაფერს შეცვლილენ და ამიტომ ზენოლდა და დაშანტაუება არხის ხელმძღვანელობაზე და მფლობელზე სცადეს“, – განუცხადა „მედანიუსს“ არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ლადონ ბიჭაშვილმა.

ტელეკომპანია „თრიალეთის“ გადამცემები გორის რაიონში მდებარე ტელერადიოცენტრის ანძაზე აქეს დამიტონიშვილებული. ყოველთვიური გადასახადი – 1500 ლარი, რომელშიც მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯები არ შედის, კომპანიისათვის საკმაოდ ძვირია.

„თრიალეთის“ დამფუძნებელი ბადრი ნანეტაშვილი ამბობს, რომ საკუთარი ანძით მაუწყებლობას დამოკიდებლობა და იაფად შეძლებდნენ. 2009 წლის სექტემბერში ჯონი ნანეტაშვილმა, გორის მუნიციპალიტეტის გამგებელს – დავით ხმიადაშვილს, ტელერადიოცენტრის ანძასთან მდებარე ნაკვეთის შესაძნად მიმართა. თუმცა, ნაკვეთი აუქციონის გარეშე გასაიდუმლობულად კომპანია „კავკასუს“ გადასცეს. ხელშეკრულების მიხედვით „კავკასუს ანლაინს“ ალნიშნული ფართი – 49-წლიანი იჯარით გადაეცა. იჯარის ღირებულება 1 კვადრატულ მეტრზე – 0,24 ლარს, ანუ წლიურ – 120 ლარს შეადგენს.

„ანძის აშენებამდე გვატყუებდნენ, რომ აუქციონი დანიშნულობდა. იცოდნენ, ამ ფაქტს გავამაურებდნებით და პრობლემები შეექმნებოდათ. მას შემდეგ, რაც გუბერნატორის მოადგილეობის პოსტი დავტოვე, მიწა „კავკასუს“ მისცეს, ჩევ შევიზუდეთ, ისევ სახელმწიფო ანძაზე უნდა ვიყოთ დამოკიდებული და ხევალ თუ ვიღაც „გაგვიპრაზდება“, გადასახადი უნდა მოგვიმატონ.“ **¶**

სტატია დაფინანსებულია „ევროკომისიის“, „ლია საზოგადოება-საქართველოს“ და „ევრაზის თანამშრომლობის ფონდის“ მიერ.

საქონლის ხორცის გაძვირება

ხორცის მონოკონის ფასი

თბილისის მოსახლეობისთვის „მაღალი ხარისხის“ და „ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო“ პროდუქტის მიწოდების მიზნით განხორციელებულ რეგულაციას, რეალურად, ბაზარზე მონოპოლიის დამყარება მოჰყვა.

მანანა ვარდიაშვილი

ბოლო 6 თვეში თბილისში ხორცის ფასი 8-დან 18 ლარამდე გაიზარდა. ხელისუფლებამ ხორცის გაძვირებაში ჯერ „გარკვეული სპეცულაციური ჯგუფები“, შემდეგ კი ევროპავშირი დაადანაშაულა. ბაზარზე ხორცის ფასის ზრდა, რეალურად, სახელმწიფოს უხეშმა ჩარევამ და სასაკლაონების ბაზრის მონოპოლისტების ხელშეწყობამ გამოიწვია.

გასულ წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ახალი რეგულაცია აამოქმედა. ამ რეგულაციის თანახმად, თბილისის ნებისმიერ სავაჭრო ობიექტში მხოლოდ ლიცენზირებულ სასაკლაოზე დაკლულ საქონლის ხორცი უნდა გაიყიდოს. შედეგად – ხორცის ფასი 2-ჯერ გაძვირდა. „ჩვენ ეს განვახორციელეთ იმისთვის, რომ ევროკავშირის მოთხოვნები დაგვეკმაყოფილებინა.... დაგვაძალეს და ეს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდნარე გაცავეთ“, – განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი ხორცის გაძვირებაში „სპეცულაციურ ჯგუფებს“ ადანაშაულებდა და ფასის დარეგულირებას სახელმწიფოს ჩარევით აპირებდა: „სახელმწიფო არ დაუშვებს, რომ ხალხის ხარჯზე მოხდეს გარკვეული სპეცულაციური ჯგუფების გამდიდრება და ყველა ბერკეტის გამოვიყენებთ იმისთვის, რომ ფასები ძველ ნიშნულს



ნატახტრის სასაკლაო

დავუბრუნოთ". კვებერელის დაპირების მიუხედავად, ხორცის ფასი ძველიშნოულს გელარ დაუბრუნდა.

2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონის 321-ე მუხლის თანახმად, ხორცის რეალიზაციის მიზნით საქონლის დაკვლა მხოლოდ შესაბამის სასაკლაორებზე და ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობის ქვეშ შეიძლება. სარეალიზაციოდ გატანილ ხორცს სასაკლაორებზე გაცემული საქონლის დაკვლისა და ხორცის ვარგის მიზნის შესახებ სავალდებულო საბუთი უნდა ჰქონდეს.

„ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონი 1995 წელს არის მიღებული. კანონში 321-ე მუხლი უკვე მაშინ იყო ჩადებული, თუმცა, როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, სასაკლაორების არარსებობის გამო 2011 წლამდე ამ მუხლის ამოქმედება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. დღეს კი სასაკლაორო თითქმის ყველა რაიონში არსებობს.

კანონით, ახალი რეგულაცია არ ვრცელდება იმ მუნიციპალიტეტებზე, სადაც სასაკლაორო არ არსებობს. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური სასაკლაორო არ არის. იქ, სადაც სასაკლაორები არ არსებობს, საქონელი წინასწარ შერჩეულ ადგილებში და ვეტ-სანიტარიული ზედამხედველობის ქვეშ იკვლება: საქონელი დაკვლამდე და დაკვლის შემდეგ მოწმდება. მის ვარგისობას კი სპეციალური დოკუმენტი „ფორმა №2“ ადასტურებს.

საქართველოს მასშტაბით ზევრი სასაკლაორო ფუნქციონირებს. სასაკლაორის ციხისძირში, ლაგოდებში, ნატახტარში, სენაკში, ყარაჯალაში, ასპინძაში, გარდაბანში, თელავში, ხაშურში.

თუმცა, მათგან მხოლოდ ოთხია ლიცენზირებული – ყარაჯალაში, ასპინძაში, ნატახტარში და ახლა უკვე თელეთში. თელეთის სასაკლაორო დაბლოებით ერთი თვეა, რაც ფუნქციონირებს.

თბილისში მოქმედ სავაჭრო ობიექტებს ხორცის მიღების უფლება მხოლოდ ლიცენზირებული სასაკლაორები-

დან აქვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში 500 ლარით დაჯარიმდებიან.

დედაქალაქში დიდი და მხოლოდ ნატახტარსა და თელეთში დაკლული საქონლის ხორცი იყიდება. ასპინძაში დან ხორცის ტრანსპორტირება ძვირი ჯდება, ხოლო ყარაჯალის სასაკლაორო, რომელიც USAID-ის ფინანსური დახმარებით აშენდა, ხელისუფლება მას თბილისში ვაჭრობის დაბრკოლებებს უქმნის.

რამდენიმე დღის წინ „მაესტროს“ ეთერში გავიდა ყარაჯალას სასაკლაოზე ჩანერილი ფარული ჩანანერი. ამ ჩანანერში ყარაჯალას თანამშრომლები ამბობენ, რომ სურსათის ეროვნული სამსახურის ადგილობრივი

„Ibermeat Georgia“ აკონტროლებდა. ამ სასაკლაოზე 1 კგ ხორცის დამუშავება 1 ლარი ღირს. ამ თანხას საქონლის ტრანსპორტირების ხარჯიც ემატება, რაც შესაბამისად, ხორცის გაძირებას იწვევს. დაფუძნებიდან სულ ცოტა ხანში „Ibermeat Georgia“-მ სავაჭრო ქსელი „იბერულა“ გახსნა და ახლა ხორცის დისტრიბუცია-რეალიზაციასაც ეწვევა. რამდენიმე კვირის წინ კიდევ ერთი ასეთი სასაკლაო თელეთშიც გაიხსნა. ის თბილის ხორცს კახეთიდან მიაწვდის.

თბილისის მოსახლეობისთვის „მაღალი ხარისხის“ და „ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო“ პროდუქტის მიწოდების მიზნით განხორციელებულ

■ ხორცის გაძვირებამ მოსახლეობის უკმაყოფილება

გამოიწვია. ხალხის უკმაყოფილების თავიდან აცილების

მიზნით, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რეგულაცია

საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ევროკავშირის

მოთხოვნით შემოიღო.

ფილიალის წარმომადგენელთა ზეპირ-სიტყვეერი დირექტივით, მათ ხორცის გაყიდვა, თბილისის გარდა, ყველა და-სახლებულ პუნქტში შეუძლიათ.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ ლიცენზირებული სასაკლაორების გარდა სხვა არცერთ სასაკლაოზე სანიტარული ნორმები დაცული არ არის და შესაბამისად, სხვაგან დაკლული საქონლის ხორცი თბილისში გაყიდვის უფლებას ვერ მიღებს.

ამ სააგენტომ ახალი რეგულაციის ამოქმედების შესახებ 2010 წლის 22 ოქტომბერს განაცხადა. ახალი რეგულაციის შემოღება დროში დაემთხვა ნატახტარში ახალი სასაკლაოს ამოქმედებას.

მას შემდეგ თბილისის თითქმის მთელ ბაზარს ერთი კომპანია – ნატახტარის სასაკლაოს მფლობელი

რეგულაციას, რეალურად, ბაზარზე მონიპოლიის დამყარება მოჰყვა. იმის გამო, რომ დანერილ-დაუნერელი რეგულაციით თბილისში მხოლოდ ნატახტრის და თელეთის სასაკლაორებზე დაკლული საქონლის ხორცი იყიდება, თბილისის მოვაჭრეები, კვების ობიექტები თუ სუპერმარკეტები, ხორცს ძირითადად მხოლოდ ამ ორი სასაკლაოსგან იძენენ. შესაბამისად, გლეხები იძულებულები არიან, საქონელი ნატახტარისა და თელეთის სასაკლაოებს ჩაბარონ. ეს ის შემთხვევაა, როცა კომპანიებმა ნედლეულის მიღებისა და პროდუქტის გასაღების ბაზარი ხელისუფლებისგან ექსკლუზიურად მიიღეს.

ხორცის გაძირებამ მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ხალხის უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლებამ განაცხადა,



რომ რეგულაცია საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ევროკავშირის მოთხოვნით შემოიღო.

ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გია ბარამიძის განცხადების შემდეგ, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის წევრმა, სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და სურსათის უწყებლობის საკითხების კურატორმა ხუან ეჩანოვემ სპეციალური მიმართვა გაავრცელა: „ზოგიერთი ქართული მედიასაშუალების, ცალკეული პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებების მიხედვით, ხორცზე ფასის ზრდა ევროკავშირის მოთხოვნით, საქონლის მხოლოდ სასაკლაობზე დაკვლის რეგულაციის შემოღებამ გამოიწვია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვიცე-პრემიერ ბარამიძის განცხადება იმის თაობაზე, რომ ევროკომისიის ექსპერტების მოთხოვნა იყო, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე ეს პროცესი საქართველოში დაწყებულიყო. ამ განცხადებების საბასუხოდ ცალსახად უნდა განვაცხადო, რომ ქართული მხარის ბრალდებები უსაფუძვლოა. ევროკომისია ექსპერტების შეფასებებს საქართველოში ხორცის ფასების ზრდასთან დაკავშირებით ეთანხმება და თვლის, რომ ამის მიზეზებია ქვეყანაში არსებული ინფლაცია, მცირე ფერმერების მიმართ სახელმწიფოს მხარდაჭერის ნაკლებობა, სასაკლაობების შეზღუდული რაოდენობა, მათი სიშორე იმ ადგილებიდან, სადაც ჰყავთ დასაკლავი საქონელი, საქართველოში სასაკლაობების ბაზრის მონოპოლისტური ხასიათი“.

ეჩანოვე ამბობს, რომ ევროკომისიას არასოდეს უთხოვია ქართული მხარისთვის, დაუყოვნებლივ შემოეღო რეგულაცია, რომელიც ბაზარზე მხოლოდ სასაკლაოზე დაკლული ხორცის შეღწევას უზრუნველყოფდა და მით უფრო არ ყოფილა მოთხოვნა, ეს რეგულაცია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დაწყებისთვის აუცილებელი წინაპირობა ყოფილიყო. **□**

გარემოს დაცვა



ნაპრალი ვაზიანი-გომბორი-თელავის სააუტმობილო გზაზე

ფოტო ქარა გამარჯვები

საპზაო ინფრასტრუქტურა

მარკების ეფექტი

ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის დაზიანება მოსალოდნელი იყო.

ცირა გვასალია

თბილისიდან თელავამდე ჩასვლას თუ ვაზიანი-გომბორი-თელავის ახალი გზით გადაწყვეტთ, ნახავთ, რომ გზის განაპირა მხარე ალაგ-ალაგ დანგრეულია, ბეტონით დაფარული ზედაპირის ზოგი ნაწილი – მთლიანად ან ნაწილობრივ ჩანარიღილი, ზოგიც – დაბზარული.

სამუშაოები იმ გზის აღსადგენად, რომელიც პროექტის დასრულების შემდეგ, თელავში ჩასვლისთვის ყველაზე სწრაფ და კომფორტულ მარშრუტად უნდა იქცეს, რამდენიმე ადგილას მიმდინარეობს. მანქანების სავალი ნაწილის ქვედა მხარეს მუშები დიდ ქვებს ეზიდებიან, რომელთაც ხის ძელებზე ანკობენ სანიაღვრე სისტემის გასამართად, ოდნავ მოშორებით კი, დიდი, ნითელი ექსკავატორები მინას თხრიან.

„მინას იქიდან ვიღებთ და აქ ვყრით. წესით, გზის დამეწყრილი ადგილების ალდგენა თვენახევარში უნდა შევძლოთ“, – ამბობს ილარიონ შალამბერიძე, რომელიც ალდგენით სამუშაოს ზედამხედველობს.

ცივგომბორის მთა ახალი, 66-კილომეტრიანი გზის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მონაკვეთია. სწორედ ამ ადგილზე ამბობენ გეოლოგები, რომ იქ მეწყრული მოვლენების აღკვეთა თითქმის შეუძლებელია.

2011 წელს გამოქვეყნებულ საინფორმაციო ბიულეტენში, რომელშიც

საქართველოში შარშან მომხდარი სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების შედეგებია გამოკლეული, წერია: „მეწყრული მოვლენების განსაკუთრებულად მაღალი სამიშროების რისკში იმყოფება თბილისი-თელავის საავტომობილო გზის გომბორზე გადასასვლელი მონაკვეთი; თანაც იმდენად რთულ და ღრმა მეწყერთან გვაქვს საქმე, რომ მისი სტაბილიზაციის კარდინალური ღონისძიებების განხორციელება შეუძლებელია“.

შეუჩერებელი ბუნებრივი პროცესის, ანდა მოულოდნელი სტიქიის გამო, გომბორის მონაკვეთზე პრობლემების გაჩენას თავიდანვე ელოდნენ შსოფლიო ბანქშიც – ორგანიზაციაში, რომელმაც საქართველოს მთავრობას 30 მილიონი აშშ დოლარი ასესხა თბილისი-თელავის დამაკავშირებელი გზის გასაყვანად.

თუმცა, გზის საზეიმო პრეზენტაციის დღეს, 2010 წლის 2 ოქტომბერს, ამის შესახებ არც პროექტის განმხორციებლებს და არც ხელისუფლების წარმომადგენლებს არაფერი უთქვამთ, კითხვები გზის გამართულობისა და უსაფრთხოების შესახებ არ დაუსვამთ არც მედიის წარმომადგენლებს. სადღესასწაულო გახსნაზე ყურძნით სავსე „პიკაპით“ მისულ პრეზიდენტ სააკაშვილს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ

ნიკოლეიშვილი მხოლოდ იმას დაპირდა, რომ გზას 10 წელი არაფერი მოუკიდდა. სწორედ ამიტომ გომბორის მონაკვეთზე პრეზენტაციიდან რამდენიმე თვეში გაჩენილ ნაპრალებსა და სხვა დაზიანებებს მედიაში ბევრნაირი ინტერპრეტაცია მოჰყვა. იმედგაცრუებულად იგრძნო თავი იმ ადამიანების ხანილმაც, რომელთაც ახალი გზის საშუალებით კახეთში მიმოსვლა საგრძნობლად გაუმარტივდათ, ივნისის შუარიცხვებში კი, რიკოთის ულელტეხილზე მოხდარი ტრაგედიის პარალელურად, მეწყერი გომბორზეც დაიძრა დამორაობა დროებით შეიზღუდა.

„ეს გზა თელავის არტერიაა, სოფელი გამოცოცხლდა,“ – ამბობს თელაველი ვეფხია აფციაური, რომელიც ახალი მარშრუტით ხშირად სარგებლობს, როცა მამაპაპურ სოფელ თეთრწყლებში მიდის.

„ახლა უფრო მეტი მოძრაობაა სოფელებსა და თელავს შორის. გლეხიც რამეს თუ მოიყვანს, გასაყიდად იქით მიაქვს“, – ამბობს უჯარმელი თენგიზ სონიძე.

„რას ამბობთ, ეს გზა აქაურებისთვის დიდი შვებაა. რომ არ გაეყვანათ, ცივგომბორის გადაღმა, სოფლებში მანამდე ექიმიც კი ვერ ადიოდა“, – ამბობს გზის ალდგენითი სამუშაოების ზედამხედველი, ილარიონ შალამბერიძეც.

გარემოს დაცვა



ფოტო ლინა ჯავახიშვილი

მართლაც, ახლად გაყვანილმა გზამ ორი მნიშვნელოვანი პრობლემა გადაჭრა: პირველი, იორისა და აღაზნის ველებში გამნებული სოფლები: უჯარმა, სასადილო, გომბორი, კობაძე და თეთრწყლები, სადაც ძევლი, დაზიანებული გზის გამო მისვლა ძალიან რთული იყო, ერთმანეთსა და ქალაქს დაუკავშირა. და მეორე, 57 კილომეტრით შეამცირა მგზავრობა თბილისა და თელავს შორის.

ვიდრე ახალ გზას გაიყვანდნენ, თელავისკენ მიმავალი მგზავრები ვაზიანი-საგარევო-ბაკურციხე-გურჯა-ანი-თელავის მარშრუტს იყენებდნენ, გომბორის ახალი გზის ნაწილი კი საერთოდ არ იყო მოასფალტებული, ნაწილზე კი ასფალტი ალაგ-ალაგ ჩანგრეული და დაზიანებული იყო.

2008 წლის შემოდგომაზე, რუსეთთან კონფლიქტის შემდეგ, საგზაო ინფრასტრუქტურის აღდენა ხელისუფლებამ

ზოგიერთი გარემოსდამცველი უკვე ამბობს, რომ ახალი გზის საზოგადოებისთვის წარდგენა არასწორი ფორმით მოხდა,
მოსალოდნელი დაზიანებების შესახებ მსჯელობა კი პრეზიდენტის მონაწილეობით ლამის თეატრალიზებულმა პრეზიდენტაციამ ჩაანაცვლა.
ლამის თეატრალიზებულმა პრეზენტაციამ ჩაანაცვლა.

ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა და გომბორის გზის აღდგენისთვის ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს, მსოფლიო ბანკს სთხოვა.

გზის რეაბილიტაციისთვის საჭირო

პირველი სამუშაოები 2009 წლის ბოლოს დაიწყო, მისი 27 კილომეტრიანი მონაკვეთის საზეიმო პრეზიდენტაცია კი ერთი წლის შემდეგ გაიმართა.

ზოგიერთი გარემოსდამცველი უკვე ამბობს, რომ ახალი გზის საზოგადოებისთვის წარდგენა არასწორი ფორმით მოხდა, მოსალოდნელი დაზიანებების შესახებ მსჯელობა კი პრეზიდენტის მონაწილეობით ლამის თეატრალიზებულმა პრეზიდენტაციამ ჩაანაცვლა.

„უფრო პოლიტიკური ამპავია ატესილი ამ გზის გარშემო, ერთი მხრივ, მონინაალმდეგების მხრიდან და მეორე მხრივ, ხელისუფლებისა. ძალიან გაბუქებულია ინფორმაცია, რომ მაღლ ჩახვალ თელავში, რომ გზის უსაფრთხოება ევროსტანდარტებს აკმაყოფილებს და ასე შემდეგ. არადა, ყველამ წინასწარვე იცოდა, გზა ჩატყდებოდა“, – ამბობს „მწვანე ალტერნატივა“-ს წარმომადგენელი, ირაკლი მაჭარაშვილი.



ფოთი გომბორის მთა გზის რეაბილიტაციაში

კიდევ ერთი უზუსტობა, რაც მინისტრ ნიკოლეიშვილისგან გზის გახსნის დღეს ტელემაყურებებმა გაიგო, შემოკლებული მანძილი იყო. რამაზ ნიკოლეიშვილმა მიხეილ სააკაშვილს უთხრა, რომ ახალი გზის წყალობით, თბილისიდან თელავამდე მანძილს მგზავრი 45 წუთში დაფარავდა. თუმცა, პროექტის შეფასების ოფიციალურ დოკუმენტში (Project Appraisal Document) წერია, რომ 2010 წელს, ანუ გზის გახსნის მომენტში, გზის დასაფარავად 45 წუთის ნაცვლად, 120 წუთი იყო საჭირო.

პროპაგანდისტული კონტექსტის მოქედავად, გარემოსდამცველები აღნიშნავენ, რომ გომბორის გზა აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო. „მართალია, არსებობს ბუნებრივი მოვლენა, რომელსაც არაფერო ეშველება, მაგრამ გზის შენებლობა, მაინც გამართებულია, აღმოსავლეთ კახეთის სოფლები

და?“ – ამბობს ირაკლი მაჭარაშვილი.

ზუსტად ეს იყო ერთ-ერთი მოტივი მსოფლიო ბანკისთვისაც, როცა მშენებლობის პროექტის მხარდაჭერა გადაწყვიტა. გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში ბანკის წარმომადგენლებმა მკაფიოდ აღნიშნეს, რომ მართალია, ეს მარშრუტი, მეწყრების თვალსაზრისით, რთულია, მაგრამ ის ამავე დროს არის გზის მშენებლობის ყველაზე გამართლებული აღტერნატივა, როგორც ეკონომიკური, ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით.

გზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მსოფლიო ბანკის პროექტების ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ამ ინსტიტუტს უსაფრთხოების საკუთარი ნორმები არ გააჩნია, მაგრამ ის ფინანსურად ეხმარება სხვადასხვა ქვეყანას მსგავსი სტრატეგიის შემუშავებაში.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის პროექტების მართვის უფროსი

სპეციალისტის, იოსებ მელითაურის თქმით, საქართველოს გზების დეპარტამენტი მაღლე გომბორის გზის უსაფრთხოების აუდიტსაც ჩაატარებს.

„ამის შემდეგ, გვეცოდინება, თავდაპირველად დაგეგმილი ღონისძიებების გარდა, რისი გაკეთება იქნება საჭირო დამატებით“, – აღნიშნავს მელითაური და განმარტავს, რომ გზებზე უნდა აშენდეს დამატებითი ჯებირები, დაყენდეს სარკეები და დაიჭიმოს ბაგირები.

ამჟამად, მეწყრის გამო დაზიანებული გზის აღდგენაზე მსოფლიო ბანკის თანხა იხარჯება. მას შედეგ, რაც მსოფლიო ბანკსა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის კონტრაქტი დამთავრდება და გზა ექსპლუატაციაში ჩაეშვება, მეწყრის შედეგად დაზიანებული გზის შესაკეთებლად ხარჯების განევა საავტომობილო გზების დეპარტამენტს მოუწევს. ☐

საქათვეო უნიკალური მუზეუმის იმსახურებს



სისტემა, რომელიც ერთ კონკრეტულ პარტიას აძლევს საშუალებას, მოიპოვოს 2/3-იანი კონსტიტუციური უმრავლესობა პარლამენტში, იმის მიუხედავად, უჭერს თუ არა მას მხარს მოსახლეობის 2/3, საშიშია ქვეყნის დემოკრატიისთვის.

მარკ მალენი

მმართველ პარტიასა და იმ ოპოზიციურ პარტიებს შორის, რომელიციც „რვიანს“ გამოეყვნენ, საარჩევნო კანონზე მიღწეული შეთანხმება გარკვეულ დეტალებს შეიცავს, რომლებიც აუცილებლად უნდა განვიხილოთ. განვიხილოთ, ეს შეთანხმება რას გულისხმობს და რას არა.

პირველ რიგში, უნდა გადაეცვიტოთ, თუ რა არის ჩვენი მიზანი. მმართველი პარტიის წარმომადგენლები ხშირად ამბობენ, რომ ამჟამინდელი სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობს. საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგალითად, ვენეციის კომისია) ჩვეულებრივ, გრძელ, დიპლომატიურ ენაზე ჩამოყალიბებულ დოკუმენტებს წერენ და თავიანთ მოსაზრებას საკმარისად ცხადად არასდროს გამოხატავენ. მმართველი პარტია კი თავისი კონტროლირებული მედიით საზოგადოებას ეუბნება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს საარჩევნო კანონს არსებითად არ აკრიტიკებენ. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. კერძო საუბრებში ყველა ერთ მთავარ კრიტიკულ შენიშვნაზე თანხმდება:

სისტემა, რომელიც ერთ კონკრეტულ პარტიას აძლევს საშუალებას, მოიპოვოს 2/3-იანი კონსტიტუციური უმრავლესობა პარლამენტში, იმის მიუხედავად, უჭერს თუ არა მას მხარს მოსახლეობის 2/3, საშიშია ქვეყნის დემოკრატიისთვის. ანუ, თუ პარტიამ რეალურად არჩევნებში ხმების 67 პროცენტზე გაცილებით ნაკლები მიიღო, ხოლო პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატების სარჯე 67 პროცენტზე მეტი სადეპუტა-

ტო მანდატი მოიპოვა, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში ძალიან ცუდი სისტემა მოქმედებს. მოქმედი საარჩევნო კანონი და მმართველი პარტიის შემოთავაზებული ახალი წინადაღებები კი სწორედ ამგვარ სისტემას გვთავაზობს.

რატომ არის კონსტიტუციური უმრავლესობა ცუდი: წინა არჩევნებზე მმართველმა პარტიამ ხმების 59 პროცენტი დააგროვა, მაგრამ საპარლამენტო ადგილების 79 პროცენტი მიიღო. ამას შედეგად რაც მოჰყვა, ყველამ ვნახეთ. როდესაც სახალხო დამცველი პარლამენტის წინაშე გამოიყოდა, პარლამენტარების 20 პროცენტზე ნაკლები თუ უსმენდა მის სიტყვას. პარლამენტარები ხშირად ხმას ერთმანეთის ნაცვლად აძლევენ, რაც კანონის აშკარა დარღვევაა, მაგრამ არავინაა მათი დამსჯელი.

ყველაზე საშიში მაინც ის არის, რომ კონსტიტუციის ცვლილება საფუძვლიანი განხილვების გარეშე მიმდინარეობს. საქართველოს არასდროს ჰქონია ნამდვილი კონსტიტუცია, ანუ დოკუმენტი, რომელსაც ხალხი წაიკითხავს, დააფასებს, სკოლაში ისანვლის და თავიანთი უფლებების ფუნდამენტურ გარანტიად ჩათვლის. შევარდნაში დროსაც კი, კონსტიტუციის შეცვლა გაცილებით უფრო სერიოზული საკითხი იყო, ვიდრე ამჟამად. ახლა ეს თემა ახალი ამბების ჰედლაინებშიც კი ძლიერ ხვდება. ეს ფაქტი იმის დასტურია, რომ კანონების ცვლილება იმ ადამიანების კაპრიზების მიხედვით ხდება, ვისაც ასეთი ცვლილების გატარების შესაძლებლობა აქვთ. კონსტიტუციის

ცვლილება კი, იდეალურ შემთხვევაში, გრძელი და საფუძვლიანი ეროვნული დისკუსიის შედეგი უნდა იყოს. ჩვენს შემთხვევაში, მმართველმა პარტიამ უბრალოდ წამოაყენა ცვლილებების პროექტი, რომელზეც ჯეროვნად არავის უფიქრია. ყველამ იცოდა, რომ მმართველი პარტიისთვის მისი მიღება პრობლემას ისედაც არ წარმოადგენდა. ადგილობრივ არჩევნებში მმართველ



პარტიას ჰქონდა მესიჯი „ჩვენ არ დაგვიმთავრებია.“ მესიჯი კარგი იყო. ამ მესიჯისა და შესანიშნავი საარჩევნო კამპანიის წყალობით, საზოგადოება ხელისუფლებას ენდო და მათ მოიგეს. პრობლემა ის არის, რომ კონსტიტუციურმა უმრავლესობამ მმართველი პარტია გააზარმაცა. მმართველი პარტიისთვის მოგება მხოლოდ კონსტიტუციური უმრავლესობის გაყვანას ნიშნავს – ისინი მხოლოდ ასე შეძლებენ გააკეთონ ყველაფერი, რაც მოე-

სურვებათ. უბრალო უმრავლესობა (50 %+) ან უმცირესობა რამდენიმე მეგობრული პარტიით კოალიციაში, გაცილებით უკეთესი იქნება. ეს გამოიწვევს გაცილებით მეტ პოლიტიკურ დისკუსიას პარლამენტში და არა ქუჩაში, რაც პარლამენტს ისევ გადაქცევს პოლიტიკური დისკუსიის მთავარ არენად. კენჭისყრაზე დასწრება და ხმის მიცემა კვლავ მნიშვნელოვანი გახდება.

შეცვალეთ საარჩევნო ბარიერი 30 %-დან 50 %-მდე – ყველაზე მარტივი

■ **დიპლომატები ძალიან ფრთხილობენ და ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათ რაიმე სასარგებლო განცხადება საჯაროდ გააკეთონ. კერძო საუბრებში კი ამბობენ, რომ თუ საქართველოს ახალი საარჩევნო კანონი კიდევ ერთ კონსტიტუციურ უმრავლესობას წარმოშობს, მომავალი წლებისთვის საქართველოს დემოკრატიული რეპუტაცია საგრძნობლად დაზარალდება.**



საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზი

რამ, რის შეცვლაც საარჩევნო კანონს გააუმჯობესებს საარჩევნო ბარიერის ცვლილებაა. ადგილობრივ არჩევნებამდე (სანამ თბილისის მერს ავირჩევდით), ბარიერი 50 %-დან 30 %-მდე ჩამოიწინა. ეს იყო ყოველგვარ მიზეზს მოკლებული ცინიკური ნაბიჯი, რამაც ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ კანდიდატებს საშუალება მისცა, ხმების 30 %-ზე მეტის დაგროვებით გასულიყვნენ და არა მოსახლეობის ნახევრის მხარდაჭერით. 30 %-იანი საარჩევნო ბარიერით მმართველი პარტიის კანდიდატებს აშკარა უპირატესობა ეძლევათ. თუ მათ 50 %-იანი ბარიერის გადალახვა მოუწევთ, ისინი მეტს იმუშავებენ საარჩევნო კამპანიაზე და პლენარულ სესიებსაც დაესწრებიან.

მისდიებულის მოძრაობას – პოლიტიკაზე დაკვირვების ერთი კარგი წესი ფულის მოძრაობაზე დაკვირვებაა. მმართველმა პარტიამ ერთი მილიონი ლარი შესთავაზა ნებისმიერ ოპოზიციურ პარტიას, რომელიც მის მიერ წამოყენებულ შემოთავაზებას დაეთანხმებოდა. ეს რამდენიმე რამეზე მიუთითებს. პირველ რიგში, ეს გვიჩვენებს იმას, თუ როგორ აფასებს მმართველი პარტია ოპოზიციური პარტიის მოტივს; ასევე, გვჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფულის და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხი საქართველოში. და ბოლოს, ეს მიუთითებს იმაზე, თუ რამხელა ძალაუფლება აქვს პარლამენტში მმართველ პარტიას, რომელსაც მსგავსი შემოთავაზების გაკეთება შეუძლია. ამ შემოთავაზებას ხომ წინ არ უსწრებდა არანაირი საუბარი ფინანსურ მიზანშენობაზე, ან თანხმობა ფისკალური ზეამძხედველობის რომელიმე ორგანოსგან.

იჩქარე და დაიცაფე – ეს დისკუსიები უსასრულოდ გრძელდებოდა. ოპოზიციური „რვიანი“ დისკუსიებში კეთილი ნების პრინციპით ჩაერთო, მაგრამ მმართველი პარტიის ყველა ინიციატივას კონსტიტუციურ უმრავლესობამდე მიყვავდით მაშინაც კი, თუ რომელიმე პარტია სახალხო ხმე-



სპეციალური შეთავაზება



გამოიწერეთ
ჟურნალი „ლიბერალი“
თითქმის ნახევარ ფასად!

ლეიტური ხელმოწერა მეორედ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“
და მიიღოთ თქვენი ჟურნალი

ყოველ ორშაბათს
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსანერად
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
(599) 48 62 41
ან მოგვაწოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: **subscribe@liberali.ge**

ბის ნახევარზე ნაკლებს დააგროვებდა. ოპოზიციურ „რვიანს“ სურდა მიელო გარეული სიგნალი იმისა, რომ მმართველი პარტია სერიოზულად უდგებოდა საკითხს. ვინაიდან მმართველი პარტია სერიოზული დისკუსიით დაინტერესებული არ იყო, მოლაპარაკებები შეწყდა. ახლა კი ხელისუფლება მოლაპარაკებების შეფერხებაში ოპოზიციურ „რვიანს“ ადანაშაულებს.

დროზე დავაღწიოთ თავი ამ სიტუაციას – ორი პოლიტიკური ლიდერი, რომელთა პარტიებმაც მმართველი გუნდის შემოთავაზება მიიღეს, ამ წინადადებების შეთავაზების დროს საქართველოში არ იმყოფებოდა. ისინი ვაშინგტონში იყვნენ. ეს უბრალო დამთხვევა არ არის. არ ვიცი, რა უთხრეს მათ ვაშინგტონში, მაგრამ ვფიქრობ, ეტყოფნენ იმას, რასაც საქართველოს ბედით დაინტერესებული ამერიკელები და ევროპელები ერთმანეთში ლაპარაკობენ. ახლა საინტერესოა, რას იტყვანან ეს პოლიტიკოსები, როდესაც საქართველოში დაბრუნდებიან. სერიოზული პარტიების ლიდერები ასეთ მნიშვნელოვან მომენტებში უბრალოდ არ უჩინარდებიან.

საქართველოში სამი პოლიტიკური ჯგუფი არსებობს: 1) მმართველი პარტია და სხვა მცირე პარტიები, რომლებიც მის ორბიტაზე მოძრაობენ, 2) ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც არ არიან დემოკრატიული, არ მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესში, და რომლებსაც, უბრალოდ, ახლანდელი რეზუმის შეცვლა სურთ. ეს პოლიტიკური პარტიები არ არიან არ წარმოადგენენ ოპოზიციას. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც ფაქტობრივად არ აქვთ პოლიტიკური მხარდაჭერა და უბრალოდ, ხმაურს იწვევენ. ამის მიუხედავად, ხელისუფლება და ხელისუფლების მიერ მართული მედია განსაკუთრებით მათზე არის ფოკუსირებული და მათ „ოპოზიციად“ ნათლაც; და 3) პარტიები, რომლებიც მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, სურთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება და უნდათ ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც ამომრჩევლის მხარდა-

ჭერის შემთხვევაში, მათ გარკვეული გავლენის მოპოვების შესაძლებლობას მისცემს. ამჟამად, საარჩევნო კანონი ასეთ პარტიებს ბევრს ვერაფერს სთავაზობს. ოპოზიციური „რვიანი“ ამ ბოლო კატეგორიის პოლიტიკურ ძალას მიეკუთვნება, მაგრამ ამ გაერთიანებაში ასევე არიან პარტიები, რომლებიც პირველ ან მეორე კატეგორიას შეიძლება მივაუთვონთ. ჯერ ყველაფერი გარკვეული არ არის.

საარჩევნო კანონის თემა ქართველი ხალხის გადასაწყვეტია და არა უცხოელების. ამასთანავე, ბევრ ქართველს აინტერესებს, რას ფიქრობენ უფრო ხანგრძლივი დემოკრატიული მმართველობის გამოცდილების მქონე ქვეყნების წარმომადგენლები. დიპლომატები ძალიან ფრთხილობენ და ნაკლებ სავარაუდოა, რომ მათ რაიმე სასარგებლოვანი არ არის. კერძო საუბრებში კი ისინი ამბობენ, რომ თუ საქართველოს ახალი საარჩევნო კანონი კიდევ ერთ კონსტიტუციურ უმრავლესობას წარმოშობს თანაც ისე, რომ მმართველი პარტია ხების 67 პროცენტზე გაცილებით ნაკლებს დააგრივებს, მომავალი წლებისთვის საქართველოს დემოკრატიული რეპუტაცია საგრძნობლად დაზიარდება. მოკლედ, მთელი ეს საუბრებში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვებას შეეხება, არც მეტი და არც ნაკლები. საქართველოს პოლიტიკის მთავარი პრობლემა არის მმართველი პარტიის უზუარობა, იმუშავოს ოპოზიციასთან. „ოპოზიციაში“ არ ვგულისხმობ გადარეულ მოღალატეებს, რომელთაც მხარეს არავინ უჭერს და რომლებიც გამუდმებით ჩნდებიან ხელისუფლების მიერ მართულ მედიაში. მე ვგულისხმობ იმათ, ვისაც სურს არჩევნებში მონაწილეობა და პოლიტიკურ დიალოგში ჩაბმა. წინა საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ აშკარა უმრავლესობით მოიგო. მან ეს მანდატი უნდა გამოიყენოს იმისთვის, რომ საქართველო წინ წაიყვანოს. ამაში კი შედის კონსტიტუციული ოპოზიციის პატივისცემა და მათთვის შანსის მიცემა.

ԱՐԵՎԻԿԱՆԱԳ ԼԵՇՈՅԱԹ ՀԱՄԱՐ-ԸՆՆՈՅԻ ՀԱՅԱՀՈՅ



განვითარებადი ქვეყნების ბლოგერებს ერთმანეთთან ბევრი საერთო თემა აქვთ განსახილველი, თუმცა ჯერჯერობით მშობლიური ქვეყნების ინტერნეტ-სივრცის ფარგლებში იკიტებიან.

გიორგი ცხადაია

13-23 იღნისს, გერმანიის ფედერალური
მთავრობის მიწვევით, ბერლინშა და ბონში
ახალი მედიის კონფერენციაზე ვიმყოფე-
ბოდ და საშუალება მქონდა მეტნაკლებად
გავცონობოდ გერმანული ბლოგოსფეროს
და ინტერნეტ-აქტივიზმის თავისებურებე-
ბს.

გერმანელი ბლოგერების გაცნობაზე უფრო საინტერესო ენ. განვითარებადი ქვეყნების ბლოგერებთან შეხვედრა იყო. ბორში გამართულ გლობალური მედიის ფორუმზე ადამიანის უფლებებსა და ახალ მედიაზე გამოთქმულმა მოსაზრებებმა გარკვეულწილად შეაჯამა ის, რაზეც წინა დღეების მანძილზე ვთქმულდა: თანამე-დროვე სამყაროში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის იდეაბი უპრეცედენტო ტემპით ვრცელდება და პოლიტიკურ და სოციალურ დისკუსიებში ახალ მედიას სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭდა.

ამ სტატიაში მინდა ყურადღება გავაძა-
ხვილო არა ახალი მეცნის როლზე შეიდა-
პოლოტიკურ დისეკურსში (რაზეც გერმანია-
ში, ამ 10 დღის განმავლობაში ბლოგერები
და ახალი მეცნის ექსპერტები გვესაზრე-
ბობდნენ), არამედ ინტერნეტ-აქტივიზმის
მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მხარეზე
– მის უნარზე, ჩამოაყალიბოს იდეების გა-
ცვლისა და სამოქალაქო აქტივიზმის გლო-
ბალური სივრცე.

ის, რომ ბლოგების ინტერნაციონალიზი-
რებას დღიდ მომავალი მაქსეს, პირველ რიგ-
ში, იმან მაფიქრებინა, რომ განვითარებადი
და ავტორიტურული თუ წახვრად ავტო-
რიტურული ქვეყნების წარმომადგენლებს
ძირითადად ერთი და იგივე პრობლემატი-
კა გვანუხებს. რა თქმა უნდა, არსებობს



სერიოზული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განსხვავები, მაგრამ ეს გვეხმარება საქოთო პრობლემების უკეთ გააზრებაში და არ უშლის ხელს ინტერესული დიალოგს.

საერთო პრობლემებს მიეკუთვნება:
დემოკრატიის დეფიციტი, სოციალური
უთანასწორობა, გარემოს დაბინძურება,
ქალების და უმცირესობების უფლებების
დარღვევა, რეაქციონურული იდეოლოგიუ-
რის არსებობა და ა.შ. ამ პრობლემების გა-
დაჭრის უნივერსალური გზა არ არსებობს,
მაგრამ სხვადასხვა პერსპექტივიდან მათ-
ზე მსჯელობა და გამოყდილების გაზია-
რობა საჭირო არავთვილის.

იმის სასილუსტრაციოდ, რომ განსხვა-
ვებულ გარემოში ერთსა და იმავე გამო-
წვევებს ვაწყდებით, ერთ მაგალითს მო-
ვიტან: დისკუსიას ნეიტრალური და
„სოციალ-დემოკრატიული“ განვითარების
მოდელების შესახებ. გლობალური მედიის

ფორუმზე ეგვიპტელი ექსპერტების მოხ-
სენებას დავესწარი და გამაოცა იმ ფაქტ-
მა, თუ რამდენად ჰყავდა მათ შორის გა-
მართული დისკუსია იმას, რასაც ქართულ
ინტერნეტსივრცები „მემარცხენებსა და
მემარჯვენებს“ შორის დაპირისპირებას
ვეძახით. ამ დისკუსიაში ჩატროვნენ ამე-
რიკელი, ეკროპელი და არაპი ბლოგერები
და ეკონომისტებიც, და საბოლოო ჯამში,
ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ახა-
ლი მედიის ტექნოლოგიებმა დასავლური
და აღმოსავლური ინტელექტუალური
დისკუსიების მეტნაკლებად დაახლოება
მოახერხეს.

ბერლინისა და ბონის კონფერენციებზე არა მხოლოდ სადისკუსიო თემები ჰყავდა ერთმანეთს, არამედ მონარქიულთა პროფილებიც. მონარქიულთა უმრავლესობა ახალგაზრდა იყო, თუმცა თითქმის ყველას გააზრებული ჰქონდა ადამიანის უფლებების დისკუსისა გავრცელების შემაფერხებელი

ფაქტორები „პოსტ-დასაცლურ“ სამყაროში. ფაქტორივად, არ შევხედრივარ ადა-მინის უფლებების ისეთ აქტივისტის, რო-მელიც უსიტყვიდ მიღებდა დასაცლელი ექსპერტების რეკომენდაციებს და არ ჩა-ერთვებოდა დემოკრატიზაციის და ლიბე-რალიზაციის შესახებ გამართულ დისკუ-სიებში. ამ დისკუსიებში არ არსებობდა „ჩრდილოელი მენტორი“ და „სამხრეთელი სტუდენტი“. შესაძლოა, საუდის არაბელი, ეგვიპტელი ან ბაჰრეინელი ბლოგერისგან უფრო მეტად საინტერესო და ინოვაციუ-რი იდეა მოგესმინა, ვადრე გერმანელის-გან ან ფრანგისგან.

მართალია, გლობალური სამხრეთის ბლოგერებს უფრო მეტი საერთო თემა აქვთ განსახილველი ერთმანეთთან, ვიდრე თავიანთ ჩრდილოელ კოლეგებთან, მაგრამ ჯერჯერობით თანამშრომლობის ინი-ციატივები მხოლოდ ჩრდილოელებისგან მოდის. ასეთი ინიციატივების აუტორები, ძირითადად, ამერიკელები არიან ხოლმე. გერმანიის გამოჩენა ინტერნეტ-აქტივიზ-მის „ბაზარზე“ შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ ინტელექტუალური დისკუსიები ნელ-ნელა გლობალური ძალაუფლების ცენ-ტრიდან სამხრეთისკენ ინაცვლება.

აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ეს გადანა-ცვლება ხდება არა იდეოლოგიებს შორის, არამედ ერთი იდეოლოგიის – ლიბერა-ლობის (მისი მემარცხენე და მემარჯვენე ვერსიების) შიგნით. ეგვიპტელი და ინდო-ნეზიელი ბლოგერები ეჭვის ქვეშ კი არ აყნებენ ლიბერალური-დემოკრატიის ძი-რითად პრინციპებს, არამედ ართმევენ და-საცლელ ექსპერტებს ამ ლირულებების და იდეების ინტერპრეტირების ექსკლუ-ზიურ უფლებას.

იქიდან გამომდინარე, რომ გლობა-ლური მედიის ფორუმის ყველა მონაწი-ლეს ინტელექტუალურად თანასწორად თვლიდნენ, აღარ იყო ბულტიკულტუ-რული პოლიტიკორექტულობის გამოჩე-ნის აუცილებლობაც. ჩემი აზრით, სწო-რედ ამას უნდა მივაწეროთ გერმანელი პოლიტიკოსების და ექსპერტების მიერ გლობალური მედიის ფორუმზე გაეკეთე-ბული ღია განცხადებიც. მაგალითად, მათ არა ერთხელ ახსნენს ტერმინი „ჩა-მორჩენილი საზოგადოება“ (backward society), რომელსაც მულტიკულტურუ-

ლი პოლიტიკორექტულობით გამორჩეუ-ლი ამერიკელებისგან იშვიათად გაიგო-ნებთ.

გლობალური მედიის ფორუმზე ასევე ხშირად აპელირებდნენ გაეროს ადამია-ნის უფლებების ქარტით. ეს არის ყვე-ლაზე მნიშვნელოვანი ლეგალური დოკუ-მენტი, რომელსაც ადამიანის უფლებების დისკურსი დასავლეური ცივილიზაციის გარეთ გააქვთ. კორქმულებზე აქტივისტები საუბრობდნენ იმაზე, რომ მათთვის ადა-მიანის უფლებები არ არის მხოლოდ და-სავლეური კონცეფცია და რომ ადამიანის უფლებების დამცველთა დემონიზებით და დასაცავების აგენტებად მონათვლით, რეპრესიული რეჟიმები თავიანთი დანა-შაულებრივი საქმიანობების მიჩქმლვას

■ ჩვენ ჯერ კიდევ გვგონია, რომ თეორიული და პრაქტიკული რჩევების მიღება მხოლოდ დასავლელი კოლეგებისგან შეიძლება და ერთმანეთან ურთიერთობა არ გვჭირდება. არადა, სინამდვილეში, ერთმანეთის გამოცდილე-ბის გაზიარებით, როგორც ზემოთ აღნიშ-ნე, ბევრი რამის სწავლა შევიძლია.

პირველი პრობლემის (რესურსების ნაკლებობის) გადაჭრა დროებით ახალი მედიის ტექნოლოგიების გამოყენებით შევვიძლია. ინტერნეტი და ბლოგები გვა-ძლევს იმის საშუალებას, რომ უფასოდ შევწმათ სადისკუსიო პლატფორმები და ერთმანეთის იდეები და ინფორმაცია გავუ-ზიაროთ.

მატერიალური საკითხის დროებით მოგვარების შემდეგ, პრობლემის მსო-ფლმებდევლობრივი ასპექტიდან გვრჩება. ქართველმა აქტივისტებმა და ბლოგერებ-მა უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენი ხმა უნდა მივაწვდიონთ არა მხოლოდ ჩვენს თანა-მემამულებს, არამედ მაგალითად, ჩვენი მეზობელი ქვეყნების – რუსეთის, სომხე-თისა და აზერბაიჯანის აქტივისტებს (სხვათა შორის, გლობალური მედიის ფო-რუმზე), ერთმა რუსმა აქტივისტგა (www.rosipil.info) თავისი ვებსაიტის პროგრამუ-ლი კოდის გაზიარებაც კი შემომთავაზა, თუ მსგავსი ვებ-რესურსის საქართვე-ლოში გამვებას დავაპირებდი).

დროა, რომ გლობალიზაციის პროცესი ინტერნეტ სივრცის ნამდვილი ინტერნა-ციონალიზირებით გაგრძელდეს. ავტორი-ტარი მთავრობების მიერ „უცხო ქვეყნის აგენტად“ მონათვლის შიშით, მხოლოდ ლოკალურ კონტენტში არ უნდა ჩავიკე-ტოთ და ამით ნაციონალური განსხვავე-ბების მნიშვნელობა უფრო მეტად არ უნდა გავამძაფროთ. ადამიანის უფლებების და დემოკრატიკისთვის ბრძოლა გლობალური გამოწვევაა. □

ცდილობები.

ერთი სიტყვით, გლობალური სადისკუ-სიო სივრცის შესაქმნელად ორი სერიო-ზული ნინაბირობა არსებობს: საერთო პრობლემები და მათი განხილვის გაზია-რებული ჩარჩო (ადამიანის უფლებები და დემოკრატია). საკითხავის არას, თუ რა-ტომ იკეტება განვითარებადი ქვეყნების დისკუსიები შურნალისტების და ექსპერ-ტების მშობლიური ქვეყნებს ფარგლებს შიგნით და არ ხდება მათი ინტერნაციო-ნალიზირება.

ამ კარჩაკეტილობის ერთ-ერთი მიზე-ზი აქტივისტების ხელში მატერიალური რესურსების ნაკლებობაა. დასავლეთის მთავრობები და არასამთავრობო ორგანი-

ზაციები სოლიდურ ფინანსურ რესურსებს ხარჯავენ სადისკუსიო და საგანმანათლე-ბლო პლატფორმების შესაქმნელად. გან-ვითარებადი ქვეყნების არასამთავრობო-ებს მსგავსი რესურსები ნაკლებად აქვთ, მთავრობები კი დემოკრატიის განვითარე-ბით მაინცდამიანც დაინტერესებულნი არ არიან.

მეორე მიზეზი თავად აქტივისტების სუ-ბიექტური განწყობება. ჩვენ ჯერ კიდევ გვგონია, რომ თეორიული და პრაქტიკუ-ლი რჩევების მიღება მხოლოდ დასავლელი კოლეგებისგან შეიძლება და ერთმანეთ-თან ურთიერთობა არ გვჭირდება. არადა, სინამდვილეში, ერთმანეთის გამოცდილე-ბის გაზიარებით, როგორც ზემოთ აღნიშ-ნე, ბევრი რამის სწავლა შევიძლია.

პირველი პრობლემის (რესურსების ნაკლებობის) გადაჭრა დროებით ახალი მედიის ტექნოლოგიების გამოყენებით შევვიძლია. ინტერნეტი და ბლოგები გვა-ძლევს იმის საშუალებას, რომ უფასოდ შევწმათ სადისკუსიო პლატფორმები და ერთმანეთის იდეები და ინფორმაცია გავუ-ზიაროთ.

მატერიალური საკითხის დროებით მოგვარების შემდეგ, პრობლემის მსო-ფლმებდევლობრივი ასპექტიდან გვრჩება. ქართველმა აქტივისტებმა და ბლოგერებ-მა უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენი ხმა უნდა მივაწვდიონთ არა მხოლოდ ჩვენს თანა-მემამულებს, არამედ მაგალითად, ჩვენი მეზობელი ქვეყნების – რუსეთის, სომხე-თისა და აზერბაიჯანის აქტივისტებს (სხვათა შორის, გლობალური მედიის ფო-რუმზე), ერთმა რუსმა აქტივისტგა (www.rosipil.info) თავისი ვებსაიტის პროგრამუ-ლი კოდის გაზიარებაც კი შემომთავაზა, თუ მსგავსი ვებ-რესურსის საქართვე-ლოში გამვებას დავაპირებდი).

დროა, რომ გლობალიზაციის პროცესი ინტერნეტ სივრცის ნამდვილი ინტერნა-ციონალიზირებით გაგრძელდეს. ავტორი-ტარი მთავრობების მიერ „უცხო ქვეყნის აგენტად“ მონათვლის შიშით, მხოლოდ ლოკალურ კონტენტში არ უნდა ჩავიკე-ტოთ და ამით ნაციონალური განსხვავე-ბების მნიშვნელობა უფრო მეტად არ უნდა გავამძაფროთ. ადამიანის უფლებების და დემოკრატიკისთვის ბრძოლა გლობალური გამოწვევაა. □

ქართული კულტურის განავითარების მინისტრი



გიო ახვლედიანი

კი, უიმბლდონი, როგორც ყოველთვის, საინტერესო. კი, ჯოკოვიჩი. კი, ანდი მარი – ბრიტანეთის იმედი. კი, ფედერერის გამოგდება. კი, სეტყვა იმ დღეს და კი, აუნერელი სიცხე სხვა დღეს... და შარაპოვაც, რასაკვირველია. მაგრამ თქვენ რომ ამ უურნალს ხელს მოავლებთ, უიმბლდონში უკვე ყველაფერი მოთავებული იქნება, და ჩვენი წერა-მიწოდების ხერხი კი ისეთია, რომ ამ სეტებს უიმბლდონის მთავარ ამბებამდე ორი დღით ადრე ვადგენ.

ეს გვარიანად აზარალებს უქმებზე გასამართ ამბებს. აგე, შაბათსაც, დიდი კრივი უნდა იყოს, თუ იყო, ჰეი-კლიჩო და აბა, რაც არ უნდა დაწერო, აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ მთავარი ამბები უკვე უქმებზე იქნება მომხდარი და იმ მთავარის ნინმსწრები უკვე არამთავარი ამბები ვიღას აინტერესებს.

დიალ, ეგეთ დროში ვართ, რომ ამბავი მალე ძველება. მე მგონი, კარგა ხანია, ეგეთ დროში ვართ. მას შემდეგ, რაც საინფორმაციო სააგენტოები გამოიგონეს. მაშინ ტელეგრაფი, მერე ტელეფონი, ტელეტაიპი და ამბავი. რა მოწყობილობები არ იყო. ძველი ტელეტაიპის აპარატი კარგახანს იდგა ჩვენთან რედაქციაში. ახლა ვიღას უნდა ტელეტაიპი. ვაი, რამხელა რაღაცა იყო! ძალიან სოლიდური.

მოკლედ, დროში ვართ აცდენილი. ასეთია ყოველკვირეულის ბეჭი. ყოველკვირეულში უფრო გონიერი აზრები და თემებია საჭირო. აი, როგორც „ობზერვერში“. მშვენიერი გაზითია, ოლონდაც თუ „ობზერვერი“ იყიდე, იმ დღეს მეტს ველარაფერს გააკეთებ. უნდა დაჯდე და იკითხო, ნახევარი სეჭკიები რომიც გადაყარო, მაინც.

მე კი იმ სპორტის შესახებ მინდა ვთქავა ორიოდ სიტყვა, დასავლეთ სასექსის სოფელ ბარში რომ გადავაწყდი.

იქ მეგობართან ვიყავი და როგორც ყველა ჯადოსნურ სოფელს, ბარისაც ჩამოვადის მდინარე არუნი, რომელიც, რა გასაკვირია და, ზღვას უერთდება. ჰოდა, წელინადში ორ ლამეს, ზაფხულის მეორე ნახევარში და საესემთვარობაში, ხდება ისე, რომ არუნში რატომდაც ამოაღნევს ხოლმე ზღვის კალმახი. ყოფილა ასეთი. იმ ლამებში კი მთელი ინგლისიდან მოიყრიან ხოლმე თავს არუნის პირად, ზღვის კალმახზე მოთევზავენი. მთვარის სინათლემ კალმახი წყლის ზედაპირსკენ ახლოს უნდა ამოიტყუოს, მაგრამ ეგ საქმარისი არ არის. მეთევზეს ისეთი სატყუარა უნდა ჰქონდეს ანკესზე, რომ კალმახმა იმას ყურადღება მიაქ-



ციოს. ტრადიციულად, ასეთ სატყუარად ითვლება ხელნაკეთი ბუზი, რომლის გაეთებაც ოსტატობას მოითხოვს. თან კიდევ, მეთევზეს არ შეუძლია, უბრალოდ ისროლოს ანკესი წყალში. ის ისეთი ოსტატი უნდა იყოს, რომ ბუზიანი ანკესი რამდენჯერმე იმგვარად გაუტყლაშუნოს წყლის ზედაპირს, რომ კალმახი მთლად მაღლა ამოიტყუოს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუშვას ანკესი წყალში, და ისიც გარევეული ხნით. სპორტის არსიც ესაა.

უბრალოდ, კალმახი ამოვყარეთ და შევწით, ვერაფერი პატივია. თანაც, თუ თევზი შესაბამისი სიგრძისა არ გამოდგება, უკან არუნში უნდა დააბრუნო.

ასე ყოფილა უსხსოვარი დროიდან და სიმართლე გითხრათ, იმ არუნის პირად მე კი დღისით ვიყავი და მთვარეც, სავსე კი არა, ნამგალაც არ ჩანდა, მაგრამ, რომ ნარმოვიდგინე, მთვარის შეუზე, წყლის ზედაპირზე მოტყლაშუნე ანკესები, გულიც კი ამიფანცქალდა. ძველი სპორტია, მაშინდელი, როცა სპორტში ფულს არავინ იხდიოდა და როცა კაცი თავისი მოხერხებით დაიჭრდა ხოლმე რაღაც სიამოვნებას.

ჰოდა, აბა, ჩქარ ბურთებს სადღა ვდიო! აგერ კალმახი, აგერ მთვარე და აგერ, ბებიების მიერ ნაკეთები, ჭრელა-ჭრულა ბუზები.

თანაც, იქავე, საესემთვარობის კალმახზე თევზაობის სამდლიანი კურსებიც არსებობს. **□**

სალ ბაზონიცა



მამუკა ლევიაშვილი

ზარ-ზეიმი

რატომლაც მგონია, რომ ზოგჯერ სი-ტყვებით და ადამიანურ ენაზეც შეიძლება რაიმე გავაგებინოთ ერთმანეთს და საკუთარ თავსაც. ცნობილია მოსაზრება, რომლის თანახმად ადამიანების უმრავლესობა უმტესად აკუსტიკური და ვიზუალური სიგნალებით ოპერირებს, უტყვია ცხოველის მსგავსად. აյ იგულისხმება არა ექსტრალინგვიზმები (ჟესტიკულაცია, მიმიკა და სხვა), არამედ საკუთრივ ენის, როგორც ნიშანთა სისტემის დაყვნა თავისთავად ცარიელი სიგნალების ერთობლიობამდე და ასეთი სახით გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებასა და ყველა სახის ლიტერატურაში.

არადა, ენა ცხოველისგან ადამიანის მთავარი და ძირითადი განმასხვავებელია. შეკახსენებთ, რომ ადამიანს სემანტიკურ ცხოველსაც უწოდებენ. მაგრამ თუნდაც ასე უგულებელყოფილი და დაკინებული ენა, ვთქვათ, ქართული ენა, მანიც ახერხებს რაღაცების თქმას და გამოთქმას, მანიც გამოდგება მომხდარის აღსანერად და ასახსნელად, თანაც საკმაოდ ღაკონურად, სიმწირთაც და ოუმორითაც. ამის დასადასტურებლად ერთი მაგალითიც კმარა აქური ისტორიიდან.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს მთავრობამ ზარ-ზეიმით აღნიშნა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ოცი წლისთავი. ამ ზეიმის წინა დამით კი სწორედ ზეიმის ჩატარების ადგილზე ხელისუფლების დავალებით უიარაღო ადამიანები ცემით მოკლეს და დაასახირეს, უდანაშაულო ხალხი დაიჭირეს და დაპატიმრეს. ეს მოხდა, მოგეხსენებათ, ზეიმის წინ, უშუალოდ ზეიმის წინ. სიტყვა-სიტყვით ზეიმის წინ, ზუსტად ისე, როგორც სიტყვაში

„ზარ-ზეიმი“ ზარი წინ უსწრებს ზეიმს. ზარი კი, ჩავიხედოთ ლექსიკონებში, ეწოდება გლოვასაც და საშინელებასაც. ამრიგად, საქართველოს ხელისუფლებაში ისეთი რიტუალური დაუინტენტითა და სიზუსტით, თანმიმდევრულობით მოაწყო სრული ზარ-ზეიმი, თითქოს სიტყვის-თვის შეესხას ხორცი. ხოლო სიტყვა, თავის მხრივ, ვხდავთ, რომ ისე აღწერს და გამოხატავს მომხდარს, თითქოს საგანგებოდ და წინასწარ ამ დღისთვის იყოს შექმნილი.

გარკვეული აზრი

გარკვეული აზრით – თუმცა აზრი სხვანაირი არც შეიძლება იყოს – სახელმწიფო უკიდურეს შემთხვევაში ორგვარია. ერთ უკიდურეს შემთხვევაში მთელი ძალაუფლება ერთი და ერთადერთი ადამიანის ხელშია, მეორე პოლუსზე კი ასევე მთელი ძალაუფლება კვლავ ერთ ადამიანს ეკუთვნის, ოღონდ ეს ერთია თითოეული.

პირველ სახელმწიფოში ტირანია და მკვიდრებული, მეორეში – ლიბერალური დემოკრატია. ტირანულ სახელმწიფოში ტირანის გარდა არავინ და არასოდეს არაა დაზღვეული იმისგან, რომ ხელისუფლებამ ან დაჩაგროს, ან აქციოს სხვის მჩაგვრელად. ამის საპირისპიროდ ლიბერალურ დემოკრატიაში ყოველი ადამიანი თავისუფალია, ანუ იგი, პირველ ყოვლისა, თავისუფალია იმ შესაძლებლობისგან, იმის მუქარისებული, რომ ოდესმე სახელმწიფო ძალადობის მსხვერპლი ან აღმასრულებელი იარაღი, ვჯალათი გახდეს.

სახელმწიფოს ამ პოლარულ მოდელებს კიდევ მრავალი ასპექტი აქვს. მათგან აე შევეხები მხოლოდ ერთს, ჩვეულებრივ უგულებელყოფილს.



სახელმწიფო დრო

მართლაც, სახელმწიფოს რომ საკუთარი, არა ფიზიკური და არა ფსიქოლოგიური, არამედ სპეციფიკურად სახელმწიფოებრივი დრო შეიძლება ჰქონდეს, ამის შესახებ ხშირად არც ვფიქრობთ, ვგონებ, რომ სამწუხაროდ. ზემოთ ნახსენები აბსტრაქტული მოდელების მოშველიებით ამის ჩვენება იოლია. პირველ მათგანში ნებისმიერი კანონი ნებისმიერ წამს შეიძლება დაირღვეს ტირანის ნება-სურვილის მიხედვით, ლიბერალურ დემოკრატიაში კი კანონზე მაღლა, როგორც მისი მიზანი, მხოლოდ თავისუფლება დგას, და არა ვინმე.

მაგრამ კანონი, ეს ხომ ნათელია, არის არხი, კალაპოტი, რომლითაც სახელმწიფოში დრო მიედინება. კანონი ამთლიანებს სახელმწიფოში მის ნარსულს, ანმყოსა და მომავალს. და ეს არხი, ჩვეულებრივ,



ფოტო დავით მერიანი / REUTERS

თბილისი, 26 მაისი 2011

სახელმწიფოს თვითონ, თავისი ხელით გაჟყადს.

ამრიგად, რადგან ტირანიაში ყოველ წამს შეიძლება ტირანის, ანუ თავად ხელისუფლების მიერ გადაიკეტოს და გაუქმდეს დროის არხი, ამიტომ ამგვარ სახელმწიფოში უწყვეტი აღარაა ნარსულისა და მომავლის კვშირი, უფრო ზუსტად, აღარ იგულისხმება, რომ ნარსულს მომავალი მოსდევს, ხოლო მომავალს წინ ნარსული უსწრებს. ყოველი შემთხვევის-თვის შევისწავლა, რომ „იგულისხმება“ აქ „ანმყოს“ სინონიმია. ამ თვალსაზრისით, ლიბერალურ დემოკრატია იმგვარი პოლიტიკურ სისტემაა, სადაც დროთა კავშირი მაქსიმალურად ურღვევია. კიდევ უფრო ჰამლეტისებურად რომ ვთქვათ, ლიბერალურ დემოკრატიაში ანჯამებიდან ჩამოხსნა დროს არ ემტერება.

(ამრიგად, კანონი არის უქაფი, რომლი-თაც სახელმწიფო თავის დროს გამოხატა-

ვს.

კანონი მოიცავს კანონს და კანონთან დამოკიდებულებას...)

განარჩევებული სახელმწიფო

მაინც როდის აღნევს სახელმწიფო მიზანს, როდისა ის განხორციელებული? აღბათ მშენებინ, როცა სახელმწიფო თავის მოქალაქეს განმისჭვალავს, როცა მასში მკვიდრდება. აქ, აღბათ, მოქალაქის გრძობისა და ვონების არა მხოლოდ ამა თუ იმ იდეილოგით დაპყრობა უნდა იგულისხმებოდეს. ვიმედოვნებ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ სახელმწიფო მაშინაა სრულად რეალიზებული, როცა მისი მთავარი არხები მოქალაქის გულსა და გონებაშია გაჭრილი. ამ არხებს შორის უმთავრესი კი ისაა, რომელიც დროისთვისაა განკუთვნილი.

ამრიგად, კვლავ ამრიგად, ტირანის მიზანია, რომ მოქალაქეში დროთა კავში-

რი რაც შეიძლება პირზმინდად დაირღვეს. თავისუფლების მოსურნე ადამიანი კი, შესაბამისად, ცდლობის როგორმე სწორებ ამას აღუდგეს წინ.

ამასობაში დროა, დავადგინოთ, რა არის ადამიანისთვის დრო, რა არის წარსული, ანმყო და მომავალი. ანმყოს თაობაზე ზემოთ ითქვა, ნარსული და მომავალი კი, მათი ერთმანეთისგან განუყრელობისა და გაყრის შესაძლებლობის მიხედვით, ყოველი ჩვენგანისთვის საკმაოდ ნაცნობი მოვლენებია. ნარსული დათქმული სიტყვაა, მიცემული დაპირება, რომელსაც ვერაფერი გააუქმებს. ხოლო მომავალი სწორები, ამ დაპირების შესრულებაა. გავიხსენოთ, რომ ადამიანი სემანტიკური ცხოველია, ანუ ენის მქონე და მატარებელი.

ამ თვალსაზრისით, დრო მხოლოდ მაშინაა უწყვეტი და მთლიანი, როცა ანმყოში იგულისხმება, რომ მომავალში შევასრულებთ დადებულ პირობას, არ გავტეხთ სიტყვას. ეს, ცხადია, ეხება არა მარტო კონკრეტულ დაპირებებს. რომ სიტყვა არ გატეხოს, მომავალმა არ უნდა დაივინოს ნარსული. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი ნარსულისგან გასაქცევი გვირბი არ უნდა გახდეს, ხოლო ნარსული მომავლისგან დასამალ თავშესაფრად არ უნდა იქცეს.

ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ უნდა გვახსოვდეს. ასე ადვოლად სათქმელია პრინციპი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან არა პირუტყვა, არამედ მეტყველ ადამიანს, არა დესპოტურ, არამედ თავისუფლების სახელმწიფოს და არა ფარისევლურ, არამედ უტყუარ მორალს (ზნეობას).

ამიტომ მახსოვს ოცდაექვსი მაისი, ამიტომ მახსოვს, მემახსოვრება.

პ. ა. ამას ნინათ ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ ბოლო დროს, სხვებთან ერთად, ხელმწიფის კარის ფილოსოფიისებმაც გამოიდეს თავი, რათა მომზდარის დავინების აუცილებლობაში დაერწმუნებინათ ისედაც ამისკენ სიამოვნებით მიღრეკილი ჩვენი საზოგადოება. და მეც დავჯექი და ამ წერილის წერას შევუდექი, რადგან ერთი თავისუფლების ფილოსოფოსი ვარ. ან სხვანაირი სად გაგონილა ფილოსოფოსი? **■**

ტექნოლოგიები

რომის პაპმა ბენედიქტ XVI ვატიკანის ახალი საიტი news.va გაუშვა. შეტყობინება პორტალის შესახებ პაპმა Twitter-ზე iPad-ით თავად დაწერა: „ქვირფასო მეგობრები, მე ეს-ესაა News.va გავუშვი, ღმერთმა დაგლოცოთ, ვლოცულობ თქვენთვის და გლოცავთ-ბენედიქტ XVI“, – ნათქვამია შეტყობინებაში.

News.va ვატიკანის ყველა მედიარესურსს აერთიანებს, მათ შორის რადიოსადგურს, YouTube-ის არხს, Facebook-სა და Twitter-ს.

ვატიკანის ოფიციალურ საიტს ამ დრომდე vatican.va ნარმოადგენდა, რომელიც ჯერ კიდევ 1995 წელს, ითვარებული და დროს შეიქმნა.

MYSPACE გაიყიდა



მედიამაგნატ რუპერტ მერდოვის News Corp-მა სოციალური ქსელი MySpace გაყიდა. ამიერიდან მისი მფლობელი სარეკლამო ფირმა Specific Media-ა. გარიგების თანხა არ ხმაურდება, თუმცა უცხოური მედია წერს, რომ MySpace 35 მილიონ დოლარად შეფასდა, შეთანხმების ერთ-ერთ პირობას ნარმოადგენდა სოციალური ქსელის შტატის განახევრებაც, რომელიც დახმარებით 500 ადამიანს შეადგენს. MySpace-ის დირექტორი მაიკ ჯონსი აცხადებს, რომ პისტის თვის შემდეგ, გარდამავალი პერიო-

დის დასრულებისთანავე დატოვებს.

News Corp-ს სოციალური ქსელის აქციათა პაკეტის 5%-დან 10%-მდე დარჩება. ამასთან, მერდოვის კომპანია MySpace-ის გაყიდვით, Specific Media-ს აქციათა მცირე ნაწილის მფლობელიც გახდა.

News Corp-მა MySpace 2005 წელს შეიძინა. იმ პერიოდში რესურსს Yahoo-ს საძიებო სისტემის შემდეგ ყველაზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა, თუმცა მომდევნო წლების განმავლობაში სოციალური ქსელის პოპულარობა მნიშვნელოვნად შემცირდა, განსაკუთრებით Facebook-ის წარმატების ფონზე.

ბიზნეს-კლასის პლანიტი FUJITSU-სგან



Fujitsu-მ ბიზნეს-კლასის პლანშეტის STYLISTIC Q550-ის გაყიდვა დაიწყო. როგორც კომპანიაში აცხადებენ, მოწყობილობის ძირითად უპირატესობებს უსაფრთხოების გაუმჯობესებული ფუნქციები და კორპორატიულ ინფრასტრუქტურასთან მარტივი ინტეგრაცია წარმოადგენს. Fujitsu-ს პერსონალური სისტემების განყოფილების დირექტორი დიტერ ჰაინ მარტინი მისთვის არასათანადოდ მოწყობილობების გამოყენება მსხვილი კომპანიებისთვის რეალურ პრობლემას წარმოადგენს. „ერთი მხრივ, IT დირექტორებს სურთ, რომ თანამშრომლებს პროდუქტიული მუშაობისთვის ყველა აუცილებელი ინსტრუმენტი ჰქონდეთ, მეორე მხრივ, კი მათ კომპანიის უსაფრთხოებას პრობლემები არ უნდა შეუქმნა“, – აცხადებს იგი.

STYLISTIC Q550 ოპერაციულ სისტემა

Microsoft Windows 7-ის ბაზაზე მუშაობს, აღჭურვილია Intel Atom პროცესორი, 2 გიგბაიტიანი მეხსიერებით, 10,1 დიუმიანი დისპლეით, 2 კამერითა და USB 2.0 პორტით.

პლანშეტს აქვს Wi-Fi-ს, Bluetooth-ის, UMTS-ისა და GPS-ის მხარდაჭერა. მონაცემთა დაცვის გაუმჯობესებული ტექნოლოგია Advanced Theft Protection და სპეციალური სისტემური პლატფორმა კი საშუალებას იძლევა პლანშეტის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაშიც მასში არსებული ინფორმაციის დაცვა და აღდგენა მოხდეს.

IPAD2 ყველა სიმბაზურელ პროცესორს

სინგაპურის თავდაცვის სამინისტრო ახალწევულთა სტანდარტული აღჭურვილობისთვის პლანშეტ iPad2-ის დამატებას გეგმავს. პირველ ეტაპზე ქვეყნის ხელისუფლება 8 ათასი მოწყობილობის შეძენას აპირებს, ახალწევულებს კი მათ ნინებერში დაურიგებენ. მომდევნო წელს Apple-ის პროდუქცია სინგაპურის შეიარაღებულ ძალებში კიდევ უფრო პოპულარული გახდება. სამინისტრო iPad-ისთვის სპეციალური დამატების შექმნასაც გეგმავს, რომელიც სხვადასხვა სამხედრო ამოცანების შესარულებლად იქნება განკუთვნილი.

პროექტის ავტორები ამბობენ, რომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება ახალგაზრდების შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენას შეუწყობს ხელს. პლანშეტების დახმარებით ჯარისკაცები ფოტო და ვიდეოგადაღებას და ფაილების ცენტრალურ სერვერზე გადაცემას შეძლებენ. კომპიუტერები მათ ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციაში, ჯგუფურ ჩატებსა და დისკუსიებში მონაბილობაშიც დაეხმარებათ.



SKYPE საეციალურად IPAD-ისთვის

მაღაზია App Store-ში სპეციალურად iPad-ისთვის შექმნილი Skype გაწნდა. მისი დახმარებით მომხმარებლებს საშუალება ექნებათ, ზარები ნებისმიერ მობილურ მოწყობილობაზე განახორციელონ. ექსპერტები ამბობენ, რომ პროგრამა სერიოზულ კონკურენციას გაუწევს FaceTime-ის - Apple-ის მიერ შექმნილ ვიდეოჩატს, რომელიც Wi-Fi-ზე მომუშავე iPhone-ებისთვის, iPod Touch-ებისთვის, iPad-ებისა და Mac-ებისთვისაა განკუთვნილი.



ამ დრომდე iPad-ს მულტილები ზარებს iPhone-სთვის განკუთვნილი Skype-ით ახორციელებენ, თუმცა პროგრამა ფართო გარჩევადობს ეკრანისთვის ოპტიმიზირებული არ იყო, ახალი Skype კი iPad-ის ორივე თაობისთვის მუშაობს.

სურნელოვანი SAMSUNG



Samsung-მა ახალი მოწყობილობის პროტოტიპი შექმნა, რომელსაც 10 ათასამდე სხვადასხვა სურნელის აღქმა შეუძლია. გაჯეტის დამატება სერიული ტელევიზორებისა და მობილური ტელეფონებისთვისაცაა შესაძლებელი.

სამომხმარებლო ბაზარზე სურნელოვანი მოწყობილობების შექმნის მიზნით კვლევები პირველად არ ტარდება. უკვე არსებობს რამდენიმე გადაწყვეტილებაც, მაგალითად ვიდეომაგნიტოფონი ScentScape კომპანია Scent Sciences-ისგან, რომელიც სახლის კინოთეატრს

არომატსაც უმატებს. მოწყობილობა 70 დოლარი ლირს და სპეციალური პროგრამით იმართება, თუმცა მისი შესაძლებლობები ბევრად შეზღუდულია: მას მხოლოდ 20 სურნელის აღქმა შეუძლია.

LG-ს 3D სმარტფონი

LG Electronics-მა დიდი ხნის ლოდინის შემდეგ სმარტფონი LG Optimus 3D ოფიციალურად წარადგინა. ტელეფონი ოპბირთვიანი მეორე თაობის პროცესორითა და მეხსიერების მოწინავე არქიტექტურითა აღჭურვილი. სმარტფონი Tri-Dual ტექნოლოგიის დახმარებით მომხმარებელს 3D ფოტო და ვიდეოგა-



მოსახულების ჩაწერის, ნახვისა და გადაცემის ყველა შესაძლებლობას სთავაზობს. ამასთან, მათ 3D კონტენტის სანახავად სპეციალური სათვალეც არ სჭირდებათ, სპეციალური ალგორითმის მეშვეობით გამოსახულების კორექცია ავტომატურად ხდება.

LG Optimus 3D აღჭურვილია 4,3 დიუმიანი WVGA ეკრანით, რაც გამოსახულების მაღალ სიმკვეთეს უზრუნველყოფს. 3D კონტენტის გადაცემა HDMI 1.4-ის დახმარებით 3D ტელევიზორშია შესაძლებელი, მომხმარებლებს სამგანზომილებიანი ვიდეოების ატვირთვა YouTube-ს 3D არზეც შეეძლებათ.

ივლისში სმარტფონი გაყიდვაში თავდაპირველად უვრცელადი, შემდეგ კი მსოფლიოს 60 ქვეყანაში გამოვა.

FACEBOOK-ს 750 მილიონი მომხმარებელი ჰყავს

Facebook-ის აუდიტორიამ 750 მილიონს გადასჭარბა. უცხოური მედიის ცნობით, სოციალური ქსელი მილიარდიანი ნიშნულის მიღწევას ელოდება,



რის შემდეგაც კომპანია საკმაოდ ხმამაღლალ განცხადებას გააკეთებს. აღსანიშნავია ისიც, რომ Facebook ოფიციალურ სტატისტიკაში ითვალისწინებს მხოლოდ იმ აქტივურ მომხმარებლებს, რომლებიც ბოლო 30 დღის განმავლობაში ერთხელ მაიც შევიდნენ სოციალურ ქსელზე.

პარალელურად, იზრდება მარკ ცუკერბერგის პირადი ქონებაც, რომელმაც ივნისის ბოლოსთვის უკვე 18 მილიარდი დოლარი შეადგინა. თებერვლის შემდეგ სოციალური ქსელის დამარსებლის სამდიდრე 5 მილიარდი დოლარით გაიზარდა. მან უკვე ჩამოიტოვა სტივ ჯობსი, სერგეი ბრინი და ლარი პერიკი და ახლა IT ინდუსტრიის წარმომადგენლებიდან მხოლოდ ბილ გეიტსს და Oracle-ის დამფუძნებელს ლარი ელისონს ჩამორჩება.

ჰარი პოტერი ინტერნეტში



ჰარი პოტერის თავგადასავალი ინტერნეტშიც განთავსდება. პატარა ჯადოქარზე შექმნილი წიგნების სერია ონლაინ-მაღაზია Pottermore.com-ზე დაიდება. ამის შესახებ განცხადება თავად ავტორმა, ინგლისელმა მწერალმა ჯონ როულინგმა ლონდონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გააკეთა.

Pottermore.com-ზე ჰარი პოტერზე დაწერილ 7 წიგნთან ერთად განთავსდება ახალი მასალებიც, რომლებიც აქვთ არ გამოქვეყნებულა. საიტის ბეტა-ვერსია 31 ივლისს გაეშვება, სრულად კი ინტერნეტ-მაღაზია 1 ოქტომბერს გაიხსნება.

მოამზადა ნინო ნატროშვილმა.

თეატრის შემოქმედი სიზმინგი



მცირე რეფლექსია თემაზე – ძირს ბრეხტი, გაუმარჯოს ძილისპირულს!

დავით ბუხრიკიძე

ქართული თეატრის პრობლემებზე წერა ყოვლად „უმიზეზედაც“ შეიძლება. თუმცა ბოლო დროს იმდენი რამ დაემთხვა ერთმანეთს, რომ პასუხიაუცემელი კითხვები რაღაც განზოგადოებას საჭიროებს. უფრო პოლიტიკური ფსიქო-ანალიზის თემაა, რატომ დადგა რობერტ სტურუამ უნებლიერ (ან შეგნებულად) ის იაფაფასიანი ანტითეატრალური „პერფორმანსი“, რომელმაც სხვა გაგრძელება შეიძინა მედიაში; ან როგორ შევაფასოთ არცთუ უსიხარულოდ დასრულებული თეატრალური სეზონი და პრესტიული თეატრალური პრემია „დურუჯის“ მოულოდნელი ფინანსი.

საინტერესოა, საიდან აღმოცენდა ახალი თეატრალური სივრცე კიევის ქუჩაზე, სადაც ახალგაზრდა რეჟისორის, ნიკა საბაშვილის მიერ დაარსებულ „ახალ თეატრში“ კრონუნადა – „ქალალდის წვიმა“ ვიზილეთ. რაც შეხება 25 წეუთიანი სპექტაკლების ფესტივალს „არდიფესტ -2011“, რომელიც სამეფო უბნის თეატრში წელს მესამედ იმართება, დაწვრილებით „ლაბერალის“ მომდევნო ნომერში მოგითხოვთ.

მაშ ასე, განვლილი თეატრალური სეზონის ყველაზე ცოცხალი შთაპეჭილებანი: ინტერაქტიული სპექტაკლი „ეიფორია, რაღაც უკეთესი მოხდება“, რომელიც ამერიკელმა რეჟისორმა კოლინ ჰოვდემ რუსთაველის თეატრში დადგა. სარეპეტიციო დარბაზში დადგმული ერთსაათიანი წარმოდგენა, ერთდროულად, ღმტოლვილთა ბანაკსა და საველეპოსპიტალს ჰქავს. იქ აბანაკებული 16 მსახიობი ქართულ-ამერიკულ პროექტზე ცუდად შენიდბული ცნობისმოყვარეობით



სცენა სპექტაკლიდან „მახინჯი“, რეჟისორი: დათა თავაძე

გეპატიუშებათ. ამ პროექტის მხარდამჭერია ამერიკის საელჩო საქართველოში, რომელმაც რუსთაველის თეატრის ტრადიციებსა და თანამედროვე ამერიკული დრამას გადაკვეთის წერტილი მოუქებნა.

მართალია, ჩვენი პუბლიკისთვის ინტერაქტიული თეატრი (როცა მაყურებელი უშუალოდ ერთვება ნარმოდგენაში) ჯერ კიდევ უცხო ხილია, მაგრამ დაახლოებით ერთსაათიანმა ექსპერიმენტმა დამარწმუნა, რომ მსგავსი სურვილებით „განანამებ“ ჩვენს რეჟისორებს დიდი ტანჯვაა არ დასჭირდებათ თეატრალური ყამირის გასატეხად. ამაში მათ ამერიკელი კოლეგის, კოლინ ჰოვდეს მაგალითიც დაეხმარება, რომელმაც დარბაზში შეკრებილ და თითქმის უკომპლექსოდ მოსეირნე პუბლიკას საკუთარი რეჟისორული ნამუ-

შევარი წარუდგინა.

ინტერაქტიულ სპექტაკლს საფუძლად დაედო ამერიკელი მწერლისა და დრამატურგის ლი აუგუსტ პრეილის ტექსტი, რომელიც დავით გაბუნიამ ზუსტად და თანამედროვე თეატრალური კონტექსტის გათვალისწინებით თარგმნა. ასე რომ, რუსთაველის თეატრის დასი ცნობილ სარეპეტიციო დარბაზში, გამლილი საწილების, მბუზტავი ფანრების, ოდნავ დაბნეული მსახიობებისა და რადიოთი გადმოცემული პოლიტიკური თუ სოციალური „ლადერის“ ხმის ფონზე, ცოცხალ და უცნაურ ანტიბურჟუაზოულ თეატრს გაზიარებთ.

განვლილი სეზონის მოქმალებულ „ჰიტად“ იქცა თანამედროვე იაპონელი დრამატურგის, სცენარისტისა და რეჟი-

სორის, კოერ მიტანის პიესა, რომელიც რეჟისორ ლევან წულაძისთვის ერთგვარ ტესტად იქცა: სად გადის ზღვარი თავშმოხვეულ პატრიოტიზმსა და პროფესიონალიზმს შორის; პრინციპსა და დათმობას შორის. პიესაში, რომელსაც ორიგინალში „სიცილის აკადემია“ ჰქვია, ხოლო მარჯანიმვილის თეატრში „ჟოლო“, ნიჭირი კომედიანტი და დრამატურგი ცუბაკი (ნიკა კუჭავა) ფინალში იმში მიდის, მანამდე კი მანჯურის მიმდან დაპრუნებული და თეატრის მოძრულე

პუბლიკისა არ ვიცა, მაგრამ პრემია „დურუჯის“ უიურის წევრებს ნამდვილად არ გასცინებიათ, როცა ლევან წულაძის სპექტაკლი წლის საუკეთესო რეჟისორულ ნამუშევრად აღიარეს.

სამაგიეროდ, ძალიან ბევრს იცინებთ და ცოტა იტირებთ კიდეც, თუ კიევის ქუჩაზე დაბანაკებულ პატარა შენობაში, „პატარა თეატრის“ სპექტაკლს ნახავთ. კლასიკური კლოუნადის ელემენტები რეჟისორმა ნიკა საბაშვილმა უსიტყვო, პლასტიკურ ეტიუდებს და სოციალურ

სირანო დე ბერუერაკს ზურა ყიფშიძის ნაცვლად (ასე იყო პირველ ვარიანტში), იმედა არაბული ასახიერებს. კარგად გამართულმა და „კრემისფერი პოეზიით“ შთაგონებულმა სპექტაკლმა ნაწილობრივ მოახერხსა მაყურებლის მოთაფლვა, თუმცა მის მიმართ რატომდაც გულგრილი აღმოჩნდა „დურუჯის“ უიური, რომელმაც სპექტაკლი ნომინაციაშიც კი არ შეიყვანა. რეჟისორის ფანტაზიის მიხედვით, სპექტაკლში ხუთი როქსანაა, რომელთაგან ორი განსაკუთრებით გამახსოვრდებათ – ბუბა გოგორიშვილი და ნანა ბუთხუზი.

ლევან წულაძის მეორე სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში – დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“ მხედვით დადგმული „დეკამერონი“, უფრო ფერად მუსკომედიას ჰგავს, ვიდრე შეასაუკუნებში იტალიაში გავრცელებული შავი ჭირისგან გაქცეული პერსონაჟების ეგზისტენციურ-თეატრალურ აღწერას. რეჟისორს პირველ რიგში, პერსონაჟთა მკვეთრი სახასათო ნიშნები, ეფექტური განათება, მყვირალა კოსტიუმები ანტერესებს. პლუს, ვატო კახიძის გურული ინტინციებით გაცოცხლებული მუსიკა. სოციალური და კრიტიკული ანალიზისთვის კი ადგილი ნაკლებად რჩება. გასათვალისწინებელია პოპულარული ნაწარმოების გავლენა მაყურებელზეც, რაც ანშლაგისთვის კარგი მიზეზია.

ახალი სპექტაკლები ცხადია, საკმარისი საგზალი ვერ იქნება ვერც სტურუს გამოცხადებული სკანდალის გადასაფარად და ვერც კრიზის დასაძლევად. აუცილებელია კრიტიკული თვითგონილებისა, ჯანყი კარგი ცხოვრებით შთაგონებული „მუსკომედიური კომპლექსებისა“ და სოციოპათიის წინააღმდეგ, რომლის დანერგვასაც შეგნებულად თუ უნებლიერ ცდილობენ ლიბერტარიანები პოლიტიკოსები, ან დოტაციურ ესტრადას შეხიზული როკ-პოპ-ვარსკელავები. და ვიდრე ისინი მორიგ ჰიტებს შეასრულებენ, გირჩევთ მაგალითად, „სამეფო უბნის თეატრში“ გასული სეზონის კიდევ ერთი მშევნეორი სპექტაკლი „მახინჯი“ ნახოთ, რომელშიც რეჟისორმა დათა თავაქეშ სიახლის, მოძრაობისა და ტექსტის თითქმის დახვეწილი სინთეზი მოახერხა. **■**



სცენა სპექტაკლიდან „ჟოლო“, რეჟისორი: ლევან წულაძე

ცენტორი ნეო (ნატა მურვანიძე), ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თეატრით ავადდება.

ამგვარ ტრანსფორმაციამდე რეჟისორი კომედიის გაკალაული ბილიკებითა თუ შეუცნობელი ულრანით ერთდროულად გვატარებს. მან „შიგნიდან“ იცის მსახიობის, ტექსტის, რეჟისორის თუ ცენტორს პრობლემები და ამიტომ დეული ცენტორსა და კომენდირანტს შორის ბრძყინვალე, მაგრამ მანიც თეატრალურ გამოცდას ემსგავსება: შეეცადეთ შექსპირის პაროდიით შთაგონებული „რომეტა და ჯულიო“ XVI საუკუნის იაპონური დრამის პერსონაჟებით ჩანაცავლოთ; მერე სიტყვა „სამშობლო“ „ჟოლოთი“ შეცვალოთ. და ბოლოს, კომედია ისე დაწეროთ, რომ ერთხელაც არ გაგვეცინოს!..

თემებს ისე შეუზავა, რომ პოეზიის სული არ დაუკარგავს. თუმცა ჭარბი სენტიმენტები და ცნობილი კლოუნის, ვიაჩესლავ პოლუნინის აჩრდილი მაინც აშკარა და საყრდნობია. მერწმუნეთ, ცირკს უსაფუძლოდ მოქლებული ბაზშვებისა და მათი მშობლებისათვის „ქალალდის წვიმა“ საუკეთესო თერაპიული გამოსავალია.

ლირიკულ და დახვეწილ კომედიაში, რომელიც დავით დოიაშვილმა ედმინ როსტანის „სირანო დე ბერუერაკის“ მიხედვით დრამისა და კომედიის თეატრში დადგა, ყველაზე მეტად ცნობილი მხატვრისა და სცენოგრაფის თეიმურაზ მურვანიძის მხატვრობა და მანანა ანთაძის შესანიშნავი თარგმნი გამასხველობებათ. რომანტიკულ გმირს, მეომარს, დუელების მოყვარულსა და პოეტს –

ჩატოვის ას?



კახა თოლორდავა

ამ რამდენიმე დღის წინ ავტობუსში ავედი (ასეც ხდება ხოლმე). სულ ორიოდე გაჩერება უნდა გამევლო, მაგრამ მოხდა ისე, რომ თითქმის ბოლომდე გავყევი მარშრუტს და მერე უკან ტაქსით მომინია დაბრუნება. მიზეზი კი ის იყო, რომ იმ დღეს, იმ ავტობუსში უცნაური ამბები ხდებოდა. შეიძლება, არც თუ უცნაური მათვის, ვინც ხშირად გადაადგილდება ავტობუსით, მაგრამ ჩემთვის, ნამდვილად უცნაური, რადგნაც იმ დღეს, იმ ლამის გადატენილ ავტობუსში თ ბ ი ლ ი ს ე ლ ე ბ ი, ყოველგვარი ყვირილის და შეურაცხყოფის გარეშე, ს ა უ ბ რ ო ბ დ ნ ე ნ მათ-თვის მნიშვნელოვან საკითხებზე და პრობლემებზე. მე რომ ავტობუსში ავედი, საუბარი კარგა ხნის დაწყებული ჩანდა. უკან მჯდომი საშუალო ხნის მამაკაცი რაღაცას უხსნიდა წინ მჯდომ ქალბატონს. ჰერიონდეულად, ის ქალბატონი კი-თხვებს სვამდა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად, მამაკაცი კი პასუხს აი, ასე იწყებდა, – „გავიგე ქალბატონ! თუ უფლებას მომცემთ, ამასაც აგიხსნით...“ და აგრძელებდა. ყველა ყურადღებით უსმენდა, თუ ვიღაც ჩათვლიდა, რომ მასაც ჰერიონდა რაღაც დასამატებელი, ზრდილობიანად ერთვებოდა საუბარში, მერე კიდევ ვინმეს უწინდებოდა კითხვა ან სათქმელი, ახლა მას უსმენდით. ადამიანები ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ, ჩასულებს ლიმილით ვემშვიდობებოდთ, თავიდან გაოგნებული ამოსულები კი ძალიან სწრაფად ერკეოდნენ სიტუაციაში და ისინიც აქტიურად ერთვებოდნენ საუბარში. ეს არ იყო წ უ წ ნ ი ყოფითი საკითხების გარშემო, არამედ რაღაც-რაღაცებში გარკვევის მცდელობა. ასე ვიმზავრეთ ვაკიდან დიდ დილმამდე და მინდა გითხრათ, რომ ასეთი ავტობუსით პირადად მე ჯერ არ მიმგზავრია. სწორედ ამიტომაც უკან დაბრუნებულს აი ეს ფრივოლური კითხვა დამებადა, – ხომ არ მოვიდა დრო, რომ თბილისიც შეუერთდეს იმ ქალაქთა რიცხვს, სადაც ორატორთა კუთხეებია? აი ნახეთ: ლონდონი, ლიდსი, ნოტინგჰემი, ამსტერდამი, სიდნეი, ბანგკოკი, სინგაპური, ბატონი ჩემო... არც თუ ისე ცუდ კამპანიაში მოვხვდებოდით, არა?

რა თქმა უნდა, ძალიან კარგად მესმის, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქებში (შესაბამისად, ქვეყნებში) თავისუფალი სიტყვა და ტოლერანტობა სულ სხვა ხილია ვიდრე ჩვენთან, თანაც ორატორთა კუთხეები ხშირად იქაც კი არ ყოფილა სრული სიამტკბილობის ადგილები – ვიღაც-ვიღაცებს ყაბიც მოხვედრია პოლიციისგან თუ მსმენელისგან, იქაურობას უამრავი „დაქნეული“ ერვევა ხოლმე (მაგალითად, მარადიული ახალგაზრდობის შესანარჩუნებელი წამლის შე-



სათავაზებლად), არც ისეა, რომ მიხვალ იქ და ვისაც გინდა, იმას ამოუტრიალებ მშობლების სულს, მაგრამ დროის განმავლობაში ადამიანებმა კარგად გააცნობიერეს პროტესტის გამოსახატავად სპეციალურად ამისთვის შექმნილი ადგილების მნიშვნელობა, ქალაქების ხელმძღვანელობამაც შეიტანა შესწორებები ირატორთა კუთხეების ფუნქციონირებაშიც (მაგალითად, იქ აკრძალულია ნებისმიერი ხმის გამაძლიერებლის მოხმარება) და დღეს უკვე სხვა ქალაქებიც ვარაუდობენ ასეთი კუთხეების მოწყობას თავიანთ პარკებში.

„თბილის არ ესაჭიროება კიდევ ერთი წყარო, საიდანაც არეულობა შეიძლება დაიწყოს,“ – შემებასუხებინა. არც იმ ქალაქებს სადაც ორატორთა კუთხეები არსებობს, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თავის დროზე იმ ქალაქებში არც არავინ ფიქრობდა ასე, უბრალოდ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ქალაქის სივრცეში არსებული თავისუფალი სიტყვის ტრიბუნა კიდევ უფრო ხარისხიანს გახდიდა მათ თანაარსებობას. არ ვიცი, რამდენად მზად შეიძლება, ვიყოთ ჩვენს საჯარო სივრცეში ასეთი ადგილებისთვის, მაგრამ იმ დღეს ავტობუსში მგზავრობის შემდეგ, როდესაც ყველაფერი ერთად გამახსენდა – ქართველები, ვინც საუბრობენ ხალხის სახელით, თუმცა ძირითადად შავ-შავი მანქანებით გადაადგილდებიან, ადამიანები, ვინც ინტერნეტში ანონიმურად ერთვებიან დისკუსიებში, „სულების“ მეორე არხი, ვინც დარწმუნებულია, რომ ძირიფესიანად აქვს შესწავლილი ქართული ხასიათი – განმახსენდა ეს ყველაფერი და დავფიქრდი, რომ ორატორთა კუთხე შეიძლება თბილისისთვისაც არ ყოფილყო ცუდი.

შეკითხვა დავსვი, სხვა ხომ არაფერი მითქვამს? ■



თალავი, ყვარელი, ლაგოდები
გორი, ქარელი, ხაშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, გათახი
ვოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5
FM 103.0
FM 104.5
FM 101.0
FM 101.9



WWW.LIBERALI.GE
